

მარტვილის მუნიციპალიტეტის
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი



სეზგი დანუღიას
ხსოვნის დღეები

III საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია

2014

მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე
ახალგაზრდობის სახლი



გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და საზოგადო
მოღვაწის

სერგი დანელიას
ხსოვნისადმი მიძღვნილი

III

საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია

9-10 ნოემბერი, 2014 წელი
მარტვილი-ბანძა, საქართველო

სამუშაო პროგრამა და მასალები

ქუთაისი
2014

Martvili Municipality Pupils youth house



Handwritten text in Georgian script at the top of the page.

The third International Scientific Conference

Dedicated to famous Georgian philosopher,
writer and public man

Sergi Danelia

9-10 November, 2014

Martvili-Bandza, Georgia

Working programme and materials

F.107.274
3

Kutaisi
2014



მთავარი რედაქტორი: იგორ კეკელია
ელექტრონული გამოცემის რედაქტორი: ხათუნა ძარია
ტექ. რედაქტორი: ალექსი ფონიავა



სარედაქციო კოლეგია:

ასისტ.-პროფ. ირმა ბაგრატიონი (ბათუმი), ოთარ დანელია (მარტვილი), ბაქარ კარკალაია (მარტვილი), ბექა კილანავა (თბილისი), ასოც. პროფ. მექი ლოზჟანიძე (თბილისი), ასოც. პროფ. მერაბ მაღრაძე (ქუთაისი), ასოც. პროფ. ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე (ქუთაისი), ასოც. პროფ. ნიკოლოზ ოთინაშვილი (გორი), ასოც. პროფ. ეთერი ორმოცაძე (ქუთაისი), ასოც. პროფ. იზოლდა რუსაძე (ქუთაისი), ალექსი ფონიავა (მარტვილი), დაჩი ფაჩულია (თბილისი), ასოც. პროფ. ბადრი ფორჩხიძე (ქუთაისი), ასოც. პროფ. კახაბერ ქებულაძე (ქუთაისი), ჯენი წულაია (მარტვილი).

რეგლამენტი: მომხსენებელს - 10 წუთი,
სიტყვაში გამომსვლელს - 5 წუთი

კონფერენციის ოფიციალური სამუშაო ენა:
ქართული, რუსული, ინგლისური

მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.

9 ნოემბერი, კვირა, 2014



სამეცნიერო კონფერენციის გახსნა - 10 სთ

მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის
სხდომათა დარბაზი, II სართული

შესავალი სიტყვა

იგორ კეკელია,

მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე
ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ისტორიის
დოქტორი

მისალმებანი:

ალექსი გაბისონია, მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე გრიგალავა,

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი
დონალდ რიდლი, აღმოსავლეთ ლონდონის
უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

იგორ ლიშანი, ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტი. უკრაინა

მერაბ მაღრაძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

პლენარული სხდომა

ბადრი ფორჩხიძე, აწსუ ფილოსოფიისა და

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის

ასოცირებული პროფესორი.



**სერგი დანელიას გამოკვლევის მნიშვნელობა ანტიკური
ფილოსოფიის გაგების საქმეში**

მანანა ბანძელაძე, წსუ ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

გვანცა მიქაუტაძე, საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა უნივერსიტეტის მაგისტრანტი

**სერგი დანელია ზნეობრივი აღზრდისა და
ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ**

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე, აწსუ ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის
დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

**ეროვნული იდეა მიხეილ ლერმონტოვის პოეზიაში
სერგი დანელიას თვალსაწიერიდან**

მერაბ მაღრაძე, აწსუ ფილოსოფია-
ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი

**მემკვიდრეობით მიღებულ ფიქსირებულ განწყობათა
თემა განწყობის ფსიქოლოგიაში**

**Irma Bagrationi, Doctor of Philosophy, Assistant
Professor Batumi Shota Rustaveli State University**
**Koba Jabua, Lawyer, Advocate Georgian
Association of Advocates**



*The Ethical Understanding of Law Aspects of Transplantation
of Bodies*

საზოგადოებრივი მეცნიერებების
საქართველოს საზოგადოება

ბექა კილანავა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების
II კურსის სტუდენტი

*დიონისეს თეატრი, როგორც უკიდურესად ადამიანური
მოვლენა
მსჯელობა*

I სხდომა, II სართული, 11³⁰ სთ
თავმჯდომარეები: ისტ. დოქტორი იგორ კეკელია
სტუდენტი დაჩი ფაჩულია

ნინო გელენიძე, აწსუ პედაგოგიკის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

სერგი დანელია - პედაგოგიური აზრის მკვლევარი

მანანა ჩიტეიშვილი, აწსუ ფილოსოფია-
ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი

*ზნეობისა და ხელოვნების ურთიერთობათა
გაგებისათვის*

ერმალო ლანჩავა, ლალი ნაკაშიძე, აწსუ ფილოსოფია-
ფსიქოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული
სპეციალისტები

НАЗИЯ ЖАНПЕЙСОВА, доктор филолог. наук,
профессор кафедры филологии и перевода
Актюбинского госуниверситета им. С. Баишева, Казахстан

**КОНЦЕПТ МАТЬ/АНА В КАРТИНЕ МИРА
КАЗАХСКО-РУССКИХ БИЛИНГВОВ**

ზვიად კვიციანი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის
თანამშრომელი, პროფესორი


*სვანური ოქროს პრობლემა და მისი ძეგლთა აჯანყება
(აგათია სქოლასტიოსის ერთი ცნობის
ინტერპრეტაციისათვის)*

ეთერ ორმოცაძე, აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი.

*მეცნიერული დეტერმინიზმი და თანამედროვე
საბუნებისმეტყველო მეცნიერება (ქვანტური თეორია და
ბიოლოგია)*

მარიამ რუხაძე, ირაკლი სალია, თსუ ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის
მიმართულების IV კურსის სტუდენტები
ხელმძღვ. რუსუდან ასათიანი

*„სასმისის“ განმსაზღვრელი ზოგადი საკატეგორიზაციო
ნიშნები და შესაბამისი ბაზისური კატეგორია ქართულ
ენობრივ სივრცეში*



იგორ კეკელია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდო-ბის
სახლის დირექტორი, ისტორიის დოქტორი
რამაზ ჭიჭინაძე, აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტა-მენტის
დოქტორანტი

*ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
დაყოფის ისტორიიდან*

ზოია გადელია, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის პედაგოგი

ონოგურისის საიდუმლოება

დარეჯან ჩხიროძე, ქუთაისის უნივერსიტეტის
პროფესორი
ნათია კამკამიძე, აწსუ ასოცირებული პროფესორი

*ზნეობრივ-კულტურული ღირებულებანი გარემოზე
ძალადობის წინააღმდეგ*

ოთარ დანელია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდო-
ბის სახლის პედაგოგი

*მესამე განზომილებაში დანახული 800-წლოვანი ოცნება /
და ლადო კილასონიას ფანტასმაგორია („დაე. ვერ
მპოვოს ურჯულომ“ - რომანის დედააზრის
გაგებისათვის)*

იგორ კეკელია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდო-ბის
სახლის დირექტორი, ისტორიის დოქტორი

*ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში
მოხსენიებული ერთი ჰიდრონიმის
ლოკალიზაციისათვის (ხანიტა//ხაპეტის წყალი)*

Ирма Багратиони, Доктор философии, Ассистент-
профессор Батумский Государственный университет Шота
Руставели

*К вопросу о сущности искусства по органотропной
эстетике*

მაია საღარეიშვილი, სსიპ მარტვილის მუნიციპა-
ლიტეტის სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის პედაგოგი

*ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების
ზოგიერთი საკითხის სწავლებისათვის საჯარო სკოლაში*

II სხდომა, II სართული, 15³⁰ სთ

თავმჯდომარეები: ისტ. დოქტორი იგორ კეკელია
სტუდენტი დაჩი ფაჩულია

ВАЛЕНТИНА ЧХЕИДЗЕ, ассоц. профессор
Кутаис-ского госуниверситета им. А. Церетели

*МУЗЫКА СЛОВ И ИНТЕРПРЕТАЦИЯ СИМВОЛИКИ В
РОМАНЕ ФРИДРИХА НИЦШЕ «ТАК ГОВОРИЛ
ЗАРАТУСТРА»*

რომან ოდიშარია, ოთარ დანელია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები

სოფლის იდილია მამუკა ჯინჭარაძის ნოველაში

იგორ კეკელია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ისტორიის დოქტორი

ტოპონიმ „ზუფუს“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

სოფიკო გაწერელია, იგორ კეკელია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები.

*ფონ კრესის ცნობები საქართველოში მდებარე
გერმანული ახალშენების შესახებ*

ნაზი ბულაძე, იგორ კეკელია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები

ალექსანდრე გარსევანიშვილის სტუმრობა ძველ სენაკში

მანანა ბეჭვია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მხატვრული კითხვის წრის პედაგოგი

სკოლამდელთა პიროვნული თვისებების ზოგიერთი
ასპექტის შესახებ



ნათია სვინტრაძე, აწსუ აღმოსავლური ფილოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მეტაფორის
განმარტებისათვის

ზოია გადელია, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის პედაგოგი

ხუნწის დემოგრაფიული პრობლემები

ნიკოლოზ ოთინაშვილი, გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„ძეგლი ერისთავთას“ კომპოზიციები

მანანა ჭიჭინაძე, აწსუ ქართული ფილოლოგიის დეპარ-
ტამენტის თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

ღვთიური თუ სატანური? (სწორფრობა მიხეილ
ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ მიხედვით)

ლელა ჩოგოვაძე, აწსუ ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი

*კათოლიკე მისიონერები და გალექსილი
„ამირანდარეჯანიანი“*



ეთერ ორმოცაძე, აწსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი

*სივრცისა და დროის ერთი ასპექტისათვის ლაიბნიცის
მსოფლმხედველობაში*

მაკა კაცაძე, ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის
სახვითი ხელოვნების გალერეის მეცნიერ-მუშაკი

კაბადოკია – ქართველ მოღვაწეთა სავანე

მსჯელობა
ლანჩი

III სხდომა, 10 ნოემბერი, ორშაბათი
სოფ. ბანძის საკრებულოს სხდომათა დარბაზი, **II**
სართული, 11 სთ

თავმჯდომარეები: პროფ. ზვიად კვიციანი
სტუდენტი ბექა კილანავა

ოთარ დანელია, ამალია ჭილაია, მარტვილის
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები

რევაზ მიშველაძის მოთხრობა „მარტოხელა მგელი“

ლეილა ქველიძე, აწსუ-ის დმოსავლური
ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული
პროფესორი. ქუთაისი.

იგორ კეკელია, დავით ოდიშარია. მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

კომონიმ „სირიაჩქონის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ლიანა გვალია, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწის საჯარო სკოლის პედაგოგი

სოფელ ხუნწის ტოპონიმები

თამარ ქვლივიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების II კურსის სტუდენტი

ენა, როგორც უნივერსალური ფენომენი და სიმბოლოს პრობლემატიკა

ზურაბ დანელია, მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი

მეგრული ენის ზოგი თავისებურების შესახებ

იგორ კეკელია, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ისტორიის დოქტორი
კახაბერ ქებულაძე, აწსუ საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

XX ს-ის რუსულენოვან რუკებზე დატანილი იმერეთის
ტოპონიმთა მართლწერისათვის



იზოლდა რუსაძე, აწსუ ქართული ენის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფი-
ლოლოგიის აკადემიური დოქტორი

პროფესორი მიხეილ ალავიძე – ეტიმოლოგიის
მკვლევარი

ნინო კობაური, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
ფონდების მართვის დეპარტამენტის მეცნიერ-თა-
ნამშრომელი, ფონდის მცველი

კარმენ ზაქარაიას არქივი, როგორც კულტურული
მემკვიდრეობა

ლალი ნაკაშიძე, ერმალო ლანჩავა /ქუთაისი/

ოჯახური კონფლიქტების სოციალურ-
ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ასპექტები

ბაქარ კარკალაია, იგორ კეკელია, მარტვილის
მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

სახმელეთო გზების ისტორიისათვის შიდა ეგრისში
მსჯელობა

IV სხდომა, I სართული, 16³⁰ სთ
თავმჯდომარეები: ასოც. პროფ. ეთერ ორმოცაძე
ასოც. პროფ. ბადრი ფორჩხიძე

ელენე ქადაგიშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების
III კურსის სტუდენტი

ხელმძღვ. დარეჯან თვალთვაძე, მაია მადუაშვილი

*ერთმაგი და ორმაგი უარყოფა ქართულში და მათ
გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები*

მარიამ მათიაშვილი, მარიამ ქავთარაძე, ია ჟიჟიაშვილი
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის
სტუდენტები

*ბალსზემოური დიალექტის ბეჩოურის, როგორც
გარდამავალი კილოკავის, ზოგიერთი სპეციფიკა
(სახელისა და ზმნის მონაცემების მიხედვით)*

ქეთევან ჭილაია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის
სტუდენტი

ხელმძღვ. ასოც. პროფ. ეკა ნავროზაშვილი

გოლგოთის მისტერია

ქეთევან კვინიკაძე, ნატა ბუცხრიკიძე, თსუ
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული
ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტები;
ხელ-ლი: პროფ. თედო უთურგაიძე

გიორგი ლომსაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების
II კურსის სტუდენტი

მაცხოვრის პარადიგმული სახელები: მზე და მტევანი

სალომე კვინიკაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების
IV კურსის სტუდენტი

*ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“ და ლამარტინის „ტბა“
ხელმძღვ.: პროფ. ე. ვარდიაშვილი*

ხატია დუნდუა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების II კურსის
სტუდენტი

ბუნების ფილოსოფოსები

მარიამ ნავაძე, თსუ ბაკალავრიატის სტუდენტი
ხელ-ლი: პროფ. რამაზ ქურდაძე

ფლორა საბას ლექსიკონში

სანდრო ცხვედაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის
მიმართულების II კურსის სტუდენტი



ღვთისმშობლის პარადიგმები (მთა, კიბე) ქართულ, ბიზანტიურ და დასავლურ კულტურულ სივრცეში

სოფიო კორძაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ფილოსოფიის მიმართულების III კურსის სტუდენტი

აბორტის პრობლემა ბიოეთიკაში

V სხდომა, I სართული, 15 სთ

თავმჯდომარეები: ისტორიის დოქტორი იგორ კეკელია სტუდენტი გიორგი ჯღარკავა

ნათელა ჩიქოვანი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების II კურსის სტუდენტი.

„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“

ლელა ჩოგოვაძე, აწსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ლიტერატურის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

კათოლიკე მისიონერები და გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“

ქეთევან კვინიკაძე, ნატა ბუცხრიკიძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტი;

ხელმძღვანელი: პროფ. თედო უთურგაიძე

F-107.2+4
3



დაჩი ფაჩულია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულების II კურსის
სტუდენტი

მარტინ ჰაიდეგერი - ჰუმანიზმის კრიტიკა

ნათია კენჭიაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის
სტუდენტი

**სახელდების პრობლემა პლატონის „კრატილოსში“ და
თანამედროვე ლინგვისტიკა**

გიორგი ჯღარკავა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის
სტუდენტი

„კაცია-ადამიანის“ ნეიმანისეული თარგმანის შესახებ

მარიამ ბესიაშვილი, მაია მაისურაძე, გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის
მიმართულების IV კურსის სტუდენტები
ხელმძღვ. ფილ. მეცნ. დოქტორი თამარ გოგოლაძე

*აკაკის ორი ლექსი და ებრაელთა ტრადიცია XIX ს
დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში*



მელანო ზოსიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების II კურსის
სტუდენტი

*სიცოცხლისა და სიკვდილის ცნებები გოდერძი ჩოხელის
შემოქმედებაში*

ია გელაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის
სტუდენტი

გოეთეს „მგზავრის სიმღერის“ ქართული თარგმანები

ირაკლი სალია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის
სტუდენტი

*ცნებებისათვის - „გზნება“ და „თაური“, გრიგოლ
რობაქიძის შემოქმედებაში*

მსჯელობა

ლანჩი

კონფერენციის მუშაობის შეჯამება
მონაწილეთათვის სერთიფიკატების გადაცემა
კონფერენციის ოფიციალური დახურვა

К вопросу о сущности искусства по органотропной эстетике

В данном научном докладе мы рассмотрим вопрос о сущности искусства по органотропной эстетике. Нужно отметить, что грузинский философ Константине Капанели, в своих монографиях «Дух и идея» (1923) и «Основы социальной эстетики. Органотропизм» (1925), после создания им собственной оригинальной и совершенно новой философской концепции, рассматривает все мировые феномены и, в том числе, искусство, по формуле органотропизма. Это означает, что главной, определяющей причиной сущности искусства Капанели называет состояние, под которым понимает целостность внешних условий, в которой создается и существует то или иное искусство. Следует указывать, что под объективной основой сущностной специфики искусства Капанели подразумевает географические, климатические, биологические, физические, социальные, экономические, политические, культурные, исторические условия, хотя, подчёркиваем, что из них преимущество отдаётся социальной среде со своими потребностями и нуждами.

Необходимо отметить, что в учении Капанели, в результате признания прямой взаимосвязи эстетического понимания искусства с состоянием, всякое идеалистично-абсолютистское понимание проблемы искусства теряет смысл. В связи с этим особо интересно проблема взаимоотношения творческого процесса и игры, которая, в философско-теоретическом виде, впервые поставлена и проанализирована в эстетической теории немецкой классической философии. В отличие от И. Канта (1724-1804) и И. Ф. Шиллера (1759-1805), которые игру, осуществленную свободным действием, понимают как феномен сопутствующий художественному творчеству, Капанели полагает, что искусство не игра, а функция социальной жизни, что любое проявление искусства вызвано интересами состояния.

Следует отметить, что объяснение сущности искусства органическим принципом было совершенно новым для грузинского философского мышления, но не для истории европейского эстетического мышления.

Как известно, в 1719 году ранний представитель эстетики французского просветительства аббат Ж. Б. Дюбо (1670-1742) издает трактат «Критические замечания о поэзии и живописи», в котором увязывает искусство разных времен и народов не только с культурным развитием, но и с климатическими и географическими условиями. Согласно Дюбо, художественное творчество связано с гением, творческий гений же, со своей стороны, существенно определен природными и общественными условиями. В качестве примера у него рассмотрено четыре периода искусства в Античной Греции, Риме Цезаря, Италии Леона X, Франции Людовика XIV, которые, по его мнению, характеризуются внутренним общественным покоем, бесконфликтной внешней политикой, прочностью власти и тем самым, обладают желательной средой для развития художественного творчества.

Известно, что великий представитель французского просветительства Вольтер (1694-1778) в своей работе «Эстетика» (1730) высказывает предположение, что наивысших ступеней развития искусство достигает в период правления сильных царей, а также, в соответствующих экономических условиях. Правда, Вольтер большое значение придает и влиянию на искусство климата, но все же не считает этот фактор решающим, поскольку считает, что «гениальный творец может родиться в любых климатических условиях».

Немного позже, французский философ и социолог Ш. Л. Монтескье (1689-1755) в своей работе «О духе законов» (1748), выдвигает на первый план идею о том, что все стороны общественной жизни и в том числе искусство, подчиняется природным закономерностям. Он рассматривает искусство в прямой связи с большими общественными проблемами, с различными сторонами социальной жизни и политического строя. В этом плане большой интерес вызывает его заключение о том, что «сатирические произведения совершенно незнакомы деспотическим государствам».

Как известно, немецкий философ и теоретик искусства И. И. Винкельман (1717-1768) в работе «История искусства древности»,

написанной в 1763 году, определяющим сущностные особенности античного искусства назвал природные факторы, в частности, климат и форму общественного управления, то есть политическую свободу античного полиса.

Известно, что немецкий философ и эстетик И. Г. Гердер (1744-1803) посредством анализа материала по истории искусства, в работе «В рощах критики» (1769) утверждает, что изменчивость творчества и вкуса характеризует художественную культуру человечество не только «по вертикали», в историческом разрезе, но и «по горизонтали», в разрезе национальном. Поэтому для Гердера отличие, например, творчества Шекспира и Софокла имеет двухмерную детерминацию: с одной стороны, резко изменилась эпоха, с другой – «Англия не была Грецией, и ждать от неё греческой драмы, возникшей естественным путём (мы не говорим о подражаниях!), - всё равно, что требовать, чтобы овца родила льва»; ибо весь комплекс условий, существовавший в Англии, - «история, традиция, нравы, религия, дух времени, народа, чувства, языка – всё это далеко от Греции!».

Данную точку зрения в отношении искусства в следующем веке развивает английский эстетик, теоретик искусства и критик Дж. Рескин (1819-1900). В своем сочинении «Современные художники» (1843-1860) он в целях установления сути художественного творчества рассматривает произведение искусства в тесной органической связи с социально-культурными и природными факторами. По мнению Рескина, «поскольку искусство представляет собой созидательную, творческую деятельность духа, оно, подобно всякому виду творчества, зависит от своего творца; на творца же неизбежно влияет социально-экономическая атмосфера, в которой он трудится...» В своей концепции истории искусства и непосредственной задачи искусства Рескин исходит из убеждения, что «искусство страны есть указатель её социальных и политических добродетелей... Благородное искусство могут создать только благородные люди, соединившиеся в обществе под руководством законов, наиболее соответствующих их времени и условиям их жизни».

Параллельно с Рескиным, искусство, как не некую самодостаточную данность, а как определенный конкретно-

исторический факт, представляет основатель марксистской философии К. Маркс (1818-1883), который во вступлении своей работы «К критике политической экономии» (1859) пытается прояснить суть искусства посредством объяснения общих закономерностей общественного развития. По его словам, «На самых низших ступенях цивилизации производительные силы непосредственно определяют искусство, в обществе же развитом, непосредственное влияние экономики на искусство - крайне редко. Обычно влияют другие «факторы»: политика, культура и пр., которые сами зависят в последнем счёте от степени развития производительных сил страны».

Известный факт, что французский философ и искусствовед И. Тэн (1818-1893) связывает возможность творчества формировать искусство в разных формах как с социальным, так и биологическим и климатическим состоянием. Во вступлении своей известной книги «История английской литературы» (1864) Тэн замечает, что суть творчества определяется тремя основными факторами: расой, в которой подразумеваются наследственные свойства, средой, что подразумевает географические, социальные и политические условия и моментом, представляющим данную историческую эпоху. Этими же факторами Тэн исчерпывает условия творческого развития художника. В своей работе «Философия искусства» (1869) Тэн идет еще дальше и утверждает, что произведение искусства представляет собой продукт среды и ничего более.

По вышеизложенному можно сделать следующий вывод: приведенные здесь параллели из истории эстетики подтверждают, что рассмотрение Капанели сущности искусства по принципу органотропизма не есть лишь итог влияния Марксистского учения, как это было принято до сих пор считать среди исследователей творчества Капанели, т. е. объяснение сути искусства формулой органотропоза, или же поиск объективного критерия оценки художественного творчества не является итогом лишь марксистского учения. В данной научной статье мы обосновываем, что объяснение сути искусства данным принципом зафиксировано гораздо раньше марксизма и неоднократно повторялось в истории эстетической мысли. В заключение следует отметить, что приведенные «единомышленниками» Капанели объективные условия, конечно же, ока-

зывают определенное влияние на развитие искусства, но никак не могут играть решающей роли в выработке полного представления о духовном творчестве человека и его сущности.

Irma Bagrationi, Koba Jabua /ბათუმი/

The Ethical Understanding of Law Aspects of Transplantation of Bodies

In the present scientific report the ethical and worldview problems of criminal-law aspects of transplantology are touched upon.

The report emphasises, that transplantable organs are scarce. Knowing that there are more people who need organs than there are organs available, how would you answer the following questions? Are your answers based on a belief of equal access or maximum benefit distribution?

1. Should someone who has received one organ transplant be given a second transplant? Or should people who have not had a transplant be given priority over those who have already had one?

2. Should people whose lifestyle choices (smoking, drinking, drug use, obesity, etc.) damaged their organ be given a chance at an organ transplant?


3. Should suicidal individuals be given an organ transplant? What if they attempted suicide in the past but are not currently contemplating suicide?

4. Should people who have young children be given an organ transplant over a single person? Should age and whether or not a person has children even matter?

5. Should people who can't afford expensive anti-rejection drugs be passed over for a transplant? Should people who don't have insurance and can't pay for a transplant be allowed to go on the national waiting list?

6. Should condemned prisoners receive organ transplants? What if they are serving a life sentence without parole?

It needs to be noticed, that one way to avoid the ethical problems associated with the shortage of transplantable organs is to increase the number of donor organs. However, fears abound that policies to maximize organ donations could go too far – leading to organ farming or premature declarations of death in order to harvest organs. Many, if not most, people agree that taking organs from any source is a justifiable practice within certain ethical boundaries. Controversies result from an inability to define



exactly where those boundaries lie. Everyone may have their own unique ideas about the boundaries they would like to see concerning the following three sources of transplantable organs: cadaveric donors, living donors and alternative organ sources.

It is interesting for us, that currently, once a person dies, his or her organs may be donated if the person consented to do so before they passed away. A person's consent to donate their organs is made while still living and appears on a driver's license or in an advance directive. After consenting to donate organs, nothing happens with that information until the person dies. A person is considered dead once either the heart stops beating or brain function ceases (called brain death). After death, the organs are taken from the deceased person's body. If possible, the deceased person may be kept on life support once they have died until the organs can be taken, in order to preserve the organs until they are removed.

The report points out, that people who support the maximum benefit philosophy believe organ transplants are medically valuable procedures and wish to avoid the wasting of organs because they are very scarce. To avoid waste, they support ranking transplant candidates by taking recent research shows that when given scenarios of two people who both needs an organ transplant, the general public's organ distribution preferences are influenced by whether or not a person made behavioral lifestyle choices that caused their illness. Organs should be distributed so that the greatest benefit is derived from every available organ into account how sick the patient is and how likely it is that the patient will live after he or she receives a transplant. Successful transplants are measured by the number of life years gained. Life years are the number of years that a person will live with a successful organ transplant that they would not have lived otherwise. This philosophy allows organ procurement organizations to take into account several things when distributing organs that the equal access philosophy does not – like giving a second organ transplant to someone who's already had one or factoring in the probability of a successful medical outcome.

As we see from the report, three primary arguments oppose using the maximum benefit distribution criteria. First, predicting medical success is difficult because a successful outcome can vary. Is success the number of years a patient lives after a transplant? Or is success the number of years a transplanted organ functions? Is success the level of rehabilitation and quality of life the patient experiences afterward? These questions pose

challenges to those attempting to allocate organs using medical success prediction criteria. The second argument against maximum benefit distribution is that distributing organs in this way could leave the door open for bias, lying, favoritism and other unfair practices more so than other forms of distribution due to the subjective nature of these criteria. Third, some ethicists argue against using age and maximizing life years as criteria for distributing organs because it devalues the remaining life of an older person awaiting a transplant. Regardless of how old someone is, if that person does not receive a transplant they will still be losing "the rest of his or her life," which is valuable to everyone.

The done analysis of the law «About transplantation of bodies and-or fabrics of the person» and the international certificates in the field of transplantation have allowed the authors of the report to come to the following conclusion: It is necessary for legislature to reconsider, first, some items, concerning presumptions of the consent to withdrawal of bodies and fabrics of the person. Secondly, that system «asked consent» has started to work, active introduction of the policy which is carried out by mass media is necessary, that is it is necessary to spend propagation among the population with the purpose of reception of the voluntary consent to withdrawal of bodies at the donor during lifetime of and their donations after death.

მანანა ბანძელაძე, გვანცა მიქაუტაძე /ქუთაისი/

სერგი დანელია ზნეობრივი აღზრდისა და ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, ფილოლოგისა და მთარგმნელის - სერგი დანელიას მოღვაწეობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველში მეცნიერებისა და ფილოსოფიური ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე. მისი ფილოსოფიური მოღვაწეობა მრავალმხრივია, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა სერგი დანელიას ნააზრევი ზნეობასა და ფსიქოლოგიასთან მიმართებაში. ზნეობის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ნაშრომის - „ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრება

და პედაგოგიური სისტემა“. ნაშრომის პირველ წიგნში გად-
მოცემულია ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს ზნეობრივი
შეხედულებები. განხილულია დიჟონის აკადემიის მიერ დასმული
კითხვა: „მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის განვითა-
რებამ შეუწყო თუ არა ზნეობის განვითარებას“? რუსომ ამ კითხვას
უარყოფითად უპასუხა და შესაბამისად მისი ტრაქტატი პრე-
მირებულიც იქნა.

სერგი დანელიას მიერ ზნეობრივი შეხედულებები ასევე
გადმოცემულია ნაშრომში - „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“. რუსო
აღზრდის საკითხებს განიხილავდა როგორც რეფორმატორი. იგი
ზნეობრივ განვითარებას და აღზრდას განიხილავს როგორც
იარაღს, საზოგადოების გარდაქმნის მნიშვნელოვან საშუალებას.
რუსოს შეხედულებები ზნეობრივი აღზრდის შესახებ
ჰუმანისტურია. თუმცა წინამორბედი ჰუმანისტებისაგან იმით
განსხვავდება, რომ იგი მოითხოვს: აღზრდა უნდა განთა-
ვისუფლდეს არა მხოლოდ ეკლესიის ავტორიტეტისაგან, არამედ
აღზრდა თავისუფალი უნდა გახდეს საზოგადოებრივი ცხოვრების
ყოველგვარი ავტორიტეტებისაგან.

ჟან-ჟაკ რუსოს აზრით აღზრდას საერთოდ, და მათ შორის
ზნეობრივ აღზრდასაც, მიმართულებას უნდა აძლევდეს ბუნება და
არა სახელმწიფო პოლიტიკა. საბოლოოდ მართვის აღზრდის
მიზანია ადამიანის ბუნების, მისი არსების სრულყოფა. სერგი
დანელია აკრიტიკებს რუსოს ამ შეხედულებას და აღნიშნავს, რომ
რუსოს თეორიაზე ადამიანის არსება უბრალოდ აბსტრაქტული
ცნებაა და მას არ გააჩნია არანაირი კულტურულ-ისტორიული
შინაარსი.

საინტერესოა სერგი დანელიას ფსიქოლოგიური შეხედუ-
ლების ზოგიერთი ასპექტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი
ნაშრომი „ემოციის ბუნება“. იგი აღნიშნავს, რომ ყოველგვარი
ემოცია დაკავშირებულია შინაგან და გარეგან ფუნქციებთან
ტვინში. ემოცია არის ტვინის ყველა ცენტრის მუშაობის შედეგი.
სხვადასხვა ემოცია ცნობიერების სხვადასხვა მხარეებთანაა
კავშირში. მაგ., სიამოვნება-უსიამოვნება ცნობიერების შინაარსის

ინტენსივობითაა განპირობებული, აღელვება-დაწყნარება ცნობიერების შინაარსის თვისებებთან, დაძაბულობა-შვება ცნობიერების ცნების აპერცეპციასთან. ემოციის ეს სამი კომპონენტი ერთიან, განუწყვეტელ, ემოციურ სისტემას ქმნის. ემოციები გავლენას ახდენს ინტელექტუალურ პროცესებზე. ამაში თავისი ადგილი უჭირავს მეხსიერებას. სერგი დანელიას მიხედვით ემოცია აჩქარებს, ან ანელებს წარმოდგენებს და საბოლოოდ ხელს უწყობს პიროვნების ინტელექტუალურ განვითარებას.

ამდენად, სერგი დანელიას ნაშრომი „ემოციის ბუნება“ ქართული ფსიქოლოგიური აზროვნებისათვის მნიშვნელოვანი საფუძველია.

მარიამ ბესიაშვილი, მაია მაისურაძე /გორი/

აკაკის ორი ლექსი და ებრაელთა ტრადიცია XIX ს. დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში

ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის (1840-1915წწ.) შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ებრაულ თემატიკას, რისი დასტურიცაა მის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ორი ლექსი: „იმედი ებრაელთა“ (1892-1893 წწ.) და „ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში“ (1907-1908 წწ.). აღნიშნული ლექსები დაიბეჭდა ქართული პრესის ფურცლებზე. ერთი ლექსი ეხება ებრაელთა ბედს და მათ ოცნებებს, მეორეში კი დაკრძალვის რიტუალია ასახული.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას პეტერბურგში უთარგმნია ილია ჭავჭავაძეს ბაირონის ლექსი „ებრაული მელოდია“ („სტიროდეთ“). აკაკი წერეთელმა თარგმნა ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“, 1863 წელს - ბაირონის „გოდება ებრაელთა“. გარდა ამისა 1897 წელს ქუთაისში, „მეურნის“ რედაქციაში დაიბეჭდა ლეგენდა „დავითის გვირგვინი“, „ქართველ ებრაელთა ლეგენდა“. გაზეთ „კვალის“ რედაქციამ მიიღო ორი



ახლად გამოცემული ქართული წიგნი: „დავითის გვირგვინი“, „ქართველ ებრაელთა ლეგენდა“ აკაკისა.

პირველი ეთნოგრაფიული ნარკვევი ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაზე საქართველოში ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძეს („ქართველი ებრაელნი საქართველოში“) და მის. ხახანაშვილს, მაგრამ ჩვენ შედარებისათვის გამოვიყენეთ უკვე საბჭოურ პერიოდში შექმნილი როზა თავდი-დიშვილის ეთნოგრაფიული ნარკვევი „ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“.

ლექსების ანალიზით დასტურდება, რომ აკაკი კარგად იცნობდა ებრაელთა ყოფას საქართველოში და აქტიურად თანაუგრძნობდა მათ. ამ ლექსებით მან გამოხატა თავისი ერთსულოვნება ებრაელი ხალხისადმი.


მანანა ბეჭვაია /მარტვილი/

სკოლამდელთა პიროვნული თვისებების ზოგიერთი ასპექტის შესახებ

აღზრდის წარმატება წარმოუდგენელია ბავშვის ასაკობრივი, ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებურებების გათვალისწინების გარეშე. ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, პედაგოგები გამოყოფენ ბავშვთა განვითარების შემდეგ ასაკობრივ პერიოდებს: ჩვილობისა - დაბადებიდან 1 წლამდე, ადრეული - 1-დან 3 წლამდე, სკოლამდელი - 3-დან 6 წლამდე, უმცროსი სასკოლო - 6-დან 10 წლამდე, საშუალო სასკოლო (მოზარდობის) - 10-დან 13 წლამდე, უფროსი სასკოლო - 13-დან 17 წლამდე.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადამიანის ინდივიდუალური ხასიათისა და გონებრივი განვითარების საფუძვლები 5-6 წლამდე ასაკში ყალიბდება. ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვნად განსაზღვრულია მისი, როგორც მომავალი პიროვნების, თვისებები; როგორი იქნება ის - გულთბილი თუ გულცივი, მხიარული თუ

გულჩათ-ხრობილი, საქმიანი თუ უპასუხისმგებლო, ბევრად ჩვენზეა დამოკიდებული.



ბავშვის თავდაპირველი მეტყველება ძირითადად „მინდა“, „მომეცი“, „არ მინდა“-თი ამოიწურება. თუ თხოვნის შესრულება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მისი ყურადღება სხვა მოვლენაზე უნდა იქნას გადატანილი (სეირნობა, დათვალიერება, მოსმენა...). ხშირად უნდა ვესაუბროთ ბავშვს ჩამჯდარი. საუბრისას თვალებში უნდა ვუყუროთ, რადგან ასე უფრო გავუთანაბრდებით და დავუმეგობრდებით. თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილი ჯიუტი არ გაიზარდოს, 5 წლის ასაკამდე განსაკუთრებით ვეცადოთ, რომ „არ შეიძლება“, „საჭიროა“, „მოიცადე“ სამართლიანი იყოს. ნუ ავყვებით ბავშვის ჭირვეულობას, ნუ შევცვლით „განაჩენს“, მაგრამ ნურც დავამცირებთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდი ქმედება უნდა „დაისაჯოს“ უშუალოდ ჩადენის შემდეგ, კარგი ქმედება კი წახალისდეს უშუალოდ კარგი საქციელის შემდეგ. თუ ბავშვმა „დაგვამარცხა“, მისი აღზრდა უფრო ძნელი იქნება, მაგრამ თუ „უმსგავსობის აღკვეთას“ ყვირილით და ჩხუბით შევეცდებით, ბევრად უარეს შედეგს მივიღებთ.

ბავშვების უმეტესობას უვითარდებათ ფიზიოლოგიური სიჯიუტე, რაც 5-5,5 წლამდე გრძელდება. ოჯახში გამუდმებით ისმის „არ მინდა“, „მე თვითონ“, „არ წავალ“... შეიძლება ხელიც დაგვარტყას და თუ ჩვენ ამას ღიმილით მოვუთმენთ, ისევ გაიმეორებს. ბავშვი მუდამ ეძებს საზღვარს „შეძლება-არ შეიძლება“ შორის და ცდილობს შეცვალოს იგი.

თუ გვინდა ბავშვი დამოუკიდებელ პიროვნებად აღიზარდოს, ყოველთვის ნუ დავეხმარებით სკამიდან, საწოლიდან ჩამოსვლაში, ნურც პატარების კინკლაობაში ჩავერევით. თუ თავის დაცვა არ შეუძლია, ვასწავლოთ როგორ მოიქცეს. თუ ცუდად მოიქცა, ყოველგვარი დამცირების გარეშე ავუხსნათ, რომ უკმაყოფილო ვართ მისით. ნურც იმ აზრს ჩავუნერგავთ, რომ ის „ცუდია“, თორემ მართლაც „ცუდს“ ითამაშებს. ხშირად გავიგონებთ „მე თვითონ“. შეიძლება ბავშვის გაკეთებული საქმის ხელმეორედ გაკეთება მოგვიწიოს, მაგრამ მაინც უნდა წავახალისოთ, რომ „იმუშაოს“

მიზნის მისაღწევად. 3 წლის ასაკიდან ბავშვს ხშირად ეუფლება შიში - ეშინია სიბნელის, ხმაურის, ყვირილის, ძალიან აშინებს მშობლის აღელვებაც. თუ ბავშვი შეშინდა, ჩავუჯდეთ და ჩავეხუტოთ; ნუ შევარცხვენთ და ნუ დავცინებთ. ძლიერმა შიშმა შეიძლება ნევროზი, მაგალითად, ენის დაბმა გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ზედმეტად ნუ ვალაპარაკებთ. მოვუწყობთ „სიჩუმის რეჟიმი“, ნუ ავაჩქარებთ ლაპარაკის დროს და ნუ გამოვხატავთ შეშფოთებას, რადგან შიშს ცოდნა ამარცხებს. ავუხსნათ და დავანახოთ, რომ რაც არ უნდა ბნელოდეს, ოთახი მაინც ოთახად რჩება და სათამაშოებს სიბნელის სულაც არ ეშინიათ. 4-5 წლის ბავშვი უამრავ კითხვას სვამს. ნუ წავუყრუებთ და ნურც ზედაპირული პასუხებით მოვიცილებთ. შევაქოთ, როცა რთულ კითხვას დავსვამთ, დავაინტერესოთ ჩვენი პასუხით. შევეცადოთ; დაიმახსოვროს ახალი ინფორმაცია. ამ ასაკის ბავშვს შეუძლია საიდუმლოს შენახვა და უჩნდება ახალი - სირცხვილის გრძნობა, თუმცა ეშმაკობას, მატყუარობასა და მამებლობასაც ადვილად ითვისებს. 5 წლის ბავშვი არამარტო არჩევს ცუდსა და კარგს, არამედ ინტერესდება - რა არის „ტყუილი“, „სამართლიანობა“, „სიცოცხლე“, „სიკვდილი“. ამ ასაკში მას ბევრი უცხო სიტყვა ესმის. უნდა ვკითხოთ, იცის თუ არა ახალი სიტყვის მნიშვნელობა, წავახალისოთ, რომ შეგვეკითხოს. ხშირად პატარა ხმამაღლა ფიქრობს, კითხვებს ხმამაღლა სვამს და ასევე ხმამაღლა პასუხობს. მოვუსმინოთ. თუ საჭიროდ ჩავთვლით, ჩავერიოთ, მაგრამ ნუ ვეცდებით, ვიფიქროთ მის მაგივრად.

ნაზი ბულაძე, იგორ კეკელია /მარტვილი/

ალექსანდრე გარსევანიშვილის სტუმრობა ძველ სენაკში

1917 წელს ძველ სენაკს სტუმრად სწვევია და სათავადა-
ზნაურო სკოლის დარბაზში ფინეთის კულტურის საკითხებზე

ლექცია წაუკითხავს ალ. გარსევანიშვილს, რომელსაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება და მხურვალე ტაძრულ-დაუმსახურებია. ამ სტუმრობის შესახებ მოგვითხრობს გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ (1917, #60, გვ. 4) გამოქვეყნებული სტატია „ალ. გარსევანიშვილის ლექციები“, რომლის ავტორია ვინმე ს. დ-ლია. ლექტორი შეხება ფინური ლიტერატურის აღორძინების, სწავლა-განათლების გავრცელების, ბეჭდვითი სიტყვისა და მუსიკალური კულტურის ზრდა-განვითარების საკითხებს. აუდიტორიაში ჟღერდა ფინური მელოდიები, რაც ხალხს დიდი სიამოვნებით მოუსმენია. „ძალიან მოგვეწონა იქაური მელოდია „ლაულუ“ - გლეხის სიმღერა: უკანასკნელ განყოფილებაში სიმებიანმა კვარტეტმა შესადარებლად დაუკრა ჩვენებური ხალხური სიმღერებიც. ჩვენს მეგრელებს ძალიან მოგვეწონა „ორი ოდელა“... კარგად დაუკრეს აგრეთვე ახალი ჰიმნი „ინტერნაციონალი“, - წერს ავტორი. შეხვედრაზე წაკითხულ რუნებერგის ლექსს - „სამშობლო მხარე“, დიდი აღტაცება გამოუწვევია, განსაკუთრებით შემდეგ სტრიქონებს - „ქვეყანა რომ დაიარო, გადალახო მთა და ბარი, სამშობლოზე ტკბილი მხარე არსად არი, არსად არი“, რასაც დიდი ოვაცია გამოუწვევია.

ცნობილი მწერლის - კირილე ჯავახიას (წუთისოფელი) შეკითხვაზე - რა სარგებლობას მოუტანს ამ სახის ლექციები ჩვენს საზოგადოებასო? - ალ. გარსევანიშვილს შემდეგი პასუხი გაუცია: „ფინეთი უავტონომიოდ სრულიად დაიღუპებოდა, რუსიფიკაცია მას მოსპობდაო. და შემდეგ იგი შეეხო საქართველოს ვითარებასაც: ასი წლის წინათ ჩვენ უფრო მაღლა ვიდექით იმ დროინდელ ფინელებზეო. საქართველო იხსნაო მისმა დიადმა წარსულმა - ლიტერატურამ, კანონმდებლობამა და კულტურამო“.

ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ალექსანდრე გარსევანიშვილი, მთელი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ძველი სენაკის სკოლაში მისი სტუმრობა ჩვენი მხარის კულტურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია.

ონოგურისის საიდუმლოება

სოფელ ხუნწში მდებარე მთას, რომელზეც ციხის ნანგრევებია შემორჩენილი, ადგილობრივი მოსახლეობა ნოჯიხუს („ნაციხარს“) ეძახის. ამჟამად ციხის მხოლოდ მცირე, ეკალ-ბარდებით დაფარული ნაშთია შემორჩენილი. ზედაპირზე აქა-იქ მოიპოვება სხვადასხვა საგნის ნამსხვრევები.

ციხის ნანგრევები ჩვენი ყურადღების ცენტრშიც მოექცა. პირველი გასვლა მოხდა 2012 წელს. ხუნწის საჯარო სკოლაში შექმნილ ფოტომოყვარულთა ჯგუფთან ერთად ავუყევით ნაციხარის გზას. თვალწინ გადაგვეშალა ცხენისწყლის ხეობა. აქედან მართლაც შესაძლებელი იქნებოდა მომხდური მტრის გაკონტროლება. ჩვენთვის ცნობილია, რომ მძლავრ ციხესიმაგრეებს აგებდნენ ხანგრძლივი ომებისას, სტრატეგიულად სასიცოცხლო რაიონების საკონტროლოდ, და ასეთი ეპოქა დასავლეთ საქართველოსთვის იყო VI საუკუნე.

დავიწყეთ მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება. ციხე დაახლოებით 1 კმ-ზე მეტ ფართობზეა გადაშლილი. გალავნის ნანგრევები კარგად შეიმჩნევა; თუმცა, როგორც ვთქვით, გვიმრით და ეკალ-ბარდითაა დაფარული. ზედაპირულად ავკრიფეთ სხვადასხვა საგნის ნატეხები და უკან გამოვბრუნდით. მეორედ ასვლისას ვაწარმოეთ მცირემასშტაბიანი გათხრები და მოვიძიეთ განსხვავებული ხარისხისა და ფორმის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე ციხის ცენტრში ვნახეთ წრიულად ჩაწყობილი სქელი აგურის ფილები. იქვე ვიპოვეთ მომინანქრებული ქვის ნატეხი. ჩვენდა საუბედუროდ სწორედ ციხის ცენტრშია აგებული „ბილაინის“ ანძა. ეს შეიძლება შევაფასოთ, როგორც ბარბაროსული ქმედება, ვინაიდან ტრაქტორის მიერ გადათხრილმა მიწამ კიდევ უფრო გაანადგურა იქაურობა. მოპოვებული მასალა ხუნწის სკოლაში დავაბინავეთ. დავიწყეთ წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, რაშიც აღწერილი იქნებოდა ჩვენი

ნაციხარი. გამოვიყენეთ ავთანდილ ფაილოძისა და იგორ კეკელიას ნაშრომები. აღმოჩნდა, რომ მათი მოსაზრებანი განსხვავებულია. შორიდან მთას უნაგირის ფორმა აქვს, ონოგურისი კი უნაგირიდანაა ნაწარმოებიო, - აღნიშნავს ავთანდილ ფაილოძე. აქვე იკითხება: „პროკოფი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, თეიმურაზ ბატონიშვილის, მარი ბროსეს, ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი გოზალიშვილის, ლევან მუსხელიშვილის გამოკვლევებზე დაყრდნობით ჰონოგურისი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეზე მდებარეობსო“.

აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი გოზალიშვილი თავის ნაშრომში - „ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში“, აღნიშნავს: უხემერიონი და ჰონოგურისი ერთიდაიგივე სასიმაგრო ციხეაო. ნოდარ ლომოურს კი ჰონოგურისი აბედათის ციხედ ჩაუთვლია. ამ მოსაზრებას იზიარებს იგორ კეკელიაც. რაც შეეხება სიმონ ყაუხჩიშვილს, „გეორგიკაში“ ასეთ კითხვას სვამს: „პროკოფის უქიმერიონი და აგათიას ჰონოგურისი ხომ არ მდებარეობს ერთსა და იმავე სექტორში?“ თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ ეს ორი პუნქტი მართლაც ერთსადაიმავე სექტორში, ცხენისწყლის დასავლეთ სანაპიროზე, ერთმანეთისაგან 6-7 კმ-ის მოცილებით მდებარეობენ და ძველად ჰკეტავდნენ ცხენისწყლის სატრანზიტო გზებს.

ძველი ჰონოგურისი ხონის ჩრდილო-დასავლეთით 10 და მარტვილის აღმოსავლეთით, 6 კმ-ზეა. ეს კი ჩვენი ნაციხარია. უქიმერიონი კი ცხენისწყლის ხეობაში, მის მარჯვენა მხარეს, არცთუ ისე მოშორებით მდებარეობს. უკვე ისე ძალიან დავინტერესდით, რომ გადავწყვიტეთ დავკავშირებოდით ამ საქმეში კომპენტენტურ ადამიანებს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გავიცანით და ვესაუბრეთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილეს, ბატონ ბესიკ ლორთქიფანიძეს, რომელმაც ნოქალაქევის ექსპედიციის თანახელმძღვანელებთან, ბ-ნ ნიკო მურღულიასთან და კემბრიჯის უნივერსიტეტის ლექტორთან, ბ-ნ იან კოვინთან ერთად დაათვალიერა ნაციხარი.

მათი ყურადღება მიიქცია შემორჩენილმა ნანგრევებმა და აღნიშნეს, რომ ქვისა და აგურის ერთად ჩაშენება ბიზანტიური მშენებლობისთვის დამახასიათებელი სტილია. იგი შეადარეს ნოქალაქევის მშენებლობის სტილს. ნ. მურდულიას აზრით, მშენებლობის ასეთი სტილი VI-VII სს-თვის იყო დამახასიათებელი. ციხის დასავლეთ ნაწილში შემორჩენილ ნანგრევზე ჩანს სათოფურები, რაც, სავარაუდოდ, გვიან პერიოდშია დაშენებული. დაასკვნეს, რომ საკმაოდ რთული და არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ნაგებობაა. უკან დაბრუნებულებმა სკოლაში გადაიღეს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები. ასევე გადაწყდა, რომ გაზაფხულზე აქ მოეწყოს ფართომასშტაბიანი ექსპედიცია. იმედს ვიტოვებთ, რომ უნაგირას მთაზე ნანგრევებადქცეული ციხის საიდუმლოებას მალე ფარდა აეხდება.

ზოია გადელია /მარტვილი/

ხუნწის დემოგრაფიული პრობლემები

ხუნწი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. სოფელში, სამწუხაროდ, ბევრი სახლი გამოკეტილია, ხოლო მოსახლეობა შეთხელებული. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა. ასეთმა სიტუაციამ გადამაწყვეტინა გამეგო, როგორია ჩვენი სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობა. ამის შესახებ ვესაუბრე მოსწავლეებს. ისინი დაინტერესდნენ და დახმარებას დამპირდნენ. მოსწავლეები უბნების მიხედვით დავანაწილე, რათა არ გაძნელებულიყო მუშაობა და სრულყოფილად მომხდარიყო მოსახლეობის რაოდენობის გარკვევა. პირადად ვესტუმრე სოფლის რწმუნებულს და ვთხოვე, ჩემთვის გადმოეცა მოსახლეობის რაოდენობრივი მონაცემები. მოძიებულ იქნა 2000-2010 წლების მონაცემები.

აღმოჩნდა, რომ 2000 წელს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა

1814 ადამიანს. 2005 წელს მდგომარეობა კვლავ იგივე რჩებოდა. 2008 წელს მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და 1790 სულს მიაღწია, ხოლო 2010 წლისათვის კვლავ უცვლელი იყო.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი სოფლის შობადობა-სიკვდილიანობის საკითხი. 2000 წელს მხოლოდ 14 ბავშვი დაიბადა, ხოლო გარდაიცვალა 15 ადამიანი. 2005 წლისათვის დაიბადა 9 ბავშვი, გარდაიცვალა 18 ადამიანი. 2008 წლის მონაცემებით, შობადობა განისაზღვრა 10 ბავშვით, გარდაცვალებამ კი 12-ს მიაღწია. 2010 წლიდან დღემდე მოსახლეობის სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას. 2010 წელს სოფელში 12 ბავშვი დაიბადა, ხოლო სიკვდილიანობამ საგრძნობლად იმატა. მარტო ცენტრალური ქუჩის კილომეტრნახევრიან მონაკვეთში 20 ადამიანი გარდაიცვალა. მათ შორის უმეტესობა მამაკაცია. 2013 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა, შობადობაც ნაკლებია. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემებიდან გამომდინარე მდგომარეობა არასახარბიელოა.

ასევე დავინტერესდით, თუ როგორი იყო სქესობრივ-ასაკობრივი თანაფარდობა 60-დან 90 წლის ასაკის ქალთა და მამაკაცთა შორის. ეს მონაცემებიც შევაგროვეთ და შედეგი სახეზეა: 60-დან 70 წლამდე ქალი - 88, კაცი - 77; 70-დან 80 წლამდე ქალი - 90, კაცი - 71; 80-დან 90 წლამდე ქალი - 53, კაცი - 23. მაშასადამე, 60-დან 90 წლამდე 231 ქალი და 171 მამაკაცია.

რამ განაპირობა მოსახლეობის მკვეთრად შემცირება? როგორი იყო და როგორია ეკონომიკური მდგომარეობა? რას საქმიანობენ თანასოფლელები? სად არის გამოსავალი? მთავარი საქმიანობა სიმინდის მოყვანაა. დაიწყეს თხილის წარმოებაც; მოჰყავთ სოიო, ლობიო და სხვა ბოსტნეული კულტურები. მოსახლეობა დასაქმებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობით. არ არსებობს მინიმარკეტები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სოფელში იყო ჩაის წარმოება, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა. ჰქონდათ კიტრის, პამიდვრისა და სხვადასხვა ჯიშის ყვავილების სათბურები. სოფელში იყო საბავშვო ბაღი, აბანო, სამკერვალო საამქრო, აგურის ქარხანა,

საყოფაცხოვრებო დაწესებულებები (მაღაზია, საპარიკმახერო, ფოტო-ატელიე). სოფელში არსებობდა წყალგაყვანილობა. 90-იან წლებში დატრიალებული მოვლენების შემდეგ სოფლის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. შეწყდა ჩაის წარმოება, დაინგრა მესაქონლეობის ფერმა, განადგურდა საბავშვო ბაღისა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები; ჩაის პლანტაციები ეკალ-ბარდებით დაიფარა. განადგურდა წყალგაყვანილობა. მოსახლეობის მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა. სოფელში შექმნილი მდგომარეობის გამო დაიწყო მიგრაცია. განსაკუთრებით ახალგაზრდობა აღმოჩნდა მძიმე ვითარებაში. ისინი სამუშაოს საძებნელად მიდიან ქალაქებში ან უცხოეთში, კერძოდ, თურქეთსა და საბერძნეთში, უფრო მცირე ნაწილი - რუსეთსა და იტალიაში. მოთხოვნების გაზრდამ დააჩქარა ოჯახების მიგრაცია ქალაქებში. სამუშაოდ წასულები უკან არ ბრუნდებიან და იკეტება სახლები, ცარიელდება უბნები, სოფელი. ახალგაზრდობის მიგრაციამ გამოიწვია სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება. ამჟამად მიმდინარეობს მოსახლეობის აღწერა და იმედს ვიტოვებთ, რომ დადასტურდება მოსახლეობის მატება; მით უმეტეს, რომ ხელისუფლება ცდილობს, გააძლიეროს და ააღორძინოს ჩვენი სოფლები.

სოფიკო გაწერელია, იგორ კეკელია /მარტვილი/

ფონ კრესის ცნობები საქართველოში გერმანული ახალშენების შესახებ

XX ს-ის I ნახევარში კაიზერული გერმანიის პოლიტიკური წრეები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ კავკასიის რეგიონისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. 1918 წელს საქართველოს სამხედრო-დიპლომატიური მისიით ეწვია წარმომავლობით ნიურნბერგელი პატრიციების ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი, გერმანიის არმიის გენერალ-მაიორი ფრიდრიხ კრეს ფონ



კრესენშტაინი (1870-1948 წწ.). მან დატოვა მემუარები, კავკასიაში გერმანული მისიის საქმიანობის აღწერა, მოკლე ანგარიშის სახით, რაც მოიცავდა მანქანაზე ნაბეჭდ 95 გვერდს. 1943 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, 73 წლის კრესმა ზემოთ ხსენებული ნაშრომი გადასცა მიუნხენის სამხედრო არქივს. ქართული ისტორიოგრაფიისთვის სავსებით უცნობი ეს მემუარები გერმანული ენიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო და 2002 წელს წიგნად გამოსცა ნოდარ მუშკუდიანმა.

ფონ კრესმა თითქმის მთელი საქართველო მოიარა. მისი ცნობები შეიცავს უაღესად საინტერესო და ყურადსაღებ მასალას XX ს-ის I ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. იგი ეხება ქვეყნის სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკურ, და განსაკუთრებით პოლიტიკურ მდგომარეობას. მემუარებში კრესენშტაინი საუბრობს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე გერმანული კოლონიების შესახებ.

ფონ კრესი აღნიშნავს, რომ განჯაში სტუმრობის შემდეგ იგი სწვევია კავკასიაში გერმანულ კოლონიათაგან უდიდესს, ულამაზესსა და უმდიდრესს, შვაბიური სტილით ნაგებ ჰელენენდორფს. მას ჰქონდა ფართო, ჩრდილოვანი ქუჩები, უბრალო ეკლესია, ყვავილებით შემკული ბაღები. ქერა ბავშვები ნაღდ შვაბიურ დიალექტზე ესაუბრობდნენ სტუმარს. 1817 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოსული პირველი გერმანელი კოლონისტები თბილისთანვე ახლოს, მარიენფელდში დასახლებულან. ეს იყო შვაბების 178 სული, რომლებმაც თავიანთი სამშობლო მიატოვეს ნაწილობრივ მაშინ მთელ სამხრეთ გერმანიაში მძვინვარე შიმშილობის, ნაწილობრივ - რელიგიური მიზეზების გამო, როგორც სექტანტებმა. იმავე წლის ბოლოს ჩამოსულმა 500 შვაბიურმა ოჯახმა კოლონიები დააარსეს ელიზაბეტტალში, ალექსანდერსდორფში, ახალ თბილისში, კატარინენფელდში, ანენფელდსა და ჰელენენდორფში. სულ ჩამოსახლებულთა რაოდენობა 531 ოჯახით, დაახლოებით 2700 სულით განისაზღვრებოდა. „მაშინდელი რუსეთის მთავრობა, - წერს ფონ კრესი, - ფართო დახმარებას უწევდა და ხელს უწყობდა გერმანელთა კოლონიებს,

სურდათ, ცოტა ხნის წინ დამორჩილებულ, რუსეთის მატომ-
რობითი ბატონობისადმი შინაგანად მოწინააღმდეგე ქვეყანაში
მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ელემენტი დაეფუძნე-
ბინათ“. გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ საკუთარი თვით-
მმართველობა, გერმანული ეკლესიები და სკოლები გერმანული
მოდვრებითა და მასწავლებლებითურთ. რუსეთის მთავრობის
გადაწყვეტილებით ქართველებს ეკრძალებოდათ გერმანულ
კოლონიებში დასახლება, რაც გერმანელთა ეროვნული თვით-
მყოფადობის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობის ღონისძიება გახლდათ, რადგან ამით შერეულ ქორწინებას
ხელი ეშლებოდა. შვაბები გამოირჩეოდნენ რკინისებური
ამტანობის, სიბეჯითისა და ადაპტაციის უნარით. ისინი ძირი-
თადად მევენახეობას მისდევდნენ. მათ დაუღალავი შრომის
შედეგად მიაღწიეს მნიშვნელოვან კეთილდღეობას. ფონ კრესის
სტუმრობისას ჰელენენდორფში ცხოვრობდა რამდენიმე მილი-
ონერი. კოლონიების განვითარების პროცესს ზოგჯერ ხელს
უშლიდა სერიოზული კრიზისები, რაც წარუმატებლობის ერთ-
ერთი პირობა იყო. ოჯახის წევრთა და საკუთარი ავლა-დიდების
ყაჩაღური ბანდებისაგან დაცვის მიზნით კოლონისტები იძულე-
ბული იყვნენ, ხშირად იარაღი აეღოთ ხელში.

რუსეთის მთავრობის კეთილი ნება გერმანელი კოლონისტების
მიმართ თანდათან გაქრა. ფონ კრესის თქმით, ომის წინა ბოლო ათ-
წლეულში კავკასიაში მიმდინარე რუსიფიკატორული მისწრა-
ფებების ზეგავლენამ გერმანულ კოლონიებზეც იმოქმედა. 1887
წელს გერმანული სკოლები რუსულ საზედამხედველო უწყებას
დაექვემდებარა. სასოფლო-სამეურნეო კულტურები, განსაკუთ-
რებით ვენახები, ორ-სამჯერ უფრო დაიბეგრა, ვიდრე არაგერ-
მანელთა მფლობელობაში არსებული. 1912 წელს მეფისნაცვლის
შუამდგომლობის საფუძველზე გერმანული კოლონიები დაექვემ-
დებარა საერთო კანონებს და ჩამოერთვათ მათთვის დასახლებისას
მინიჭებული პრივილეგიები. ასეთი რეპრესიული მანქანის
ამოქმედების მიუხედავად გერმანელი კოლონისტები მაინც
ინარჩუნებდნენ კულტურულ თვითმყოფადობას, რუსეთის

მეფისადმი ლოიალურ ქვეშევრდომობაში მყოფთა შვილები მსახურობდნენ რუსეთის არმიაში, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის წინ სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა - საყოველთაო გერმანოფობიის, ნერვიული ჯაშუშომანიისა და გაუგონარი მასშტაბის რეკვიზიციების სუსხი კოლონისტებმაც მთელი სიმკაცრით იწვნის. ბევრი ღირსეული და ავტორიტეტული კოლონისტი უმნიშვნელო საბაბით ციხეში აღმოჩნდა ან ციმბირში გადაასახლეს.

ცარისტული იმპერიის დაშლის შემდეგ საკუთარი შვილებისათვის გერმანულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაადვილების მიზნით გერმანელმა კოლონისტებმა ფონ კრესის თანადგომით და ფინანსური მხარდაჭერით გერმანული რეალური გიმნაზია დააარსეს. სკოლაში, სადაც პედაგოგიურ საქმიანობას ეწოდნენ გერმანული საჯარისო ნაწილებიდან წარგზავნილი პედაგოგები, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ გერმანელებთან ერთად სწავლობდნენ ქართველები და რუსები. დაარსდა გერმანულ-კავკასიური ბანკი, რამაც ხელი შეუწყო გერმანიასა და კავკასიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამოცოცხლებასა და გაადვილებას. 1906-1921 წლებში არტურ ლაისტის რედაქტორობით გამოდიოდა თბილისის გერმანელთა სათვისტომოს გაზეთი „კაუკაზიაშე პოსტ“. ფონ კრესის თქმით, არტურ ლაისტი თბილისში ყველაზე ავტორიტეტული გერმანელი იყო, რომელსაც „კაუკაზიაშე პოსტის“ აუცილებელი რეორგანიზაციის საქმეში გენერლისთვის საჭირო დახმარება უთხოვია. გაზეთში თანამშრომლობდნენ გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცებიც. გაზეთის რეგულარულად გამოსვლის პირობების გაუმჯობესების მიზნით ფონ კრესი ჯარის ნაწილებიდან მივლინებით აგზავნიდა ასოთამწყობებს.

გაიხსნა პოლიკლინიკები და მედპუნქტები. საზოგადოების ყველა ფენის მოწონებას იმსახურებდნენ გერმანელი ექიმები. გერმანული ჯარების გასვლის შემდეგ გერმანული სამხედრო ლაზარეთის მთავარი ექიმის, დოქტორ მერცვაილერის ინიციატივით ეს დაწესებულება სამოქალაქო საავადმყოფოდ



გადაკეთდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა კავკასია დაიპყრეს, - შენიშნავს ფონ კრესი, - „ჩვენს მიერ დიდი შრომითა და სიყვარულით შექმნილმა კულტურულმა დაწესებულებებმა არსებობა შეწყვიტეს და გერმანული კოლონიებიც მეტნაკლებად განადგურდნენ“.

ფონ კრესისთვის გერმანული კლუბის დაფუძნების საქმეში დახმარების თხოვნით მიუმართავთ თბილისში მცხოვრებ გერმანელებსაც. გენერალი თავის მემუარებში საუბრობს გერმანელ ინჟინერზე, რომელსაც სჯეროდა, რომ საქართველოში, ნატანების ახლოს, სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ნავთობის საბადოს მიაგნო და სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვდა (გვ. 108).

ფონ კრესის მოგონებები „ჩემი მისია კავკასიაში“ გაჯერებულია უტყუარი ისტორიული ფაქტებით XX ს-ის I ნახევრის საქართველოს შესახებ.

ია გელაშვილი /თსუ/

გოეთეს „მგზავრის სიმღერის“ ქართული თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უსათაურო ლირიკული შედევრის, პირობითად „მგზავრის ღამეული სიმღერა“ („Wand'ers nachtlid“), უამრავი თარგმანი არსებობს. სხვადასხვა თაობის უამრავმა ქართველმა მთარგმნელმა თარგმნა ის დასცადა დედანის სულისკვეთების გადმოცემა მშობლიური ენის საშუალებით. მონადირის სახლის ხის კედელზე მიწერილი ამ რვასტრიქონიანი ლექსის მკითხველს უნებურად თვალწინ წარმოუდგება ჩამავალი მზის სხივებში გახვეული, სიყვარულით შეძრული ახალგაზრდა მგზავრი, რომელიც სატრფოს ტკივილით წუხს და იმედოვნებს, რომ ტიურინგიის ტყის სუფთა, წყნარი და უშფოთველი გარემო ხელს შეუწყობს მის დამშვიდებას. „Wand'ers nachtlid“-ში „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდის გოეთეს სულისკვეთებაა აღბეჭდილი. პოეტს, რომელიც სულიც ნავსაყუდელის ძიებაშია,



ვერ უნახავს ადგილი განსასვენებლად. ამ მდგომარეობასთან ერთად ასახავს სულიერი და უსულო გარემო, რაც მისი შინაგანი სამყაროს სულიერი თანაზიარი ხდება. ამ ლექსზე არაერთი გამოკვლევა არსებობს, რასაც ვრცლად შევხებით ნაშრომში (ე. მ. უილკინსონისეული, ეგონ ადერჰლდისეული). ამ ლექსის სამოცდაათზე მეტი ქართული თარგმანი არსებობს. მათ შორის ყველა რა თქმა უნდა არაა სრულყოფილი და სხვადასხვა ნიშნებით სცილდება ორიგინალს. იმ ფაქტორის გამო, რომ გოეთე მიეკუთვნება იმ პროეტა რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ უბრალო სიტყვებს დიდი დატვირთვა მისცენ, მთარგმნელებში ქმნის წარმოდგენას, რომ ადვილი სათარგმნელია და მას თამამად ეკიდებიან. ამიტომ ზოგიერთ მათგანს უჭირს ამ სიდიადის და უბრალოების წვდომა.

წლების მანძილზე გოეთეს ამ ლექსის პირველ ქართველ მთარგმნელად იყო მიჩნეული გრიგოლ ორბელიანი („მთანი მაღალნი“, „ცისკარი“, 1865, N1). თუმცა მოგვიანებით დავადგინეთ, რომ ლექსის პირველი თარგმანი 1857 წლით თარიღდება და ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის (გამოქვეყნდა „ცისკარში“, 1859, N1).

ლექსს „ბედა მქადაგებელი“ მთარგმნელის მიერ მიწერილი ჰქონდა - „გეტესგან“. ასე იბეჭდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მისი პირველი გამოქვეყნებიდან 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ დადგინდა, რომ ლექსი ეკუთვნის არა გოეთეს, არამედ ბორის პოლონსკის (ი. კენჭოშვილი). მოტანილი რუსული და ქართული ვარიანტების საუბრეზე საკამათო არაფერი დარჩა. შეცდომა გასწორდა, თუმცა ლექსის ავტორად მითითებულია პოლინსკიც და გოეთეც.

იბადება კითხვა: საიდან მოიტანა ილიამ აღნიშნული ლექსის ავტორად გოეთე? ვინც გოეთეს „მგზავრის დამეულ სიმღერას“ იცნობს, პოლონსკის ლექსის ილიასეულ თარგმანში მისი ამოცნობა არ გაუჭირდება. „ბედა მქადაგებლის“ შესავალში ილიამ გოეთეს ეს მცირე ზომის შედევი (ბოლო ორი ტაეპის გარეშე) პოლონსკის ლექსის თარგმანის ექსპოზიციად გამოიყენა. ამითაცაა განპირობებული ალბათ სტილისტურ-კომპოზიციური სხვაობა

პოლონსკის ბალადასა და ილია ჭავჭავაძის თარგმანს შორის. ილია ჭავჭავაძის თარგმნილი „ბედა მქადაგებელი“ ორი ლექსის - გოეთეს „მგზავრის ღამეული სიმღერის“ და პოლონსკის „ბედა მქადაგებელის“ - შერწყმის შედეგია.

ნაშრომში ვრცლად შევხებით სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებისა და არა მარტო მათ თარგმანებს. საინტერესოა ამ მხრივ გრიგოლ ორბელიანის, როგორც რომანტიკოსი მწერლის, ვალერიან გაფრინდაშვილის, როგორც სიმბოლისტი მწერლის, თარგმანები. სრულიად განხვავებულია გოეთეს ამ ლირიკული შედეგის თუშურ დიალექტზე თარგმანი (ეთერ თათარაიძე, გაბრიელ ჯაბუშანური).

ნინო გელენიძე /ქუთაისი/

სერგი დანელია - პედაგოგიური აზრის მკვლევარი

სერგი დანელიას პიროვნებას და ამასთან ერთად რთულ ცხოვრებასაც ხსნის მისი სიტყვები: „აზროვნების დამოუკიდებლობა უდიდესი ღირებულებაა. კაცი მონაა, თუ მას საკუთარი აზრი არა აქვს.“

სერგი დანელია ჟან ჟაკ რუსოს პედაგოგიურ ტრაქტატად წოდებული ნაწარმოების - „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“, მთარგმნელია. ის, როგორც ფილოსოფოსი, კარგად იცნობდა არა მარტო ფილოსოფიის ისტორიას, ამასთან ერთად პედაგოგიური აზროვნების ისტორიასაც და მიჰყავდა ლექციების კურსი პედაგოგიურ მოძღვრებათა ისტორიაში.

სერგი დანელია აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. პრაქტიკული გამოცდილებისა და სისტემური თეორიული მომზადების სინთეზის ნიმუშია მისი საინტერესო ნაშრომები: „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საკითხისათვის“, „რევოლუცია და სკოლა“, „საქართველოს სკოლის რეორგანიზაციის საკითხი“, „ჩვენი საშუალო სკოლის რეფორმისათვის“.

სერგი დანელია არის ჟან ჟაკ რუსოს პედაგოგიური მემკვიდრეობის მკვლევარი და და ქართულ ენაზე პირველი მონოგრაფიის ავტორი. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია რუსოს ცხოვრება, ხოლო მეორე თავში - რუსოს პედაგოგიური სისტემა. პირველ თავში სხვა საკითხებთან ერთად რუსოს ფილოსოფიური პოზიციაცაა განხილული. საინტერესოდ და სისტემურად არის დალაგებული მეორე თავი, რაც ხუთი პარაგრაფისაგან შედგება: 1. ბუნება და კულტურა რუსოს მოძღვრებაში; 2. ისტორიზმი, როგორც რეფორმატორული მისწრაფების შედეგი რუსოს პედაგოგიკაში; 3. აღზრდის მთავარი პერიოდები; 4. ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა; 5. ქალის აღზრდა.

მართებულად მიაჩნია სერგი დანელიას, რომ არ იქნებოდა სწორი რუსოს „ემილში“ მხოლოდ ვიწრო პედაგოგიური ტრაქტატი დაგვეჩვენა, ვინაიდან, დასძენს იგი, აღზრდის პრობლემას რუსო უდგებოდა არა როგორც პროფესიონალი პედაგოგი, არამედ როგორც სოციალური რეფორმატორი, როგორც ფილოსოფოსი, რომელსაც სურს, აღზრდა აქციოს საზოგადოების გარდამქმნელ იარაღად.

რუსოს პედაგოგიურ სისტემაში ვრცლად არის აღწერილი და ამავე დროს გაკრიტიკებული, არისტოკრატიულ წრეში მიღებული ის წესი, რომლის მიხედვითაც მშობლები თავის შვილს ძიძას აბარებდნენ. ს. დანელია რუსოს პოზიციაზე დგას და წერს, რომ გაძიძავების ანუ შვილის თავიდან მოცილების ტრადიცია არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ კავკასიის მთიელთა შორის, აგრეთვე საქართველოსთვისაც იყო დამახასიათებელი.

სამწუხაროდ, წერს ს. დანელია, საქართველოში ამ ჩვეულებას არამცთუ ლიტერატურული მოწინააღმდეგე არ ჰყოლია, არამედ ზოგიერთი ჩვენი მწერალი სერიოზულად იცავდა და ამტკიცებდა, რომ თავადიშვილის ბავშვის აღზრდა ყმების მიერ დემოკრატიული წესი იყო, რადგან იგი ამყარებდა კავშირს ბატონსა და ყმებს შორის. რუსო სხვაგვარად უდგება ამ საკითხს; წინააღმდეგია, კიცხავს ამ ზნე-ჩვეულებას და ამტკიცებს, რომ




ძიძისათვის მიგდებული ბავშვი არ შეიძლება ნორმალურად აღზარდოს, რადგან ძიძა არ არის დედა და ბუნების კანონით შეუძლებელია, მას სხვისი შვილი თავისი შვილივით უყვარდეს.

რუსო როგორც ჰუმანისტი, ჰუმანისტური აღზრდის თეორიას ავითარებს და მოითხოვს აღზრდის განთავისუფლებას არა მარტო ეკლესიისაგან, სახელმწიფოსაგანაც. აღზრდას მიმართულებას უნდა აძლევდეს, წერს ს. დანელია, ბუნება, ამასთან უნდა იყოს ინდივიდუალური და მას ხელმძღვანელობს პირველ წელს დედა, შემდეგ მამაც. შედარებით ნაკლები მოცულობისაა, მაგრამ საინტერესო მოსაზრებებს ავითარებს ს. დანელია შრომაში - „ნ. დობროლიუბოვის პედაგოგიური შეხედულებანი“.

ლიანა გვალია /მარტვილი/

სოფელ ხუნწის ტოპონიმები

მოხსენებაში მოცემულია მსჯელობა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუნწის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიაზე. ვიმოწმებთ ხალხურ მოტივაციებს და არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასაც (გ. ელიავა, პ. ცხადაია, ი. კეკელია, ა. ფაილოძე...). ეს ტოპონიმებია: საბეკი, ქუქითი, სკვერთი//სკვერეთი, კეჭონა, ოკვანტიეში, ბუახარი, ნოჯიხუ „ნაციხარი“, მამფორიას გორა, შკაღელე, ხორხი(ლ)ი, სალევია, კაკიჩია, კიბულა, ფაქვა, ჯვარფერდი, ნაქეროუ, ბაბუშერი, ნატებერა, ჭყვეპონა...



მეგრული ენის ზოგი თავისებურების შესახებ

მეგრული ენა ზოგი ენისგან განსხვავებით მდიდარია ზმნისწინებით, რომლებიც, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას. ამ ზმნისწინებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი იმისი გათვალისწინებით, რომ მას არ ცნობს, ან ნაწილობრივ ცნობს ქართული ენა. ეს ზმნისწინია *მიშა*-, რომლის დართვა მნიშვნელოვნად ამცირებს ზმნით გამოხატული მოქმედების არეალს. მაგალითად, ზმნა *ჭკომუა-ს* (ჭამა) თუ დავურთავთ ამ ზმნისწინს, მივიღებთ მიშაჭკომუას, რაც ნიშნავს ჭამაში წილის დადებას ნაწილობრივ. თუ მას დავურთავთ სიტყვას - მოხვარა (მოხმარება), მივიღებთ მიშახვარება-ს, რაც ნიშნავს მოხმარებაში წილის დადებას, ნაწილობრივ მონაწილეობის მიღებას, ხელის წაკვრას, ერთი სიტყვით რომ გამოვხატოთ, დაახლოებით - წახმარებას, მაგრამ მეგრული ზმნა ამ შემთხვევაში უფრო ტევადია და აღნიშნავს წახმარებას საქმანობის დაწყების შემდგომ. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ზოგ ზმნასთან ეს ზმნისწინიანი სხვა ფუნქციის მატარებლადაც გვევლინება. მაგალითად, სიტყვა სხაპუა ნიშნავს „ცეკვას, ხტომას“. თუ ამ სიტყვას დავურთავთ *მიშა*-ს, იგი აღნიშნავს ცეკვაში წილის დამდებას. ასევე ეს ზმნა გამოხატავს ვინმეს მიერ რამეში ჩახტომას (მიშასხაპუა). აღნიშნულის გამო ის სუბიექტები, რომლებიც სხვა ენის მატარებლები არიან, და შემდგომ სწავლობენ მეგრულს, ამ ზმნისწინს სრულყოფილად ვერ იყენებენ.

მეგრულ ენაში ზმნისწინი „რომ“ ზმნას დაბოლოებად დაერთვის. მაგალითად, რომ მოსულიყო - მეგრულად ერთი სიტყვაა ქუმურთუმუდუკონ. *კონი* აქ „რომ“ ზმნისწინია. ასევეა კავშირი „რადგან“. მას მეგრული ენა ცალკე მდგომად არ ცნობს და ისიც პირდაპირ ზმნას დაერთვის. მაგალითად - რადგან არ მოვიდა, მეც არ მივსულვარ „ვამორთუნ, მათ ვემევრთი“. თუ კავშირ *უნ*-ის დართვა ხელოვნურობის ან დაუსრულებლობის შეგრძნებას

იძლევა, მეგრული პირდაპირ სესხულობს ქართულიდან.



მეგრულში არსებობს სიტყვები, რომლებიც ერთი ან ორი თანხმოვნით გამოიხატება. მაგ.: ბგ „აბია, დაბმულია“, გგ „ჰგავს“, დგ „იყო“, თგ „ითოვა; გოჭი“, კგდგ „კოდალა“, ლგ „ბუ“, შგ „დალია“, ცგ „დაცვივდა; პატივი სცა“, ძგ „დევს, გააჩნია, აქვს“, წგ „წელს, მიმდინარე წელს“, ჭგ „ნაწლავი; დაწვა (ცეცხლით)“, ხგ „პეშვი; დამხობილია (პირქვე)“. ამასთანავე, ეს სიტყვები არათუ მოითხოვს ხმოვნის დამატებას, არამედ ტენდენცია აქვს თანხმოვანი ნახევრად, ჩაკეტილად წარმოვთქვათ.

ოთარ დანელია /მარტვილი/

**მესამე განზომილებაში დანახული 800-წლოვანი
ოცნება და ლადო კილასონიას ფანტასმაგორია
(„დაე, ვერ მპოვოს ურჯულომ“ - რომანის
დედააზრის გაგებისათვის)**

XXI საუკუნის ქართული ლიტერატურა არ თვლემს, ძალუმად ფეთქავს. ლადო კილასონია ერთ-ერთი იმათგანია, ვინც პასუხს აგებს ამ პულსაციაზე. ძნელია საკუთარი ხნული გაავლო ქართული რომანისტიკის უკიდევანო მიწაზე, ისე, რომ შენი არ ჰგავდეს სხვისას. ლადო კილასონიას რომანის წაკითხვის შემდეგ ძნელი არ არის იმის აღიარება, რომ ახალგაზრდა მწერალმა შეძლო შეექმნა რაღაც ახალი, სინთეზური ჟანრის საინტერესო ამბავი.

რომანის სიუჟეტი სათავგადასავლო, ფანტასტიკური და დეტექტიური ეპიზოდებითაა გაშლილი. ის ერთი ამოსუნთქვით იკითხება და აქვს საოცარი ძალა, მოთავსდეს შენს მაგიდასთან, იმ ნაწარმოებების გვერდით, რასაც საუკეთესოს ტიტული უკვე მიანიჭე. ლადო კილასონია ოსტატურად ახერხებს მკითხველის

მონუსხვას. მისი თხრობა დინამიური და ტემპერამენტულია. ფლობს მარკეტინგულ ხრიკებსაც. წიგნის ყდაზე, ზედა მარცხენა კუთხეში მიწერილი ფრაზა - „არ მოიწყენთ“ - უკვე მკითხველის ინტერესს იწვევს და ემზადება რომანის წასაკითხად.

პატარა მოთხრობები რგოლებად იკვრება და ქმნის ერთ მთლიან ჯაჭვს, რაც მხოლოდ ერთხელ წყდება, იქ, სადაც ის თავი იწყება, რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, სრულიად ზედმეტი დამატებაა. ეს თავი შეგვიძლია წავიკითხოთ და არც წავიკითხოთ. თუმცა მას აქვს საკუთარი, მნიშვნელოვანი ფუნქცია რომანის სიუჟეტში, რადგან სწორედ ამ თავში ვხვდებით, რომ ეს რომანი ერთი „გიჟის“ მონაყოლია და სხვა არაფერი. მიუხედავად ამისა, ამბავი იმდენად საინტერესოა, რომ მწერალიც და მკითხველიც ჰარმონიაში მოდის ერთმანეთთან. რომანში მწერლის ბავშვობის-დროინდელი ოცნება - ეპოვა თამარ მეფის საფლავი, ფრთებს ისხამს. ქართველების 800-წლოვანი ნატვრა ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებშიც კი ვერ სრულდება. მწერალი საკუთარ ფანტაზიებში ვერ აძლევს თავს უფლებას, „გაამჟღავნოს“ საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი საიდუმლო.

„დაე, ვერ მპოვოს ურჯულომ“ ერთგვარი ქართული ზღაპარია, რომლის მთავარ გმირად ხანდახან ავტორი გვევლინება. გიგა, რომანის მთავარი გმირი, მამისგან დარჩენილი წიგნებით სავსე სახლში ცხოვრობს. იდუმალებით მოცული ამბავიც ამ სახლში იწყება. ერთ დღეს გიგა აღმოაჩენს, რომ მისი კარის საკეტი დაზიანებულია. მალე „იდუმალი ქურდიც“ გამოჩნდება - კაცი მათხოვრის იმიჯით, მაგრამ არა - მათხოვარი. მოხუცი გიგას მამის მეგობარია. ის ირწმუნება, რომ გიგას მამა ფლობდა თამარ მეფის საფლავის საიდუმლოს და ეს ინფორმაცია რეზუსების სახით ჩაწერილი ჰქონდა ქართული ხალხური ზღაპრების სამ სხვადასხვა გამოცემაში. გიგას ალღო და მოხუცის ინფორმაცია საკმარისი აღმოჩნდება რეზუსების ამოსახსნელად, რის შემდეგაც ისინი დაადგებიან თავგადასავლებით სავსე გზას, რომლის ბოლო გაჩერებაა მარტვილის რაიონის კურორტი ლეზარდე. მწერლის ფანტაზიით თამარ მეფის საფლავს

ლეზარდეს მთის ლოდები მალავს. უფრო სწორად, კურორტის ზემოთ, წყლის სათავესთან არის ქალაქი, სადაც თამარის საფლავის მეციხოვნეები იცავენ, რომლებმაც, თავის დროზე დაკრძალეს მეფეთ-მეფე. ეს სამყარო, თითქოს, მესამე განზომილებაა, სადაც მხოლოდ თამარის ეპოქის ერთ ეპიზოდს აქვს არსებობის უფლება. ეს არ არის ტიპიური საიქიო. აქ მხოლოდ ის ადამიანები ცხოვრობენ, შთამომავლებთან ერთად, რომლებმაც პირობა მისცეს მეფეს, რომ არ გაამხელდნენ მის საიდუმლოს.

ლადო კილასონია ოსტატურად რანდავს თითოეულ სიტყვას. შედარებების, მეტაფორების, ეპითეტების სიუხვის წყალობით რომანი საინტერესოდ იკითხება: „დიდი ჩანჩქერები ჭაღარა ნაწნავებივით ეშვებოდნენ მაღლიდან... დამბალ, ხავსმოდებულ, ჟანგისფერ ლოდებს შორის ცისარტყელა ჭრელ ხიდებად გადაჭიმულიყო. ქვებზე სისხლის შემხმარ წვეთებად ეყარა ხმელი ფოთლები... ლოდებს შორის დაგუბებული წყალი მუქ ლურჯ, ბინძურ სარკეებად ბრწყინავდა... მაღალ, დაკოჟრილ ხეებს ბზის პატარ-პატარა, მუქი მწვანე, ქოჩრიანი ბუჩქები შვილებივით ამოსდგომოდნენ...“

ლადო კილასონიას რომანს უამრავი ღირსება გააჩნია. თუმცა, თავად ავტორის თქმით: „ამ ამბავს აკლია სიღრმე, ფსიქოლოგიური პორტრეტები და წიაღსვლები, ისტორიული ფაქტები, მაშინდელი არქიტექტურის, ენისა თუ ადათ-წესების ცოდნა, ნამდვილობა...“ ნამდვილად ასეა. თუმცა მსგავსი ჟანრის წიგნს არც სჭირდება ღრმა ფილოსოფიური განცდები, რადგან სიმსუბუქეში გამოხატული შინაარსი ადვილად გასაგები და აღსაქმელია.

ოთარ დანელია, ამალია ჭილაია /მარტვილი/

რევაზ მიშველაძის მოთხრობა „მარტოხელა მგელი“

რევაზ მიშველაძის მოთხრობა „მარტოხელა მგელი“ მინიატურაში ჩატეულა, თუმცა უზარმაზარ ფილოსოფიურ აზრს



ატარებს. პატარა მოთხრობის სიუჟეტში საინტერესოდ არის ასახული მგლისა და ძაღლის ემოციები და გრძნობები. მგელი მარტოხელაა და სოფელს ხშირად „სტუმრობს“. გლეხებიც ხან მუცელგამოფატრულ ვაცს პოულობენ და ხან - ყელგამოღადრულ ბოჩოლას. ბახვა და გრიშა დილაადრიან გამოდიან მგელზე სანადიროდ. ხაპია დედალი მონადირე ძაღლია, რომლის ყნოსვისა და მოხერხებულობის იმედად არის ორის მონადირე. მგელმა და ძაღლმა ერთმანეთი ყნოსვით მოძებნეს: „ცხვირ-მიდებულები, გაქვავებულები ყნოსავდნენ ერთმანეთის დრუნჩ-პირს“.

მკითხველი საოცარი შეგრძნებების ტყვე ხდება. მწერალი შესაშური რეალიზმით აღწერს ცხოველების შინაგან ფორიაქს, სიყვარულით გამოწვეულს. ვნება, ცეცხლი, ჟინი, - ყველაფერი ერთად მოსწოლია მგელს. ხაპია ერთგულია პატრონისა და ძაღლური ღირსებისა. მგელი ყურადღებას არ აქცევს ძაღლის პრინციპებს და საკუთარი მხეცური ინსტიქტების დაკმაყოფილებას ცდილობს: „არა... არა... გეხვეწები... ჩვენს შორის ეგ არ შეიძლება. შენ სხვა ხარ... სხვა რჯულის ხარ... თავი მომეჭრება...“ ხაპიას ეს სიტყვები კიდევ უფრო აღაგზნებს მგელს...

ძაღლის ერთგულება უკვე მგლის წინაშე ახალმა ვალდებულებებმა განაპირობა. მან მგელი უსაფრთხო ადგილამდე მიაცილა. ცხოველებს შორის უკვე, სულ სხვა, მზრუნველი კილოთი გრძელდება საუბარი. ხაპია ბედნიერია, უფრო ბედნიერი კი მარტოხელა მგელია. მწერლის ხელობის უზადო ცოდნა რევაზ მიშველაძეს ეხმარება მცირე მოთხრობით ჩააფიქროს მკითხველი ისეთ მაღალ ღირებულებებზე, როგორცაა სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება და ა. შ. გაპიროვნების საშუალებით რევაზ მიშველაძემ „მარტოხელა მგელში“ ალეგორიულად ის ადამიანები დაგვანახა, რომლებსაც ვერაფერი დაუდგებათ წინ, თუკი უყვართ. სიყვარული ამარცხებს განსხვავებას ადამიანებს შორის. მისთვის არ არის მნიშვნელოვანი სხვების აზრი; მთავარია მოხდეს ის, რაც მოსახდენია. ძლიერი ამარცხებს სუსტს, მაგრამ სუსტი ამ დამარცხებით უკმაყოფილო

სულაც არ არის. იმარჯვებს ის, ვინც მიზნისთვის ყველა საშუალებას ამართლებს.

„მარტოხელა მგელი“ აკრძალულ სიყვარულზე მოგვითხრობს, რომელიც შეიძლება კარგად დამთავრდეს. ბახვას ეზოში, ხაპიას ირგვლივ, ყურებდაცქვეტილი ლეკვები დარბიან, რომლებიც ვერასდროს გაიგებენ, თუ სად არის მგელი, რომელმაც მათ სიცოცხლეს დასაბამი მისცა. „მარტოხელა მგელი“ რჩება მარტოხელად, ერთჯერადმა სიყვარულმა კი ბუნების ერთ-ერთი სასწაულის მოწმე გახადა სამყარო. რევაზ მიშველაძემ მინიატურულ მოთხრობაში მოახერხა ადამიანებისათვის კიდევ ერთხელ შეეხსენებინა სიყვარულის უპირობო არსებობის შესახებ.

ხატია დუნდუა /თბილისი/

ბუნების ფილოსოფოსები

- რა არის მითი?
- რითი განსხვავდება ფილოსოფიური და მითოლოგიური ცნობიერება ერთმანეთისაგან?
- როგორ დამკვიდრდა მითოსური აზროვნების ნაცვლად ფილოსოფიური აზროვნება ძველ საბერძნეთში? რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ფილოსოფოსობის დაწყებას ელინთა შორის?
- არის თუ არა მართებული ძველი საბერძნეთი მივიჩნიოთ ფილოსოფიის აკვნად, თუ აზიაცენტრისტული მოდელი უფრო შეესაბამება სინამდვილეს?...
- რატომ უწოდებენ სოკრატემდე მოღვაწე ფილოსოფოსებს „ბუნების ფილოსოფოსებს“ და რა განასხვავებს მათ სოკრატესა და მისი მომდევნო ბერძენ ფილოსოფოსთაგან?
- რა საკითხების შესახებ მსჯელობდნენ სოკრატემდელი ფილოსოფოსები, რაში ეთანხმებოდნენ ისინი ერთმანეთს და რაში ეწინააღმდეგებოდნენ?
- სუბსტანციის პრობლემა სოკრატემდელ ფილოსოფოსებში...

• დემოკრიტეს „ატომების თეორია“. რაში ეთანხმებიან თანამედროვე მეცნიერები ერთ-ერთი პირველი მატერიალისტი ფილოსოფოსის მსჯელობებს და რომელ მის აზრებს უკუაგდებენ.

• როგორ აფასებენ სოკრატემდელ ფილოსოფოსებს (ანაქსაგორა, თალესი, ჰერაკლიტე, ემპედოკლე და სხვა) უფრო გვიან ეპოქაში მოღვაწე მოაზროვნეები.

მელანო ზოსიძე /თბილისი/

სიცოცხლისა და სიკვდილის ცნებები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში

„იქნებ, ადამიანს დაბადებიდანვე მიჰყვება თან თავისი წილი სევდა, რომელიც, მერე სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი თანამგზავრით დაჰყვება ფეხდაფეხ. ტბასავით უძირო და ღრმაა ადამიანთა სევდა, ნაცრისფერი და ტკივილიანი, მაგრამ ღმერთმა ამ სევდასთან ერთად მოსაწყენი ყოველდღიურობის ნათელი ფერებით ასავსებათ პატარ-პატარა სიხარულიც გვიბოძა..... და სწორედ ამ პატარ-პატარა სიხარულისთვის ღირს და ფასობს სიცოცხლე...“

გოდერძი ჩოხელმა ქართულ მწერლობაში თხრობის სტილიც თავისი, განსაკუთრებული მოიტანა. იგი აშკარად ერიდება ამბის მოყოლის გადაჭარბებულ მეტაფორულობას. გვესაუბრება თითქოს უბრალოდ, სასხვათაშორისოდ. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული დაუკვირვებელი შთაბეჭდილებაა. მხატვრული ტექსტის მარღვიანობის მთავარი ბარომეტრი მისი მიმზიდველობაა, ის უხილავი ძაფი, რომელიც გაკითხებს ტექსტს, არ გაძლევს სიტყვის ან სტრიქონის გამოტოვების უფლებას და ხშირად კვლავ გაბრუნებს წაკითხულთან, გაფიქრებს, გაწუხებს, გსიამოვნებს, რაღაცით გაბრაზებს კიდევ, მაგრამ თავს აუცილებლად დაგამახსოვრებს.

გოდერძი ჩოხელს ხელეწიფება, თითქოს და ძალიან
უბრალოდ ილაპარაკოს უაღრესად ტრაგიკულ ამბავზე და
აბსურდამდე მისულ კომიკურ სიტუაციებზეც. ეს მწერლის მიერ
კარგად შემუშავებული ხერხია - გიყვება რაღაც სახუმაროს,
არასერიოზულს, რომლის იქითაც ისახება დიდი საზოგადოებ-
რივი მნიშვნელობის პრობლემაც. სწორედ მსგავსი სტილით,
ხუმრობითა და სილაღით შემოგვაპარა ყველაზე საზარელი,
საშიში და ჟრუანტელდამვლელი თემა - სიკვდილი, რომელიც
უარყოფს სიცოცხლეს. რა რჩება სიკვდილის შემდეგ?! რაა უფრო
სასიამოვნო: სიცოცხლე, რაც ადამიანურობასთან ასოცირდება,
თუ სიკვდილი, რასაც სხვა სამყაროში გადავყავართ?

უმთავრესი სიკვდილ-სიცოცხლის რაობაში გათვითცნობიე-
რების სურვილით აღძრულ-მოძალეებული შეკითხვა უნდა იყოს,
რაც ერთდროულად ყოველდღიურიცაა და მარადიულიც.

„რა არის სიცოცხლე? სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფლის
ტკბილი სევდაა. სიკვდილიც სევდაა, ადამიანად არ ყოფნის
სევდაა“.

რატომ მოდის ადამიანი ამქვეყნად, ეს ღმერთის გარდა არავინ
იცის. მწერალს სჯერა „იმ დიდი სოფლის“. ბავშვობიდან
ეკლესიის მოედანზე იზრდებოდა და ღვთის რწმენა მოიცავდა
მის არსებობას. სწორედ აქ არის მინიშნებული სიცოცხლის
სიკვდილზე გამარჯვების უტყუარი არგუმენტები: სიცოცხლე
მოვა, განვითარდება, გაჩერდება, მაგრამ არ გაქრება, სიკვდილი
კი, სიცოცხლის გარეშე ვერც მოვა და ვერც იარსებებს.

„საიდან მოდის დავიწყების მდინარე, ან სად მიდის, ანდა თუ
აქვს აზრი ჩვენს წასვლა-მოსვლას, თუკი ყოველივე მნიშ-
ვნელოვანს და წვრილმანს ერთიანად წალეკავს ეს მდინარე.
მაგრამ ალბათ აქვს აზრი, თორემ რა ააყვავებდა ამ ხეებს?!“
აშკარაა, რომ ავტორი მედლის ორივე მხარეს ათვალთქვებს,
ერთმნიშვნელოვნად არ აფასებს მოვლენებს, საკუთარ თავსაც კი
ეკამათება. სწორედ იმიტომაა იგი ამ კამათში გამარჯვებული,
რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების ფონზე განავითა-
რებს მისთვის მისაღებ ხედვას.

„ყველა ჩემი მოთხოვნა მეჩხუბება.
რაზე?

- ბოლოს რატო გვკლავო.

იმიტომ ვკლავ, რომ მიყვარან. ეგენი კი არ მიჯერებენ, ვერ იტანენ სიკვდილს.

- სიკვდილს ვერაფერ იტანს.

- მე ვიტან, მიყვარს, როცა მოთხოვნებს სიკვდილით ვამთავრებ, სიკვდილი ისევე ალამაზებს მოთხოვნების სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვდიადს“.

აქ, რა თქმა უნდა, მკითხველი გაიოცებს: ნუთუ შეიძლება იტანდე სიკვდილს? მაგრამ განმარტება იმდენად საინტერესო და უტყუარია, ბრმად იჯერებ, რომ საოცარი არაფერი წაგიკითხავს. მწერალი დაუღალავად ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლის არსზე, ხშირად პოზიციასაც იცვლის; თრგუნავს სიკვდილის წარმოსახვა, იქნებ აშინებს კიდევ; თუმცა, იმ აზრს, რწმენას, რომ ეს სრულყოფილი ციკლის, გარდაუვალი კანონზომიერების ქეშმარიტი აუცილებლობაა, ამტკიცებს და აძლიერებს ყოველი შემდგომი ჩაფიქრებისას.

სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო და 2025 წელს, სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული. მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ როგორი გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი. საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება: - აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!“

გოდერძი ჩოხელის სატირა ადამიანს ამხედრებს იმის წინააღმდეგ, რასაც დასცინის. დღეს, ალბათ, სწორედ ეს არის საჭირო, რადგან ცხოვრების ნეგატივებს დაცინვა აღარ უქმნის დისკომფორტს. ვოლტერი ამბობდა, დაცინვის აღქმა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ადამიანური გრძნობები არ დაუკარგავსო. გოდერძი ჩოხელის მიერ გამათრახებული „ბრიგადები“, დირექტორები, თავმჯდომარეები კი თანამდებობებმა და ფულის

სიხარბემ თხუნელებს დაამსგავსა, რომლებიც ადამიანურ ცხოვრებას არამართო ვერ ხედავენ, არამედ ყოველნაირად ერიდებიან დღის სინათლეს. მათი სამყარო ხომ ბნელეთია და ბნელი საქმეების კეთება.

გოდერძი ჩოხელი თანამედროვე ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთია, ვინც არ აჰყვამ ცდუნებას და შეყვარებული ქალისა და კაცის ურთიერთობა ვნების დონემდე არ დაიყვანა. მის მოთხრობებში სიყვარულს შენარჩუნებული აქვს ძველი კდემამოსილება, მითოსური იდუმალეობა, მკაცრი სისპეტაკე და თავშეკავებულობა, ამ გრძნობისადმი ღვთაებრივი პატივისცემა. მაგრამ ეს არ არის ერთმანეთისადმი პრიმიტიული, ტაბუირებული საქციელი, რომელიც სრულდება სიცოცხლის აზრს მოკლებული ვალდებულების, ან შიშის გამო. ეს მართლაც დიდი და ფაქიზი გრძნობაა, ამდლებული ურთიერთპატივისცემაა. ეს კი მსხვერპლშეწირვასაც ემსგავსება, თუ ვინმე წინდაუხედავად შეეხება მის ფაქიზ არსს. ნაწარმოების პერსონაჟებისთვის ეს მხოლოდ გრძნობა კი არა, სიმდიდრე და ადამიანური სიმალეა, რასაც უდიდესი გაფრთხილება სჭირდება. ვისაც წაუკითხავს გოდერძი ჩოხელის „სიყვარულის ცეცხლი“, ადვილად წარმოიდგენს, რისი თქმა და დახატვა შეიძლებოდა იმ მომენტის შესახებ, როდესაც შეყვარებული ჭაბუკი შეყვარებულ გოგოს თამამად მოექცა. ავტორმა ეს ეპიზოდი სხვანაირად დაგვიხატა, მაგრამ არა უხალისოდ, ვნებების გარეშე, თუმცა, არავითარი ნატურალიზმი, ან უხამსობა. სათქმელი ითქვა სრულად, მაგრამ ორივე პარტნიორი დარჩა მაღალ ადამიანურ დონეზე. მხატვრული დონე შეინარჩუნა ნაწარმოებმაც და შთაბეჭდილებაც წარუშლელი დატოვა.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას თან სდევს უდიდესი სევდა, სევდა, როაც ერთი მხრივ გამოწვეულია სიცოცხლით, ყოველდღიურობით, მეორე მხრივ კი ესაა სიკვდილი. მწერლის აზრით, ყველაფერს აქვს დასასრული და ადამიანთა სევდაც ესაა, რომ ერთ დღეს ყველანი რაღაც იდუმალს ვეზიარებით.

თავის უკანასკნელ დაბადების დღეზე გოდრძი ჩოხელმა თქვა: „ყველა ტკივილი ხალხისა გულზე გავატარე და ახლა გული მტკივა“... და მაინც... თავბრუდამხვევი სიყვარულის მორევში მწერალი სევდიანია, რადგან თავიდან ვერ იშორებს ადამიანად ყოფნის სევდას, რაც სიკვდილის შემდეგ აღარ განმეორდება. სიკვდილიც და სიცოცხლეს ერთი მოვლენაა ადამიანში, რაც არ მეორდება, როგორც სიყვარული...

მაკა კაცაძე /ქუთაისი/

კაბადოკია – ქართველ მოღვაწეთა სავანე

უძველეს დროში კაბადოკია ქართველ ტომთა განსახლების არეალად მოიაზრებოდა და მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა. მისი ტერიტორია დასავლეთით მდ. ჰალისამდე (ახლა ყიზილ-ირმაქი), სამხრეთით ტავრის მთებამდე, ჩრდ. შავ ზღვამდე, აღმოსავლეთით ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდე ვრცელდებოდა.

იგი მრავალი ცივილიზაციის აკვნად შეიძლება ჩაითვალოს. აქ ბატონობდნენ: ხეთები, ფრიგიელები, მიდიელები, სპარსელები, რომაელები, მოგვიანებით ბიზანტიელები. ძვ. წ. 546 წ. მცირე აზია აქემენიანთა სპარსეთმა დაიპყრო და ამ ტერიტორიის ზემოთ დასახლებულმა ნაწილმა სახელი კაბადოკია სპარსელებისაგან მიიღო, რაც `ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს`. ვეყრდნობით რა, ქართველ და უცხოელ ავტორთა გამოკვლევებს, უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ ეს ადგილები მესხური და სხვა ქართველური ტომებით იყო დასახლებული. პროფესორმა გ. გოზალიშვილმა ძველ ავტორთა ცნობების მიხედვით დაასკვნა, რომ ახ. წ. IVს-ში აქ ჯერ კიდევ მოსახლეობდნენ მესხები, რომლებიც კაბადოკიელებად იწოდებოდნენ.

თვით კაბადოკია ბუნებისაგან ნაძერწ შედევრად უნდა მივიჩნიოთ. კაბადოკიის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს კლდე-



ში ნაკვეთი ქალაქებისა და ეკლესიების მთელი წყება. იგი მერვე საოცრებადაა შეფასებული და დღემდე ათასობით ტურისტს იზიდავს. კაბადოკიის მიდამოებში დაახლოებით 36 ქალაქია (ახალი აღმოჩენების შედეგად რიცხვი უდავოდ გაიზრდება). მიწისქვეშა ქალაქები ერთგვარ ჯაჭვურ რეაქციას ქმნიან და არცთუ იშვიათად მიწისქვეშა გვირაბებით უკავშირდებიან ერთმანეთს. სავარაუდებელია, რომ მისი აღმშენებლები კაბადოკიაში მცხოვრები უძველესი მოსახლეობაა. საფუძველს არაა მოკლებული, რომ წარმართობის დროს თვდაპირველი დანიშნულება ამ მიწისქვეშა ქალაქებისა საკულტო ყოფილიყო. ქრისტიანობის დროს მან არა მარტო საკულტო, არამედ თავშესაფრის დანიშნულებაც შეიძინა. კაბადოკიის მიწისქვეშა ქალაქების აღმოჩენა და შესწავლა ძირითადად მე-20 საუკუნის 60-70 წლებიდან იწყება. დღეს-დღეობით მეტ-ნაკლებად უკეთესად შესწავლილია რამდენიმე მათგანი: დერინკუიუ, მაზი (მაზატა), ოზკონარი, კაიმაკლი, ტატლარინი, გიულშეხირი და აჩიკსარაი. ბევრი მათგანის ზედაპირზე ახლა განლაგებულია დასახლებული პუნქტები. ამ ქალაქების დაარსების ისტორია პროტოხეთებიდან იწყება (1200 ჩვ. ერამდე). მიწისქვეშა ქალაქები დიდ როლს ასრულებდნენ ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. აღმოჩენილი ეკლესიები და სამლოცველოებიც 800 წელია არ გამოუყენებიათ დანიშნულებისამებრ; ზოგიერთი ადგილი ჩაინგრა, ზოგიც მიწით ამოივსო.

კაბადოკია იმთავითვე ქრისტიანობის კერა იყო. ამ ქვეყანამ მსოფლიოს მისცა უდიდესი საეკლესიო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ღვთისმეტყველი.

კაბადოკიელები გამოირჩეოდნენ თავისი მისიონერული მოღვაწეობითაც. კირიონ კათალიკოსის (სამაგლიშვილი) თანახმად: „ბერძნები მისიონერულ მოღვაწეობაში დიდ გულმოდგინებას არ იჩენდნენ. მახლობელ აღმოსავლეთსა და საქართველოს მომიჯნავე მიწებზე ნაყოფიერი მისიონერული მოღვაწეობით კაბადოკიელები იყვნენ ცნობილნი. ეს სახელოვანი ქვეყანა -

დასძენს იგი, როგორც ცნობილია, ქართული ტომებით იყო დასახლებული-ო.



ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს კაბადოკიური წარმოშობა ეჭვგარეშეა. ივანე გვარამაძე წერს: „წმ. ნინო ქართველი უნდა ყოფილიყო და ქართული ენაც უნდა კარგად სცოდნოდა. ამისათვის სწერდნენ ლათინის და ბერძნის ისტორიკოსები ქართველ ტყვედ. უეჭველია ქართული ენის ცოდნის იმედით ჩავიდა მცხეთად და ქართული ენის საშუალებით ჰქადაგა ქრისტეს სარწმუნოება“. ს. გორგაძე თვლიდა რა პონტო-კაბადოკიას ძველი ქართული სამყაროს ნაწილად, მას არათუ ნინო, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის - მირიანის მეუღლე ნანა დედოფალიც ქართველად მიაჩნდა: „სახელი „ნანა“ (იგივე „ნონა“), - წერს იგი, - პირდაპირ გვიჩვენებს, რომ მირიანის მეუღლე პონტო-კაბადოკიიდან ყოფილა“... ის გარემოება, რომ ჩვენში უმაღლესი წრის წარმომადგენელთა შორის წმ. ნინოს ქადაგებას ყველაზე უწინ ნანა დედოფალი დაემორჩილა... შესაძლოა იგი ქრისტიანობასთან თავის სამშობლოშივე ყოფილიყო გაცნობილი - საფიქრებელია იგი ქრისტიანიც ყოფილიყო“.

საეკლესიო ზეპირგადმოცემის თანახმად, წმ. ნინო და წმ. გიორგი ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ. წმ. გიორგი კაბადოკიელის კულტი საქართველოში ყველასთვის ცნობილია, მის ქართულ წარმომავლობაზეც ეჭვი არავის ეპარება, მისი მისიაც იმდენად შესისხლხორცებული და გათავისებულია თითოეული ქართველის შემეცნებაში, რომ ქართველმა ხალხმა მის სახელზე 365 ეკლესია ააშენა.

თუ თვალს გავადევნებთ კაბადოკიის ეკლესიის ისტორიას, დავინახავთ, რომ პონტო-კაბადოკიის ეროვნული ეკლესიის ქრისტიანული თემები ერთ-ერთი უძველესი იყო, ჯერ რომის, შემდეგ ბიზანტიის იმპერიაში. აქ იყო ისეთი ცნობილი საეპისკოპოსოები, როგორებიცაა კესარიის, თიანისა, ტრაპიზონისა, ნისისა და სხვ.

კაბადოკიაში შევხვდებით ათასობით კლდეში ნაკვეთ ეკლესიას, რომლებიც ცხადად მოგვითხრობენ გარდასულ დროთა

ამბავს. გაუკაცრიელებულ და მიტოვებულ ეკლესიებსა და სენაკებში ოდესღაც დულდა ქრისტიანული ცხოვრება. ქრისტიანები განიცდიდნენ რა დევნას წარმართებისგან, კლდეში ნაკვეთ ქალაქებს ისინი იყენებდნენ არამარტო თავშესაფრად, არამედ საკულტო დანიშნულებისათვის.

კაბადოკიის კლდეში ნაკვეთი ეკლესიები უმეტესად განეკუთვნება ბიზანტიურ პერიოდს (IV-XVს). მას შემდეგ, რაც კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად (313წ) გამოაცხადა, ქრისტიანებმა მიატოვეს მნიშვნელობადაკარგული თავშესაფრები და სახლდებიან გორემის, სოანლის, ილხარის ხეობებში და მათთვის მშვიდობიანობის პერიოდში ხელი მიჰყვეს ერთმანეთზე განსაცვიფრებელი ეკლესიებისა თუ სენაკების კვეთას კლდეში.

თვალი გავადევნეთ რა კაბადოკიის მოკლე ისტორიულ ცნობარს, შევიქმენით გარკვეული წარმოდგენა ამ ლეგენდარულ კუთხეზე. მისი კვლევა-ძიება ჩვენთვის, ქართველებისათვის, პრიორიტეტულიც უნდა გახდეს, რადგან მისი უნიკალური არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა უფლებას მოგვცემს, არაერთხელ დავუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ კაბადოკია ერთიანი ქართული სამყაროს განუყოფელ ნაწილად განიხილოს.

ბაქარ კარკალაია, იგორ კეკელია /მარტვილი/

შიდა ეგრისის სახმელეთო გზების ისტორიისათვის

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების ამალღება დიდწილად სამიმოსვლო გზებისა (იქნებოდა იგი სამდინარო თუ სახმელეთო) და მთავარი საგზაო ელემენტების - ხიდების არსებობაზე იყო დამოკიდებული. მკაფიოდ განსაზღვრული მიმართულების სატრანზიტო და ხელსაყრელი გზები ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობ

ფაქტორს წარმოადგენდა. ამასთანავე, სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს „ლაშქრის დიდ მანძილზე გადასროლის მთავარ საწინდარს შეადგენდა ქვეყნის სტრატეგიული გზების მაღალი ტექნიკური დონე: თუ გზები გაუვალი და ხიდები უვარგისი იქნებოდნენ, მხედრობის მოძრაობაც შენელებოდა, ხოლო დარტყმის სისწრაფე და მოულოდნელობა განუხორციელებელი დარჩებოდა“ (ნ. კვეზერელი-კოპაძე).

შიდა ეგრისში, ციხეგოჯზე გამავალი უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზის შესახებ მსჯელობა მოცემულია პ. ზაქარაიას, ნ. ლომოურის, ვ. ლექვინაძისა და გ. გვინჩიძის თანაავტორობით 1984 წელს გამოცემულ წიგნში - „ციხეგოჯი-ნოქალაქევი“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ გზით ერთმანეთს უკავშირდებოდა ზღვისპირა ოლქები და ეგრისის აღმოსავლეთი მხარეები, შემდეგ კი - აღმოსავლეთი საქართველო. ზღვის სანაპიროდან რიონ-ფაზისის ქვემო წელის პარალელურად გამავალი გზა აწინდელ სოფ. ისულასთან (სენაკის რ.) ჩრდილოეთით უხვევდა და ნოქალაქევი-ციხეგოჯის, მარტვილის, ხონის, დედალოურის, გვიშტიბწყალტუბო-ქუთაისის, შორაპნისა და რიკოთის უღელტეხილის გავლით ქართლს აღწევდა. ამ გზაზე ნოქალაქევის სამხრეთ-დასავლეთით მდგარი ქ. სენაკის და შხეფის ციხეები, ხოლო აღმოსავლეთით - ნოჯიხევი („ნაციხარი“), მარტვილი, ონოგურისი და სხვ. მის ფორპოსტებს წარმოადგენდა (პ. ზაქარაია, ნ. ლომოური..., 1984: 12).

ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან აშკარაა, რომ პატივცემულ მეცნიერებს ნაკლებ სარწმუნოდ მიაჩნიათ სოფ. ისულას ზემოთ, აღმოსავლეთის მიმართულებით, რიონ-ფაზისის გაყოლებაზე ძველი სავაჭრო-სამხედრო მაგისტრალის არსებობა; თუმცა რიონისპირეთის ტოპონიმურ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი გზა მართლაც გადიოდა რიონის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, ახლანდელ აბაშისა და სენაკის რაიონების ტერიტორიაზე.

მხარეთმცოდნე გ. ელიავა „ზანათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გზის სახელწოდებად მიუთითებს ბერძენიში

შარას „ბერძნის გზას“ (გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, 1977: 59). უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში მოცემულია აღნიშნული გზის ლოკალიზაცია: „ჯვეში შარა//ბერძენიში შარა „ტურაკელის ქალის მიღმა, ნატახაზე გადის“, და იქვე შენიშნავს: ეს იყო რიონისპირეთის უძველესი სახმელეთო გზა ჯერ კიდევ ძვ. წ. Vს-ში (გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 1971). ტურაკე(ლი) ეწოდება სახნავეებს სოფ. გამოღმა ზანათში ტეხურის მარცხენა მხარეს. უფრო მეტიც: ზანათის მახლობლად მდებარე სოფ. სუჯუნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ფაზისიდან ქუთაისისკენ მიმავალ სამდინარო და სახმელეთო გზებზე. მოგვიანებით, კაპიტალიზმის ეპოქაში, სუჯუნა იყო შიდა სამეგრელოს სოფლებთან ვაჭრობის კერა (იქვე: 13). „ვაჭრებს აქამდე არხით ამოჰქონდათ საქონელი ფოთიდან. აქ იყო ბაზები და საქონლის გამანაწილებელი კანტორები. აქედანვე იგზავნებოდა შიდა რაიონებში საქონელი გასაყიდად“ (იქვე).

უნდა ითქვას, რომ შიდა ეგრისში გამავალ ძველ მაგისტრალებზე მსჯელობისას, წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში ტოპონიმური მასალა პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს. გზასთან დაკავშირებულმა ტერმინებმა სათანადო ასახვა ჰპოვა გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც.

იგორ კეკელია /მარტვილი/

ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში მოხსენიებული ერთი ჰიდრონიმის ლოკალიზაციისათვის (ხანიტა//ხაპეტის-წყალი)


სამეგრელოსა და აფხაზეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის აღწერა მოცემულია ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის, ყაზანის უნივერსიტეტის მეანობისა

და ზოოლოგიის პროფესორის, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პროფესორ ედუარდ აიხვალდის (1795-1876 წწ.) სამოგზაურო ჩანაწერებში. დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტებისა და ეკლესიების, სავაჭრო გზების, მდინარეებისა და სხვათა, აიხვალდისეული საფუძვლიანი აღწერა.

მოგზაური მიუთითებს, რომ კავკასიონზე, ხორჩას მთიდან გამომდინარე ხანიტა ანუ ხაპეტის-წყალი ერთვის ზღვას პიცუნდის ყურესთან, „ოღონდ სწრაფი დინების გამო სანაოსნოდ გამოუსადეგარია“ (აიხვალდი, 2005: 222). ამასთანავე, მან იცის, რომ არსებობს მდინარე „ბზიფის“ სახელწოდებით და შენიშნავს, რომ ჩერქეზები პატარა ნავებით დაცურავენ ბზიფზე და მდინარის კლდოვან ნაპირებზე დამალულნი „ხელსაყრელ დროს თავს ესხმიან აფხაზეთს“ (იქვე: 222).

მაშასადამე, აიხვალდი აფხაზეთის უმთავრეს მდინარეთა ჩამონათვალში ასახელებს როგორც ხანიტას//ხაპეტის-წყალს, ისე ბზიფს. თუკი ჩავთვლით, რომ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ მოხსენიებული „კაპეტის“ სახელნაცვალი ფორმა „ხანიტა“ ანუ „ხაპეტის-წყალი“, მაშინ ედუარდ აიხვალდის ცნობა ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე გამოთქმულ თვალსაზრისს „კაპეტის მდინარის“, „კაპეტის წყლისა“ და „ბზიფის“ იგივეობაზე.

ფაქტია, რომ გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ერთმანეთისგან აშკარად განასხვავებს ამ ორ მდინარეს, რასაც მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: ავტორი იცნობს აფხაზეთის ერთ-ერთ მხარეს სუბცის ანუ ბზიფის სახელწოდებით; ამასთანავე, აფხაზეთის მდინარეები ჩამოთვლილია შემდეგი თანმიმდევრობით: ღალიძგა, მარკულა, კოდორი, კელასური, გუმისთა, აფსთა, ხანიტა ანუ ხაპეტის-წყალი, მაჩიში, ბზიფი და სევაძე (იქვე: 222). ჩამონათვალიდან ჩანს, რომ აიხვალდი ხაპეტის-წყლის შემდეგ ასახელებს მდ. მაჩიშს ანუ ამჟამინდელ მჭიშთას, და ამის შემდეგ საუბრობს ბზიფზე. მდინარეთა დი-



ნების თანმიმდევრობა და ჰიდრონიმები იმდენად ზუსტადაა გადმოცემული, რომ ჩანაწერებიდან დამოწმებული ცნობების სიზუსტეში ეჭვის შეტანა ზედმეტ სიფრთხილედ შეიძლება ჩაითვალოს. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ XIX ს-ში შედგენილ ერთ-ერთ რუსულენოვან რუკაზე აფხაზეთის მხარეში, კერძოდ, აფხაზთა „ოკრუგის“ ტერიტორიაზე, გუმისთის მარჯვენა შენაკადს აწერია „ხაბოტა“, რაც, ჩვენი ფიქრით, სწორედ კაპოეტის-წყლის ან ხაპეტის-წყლის ვარიანტი უნდა იყოს. რუსულენოვანი რუკის თანამედროვე რუკასთან შედარება ცხადყოფს, რომ ამ სახელს ატარებდა მდ. დასავლეთი გუმისთა, რაც ამჟამინდელი მდ. აღმოსავლეთ გუმისთის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მკვლევართა მიერ ბზიფთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს *kepethi*-ს ფორმით (დიუბუა I, 1937: 100). ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

იგორ კეკელია /მარტვილი/

ტოპონიმ „ზუფუს“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

ლიხნის უწინდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რაც, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა“; ხოლო მდ. ხიფსთას, როგორც ფიქრობენ, ზუფუს-წყალი რქმევია. მდინარის სახელ-

წოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია ლიხთ-იმერეთის
წელს შედგენილ რუკაზეც.

ქ. ლომთათიძე „ზუფუს“ უკავშირებდა უბიხურ სიტყვას „ბზიფ“, სადაც „ბზე“ წყალია, „ფ“ კი - ტოპონიმური სუფიქსი. მაშასადამე, მკვლევრის აზრით, უბიხური „ბზიფ“-ის მეგრული ინტონაციით გაფორმებას უნდა მოეცა „ზუფუ“ (ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. ქ. „მნათობი“, #12, 1956:133). ამ მოსაზრების მართებულობას, ე. ი. ზუფ-ძირიანი ტოპონიმების უბიხურზე დაყრდნობით ახსნას, ეწინააღმდეგება დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ზუფუს პარალელური ფორმების (მაგ. ზუბი) გავრცელება. „მართალია, ტოპონიმ ზუფუს ეტიმოლოგიური ახსნა ვერ ხერხდება, - წერს ვ. ოკუჯავა, - მაგრამ მის ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ტოპონიმი „ზუფუ“ და ამ ძირიანი სხვა სახელები, თანაც სხვადასხვა ქართული სუფიქსებით, ძირითადად, გვხვდება სამეგრელოსა და ასევე იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე კოლხური ტომებით იყო დასახლებული. და ბოლოს, სახელწოდება ზუფუსთან უნდა იყოს დაკავშირებული გვარსახელი სუბელიანი“ (ვ. ოკუჯავა, 2002: 78).

ტოპონიმ „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პროფ. შ. მესხია შენიშნავდა: „დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი, ზუფ-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისთვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო“ (მესხია, 1967: 250).

ს. ბაზია-ოქრუაშვილი ჩამოთვლის აფხაზეთის ჰიდრონიმებს: ფსოუს, ფსისტას, ხიფსთას, იუფშარას, ლაშიფსეს, ფსირცხას, გუმისტას, მჭიშთას, შავწყალას, კელასურს, ტყვარჩელს, მაჭარას, ცხუმს, ზუფუს, ამტყელს, ჩხალთას, ცხენისწყალს, ოხოჯას და ა. შ., და აღნიშნავს, რომ „ამ მდინარეების სახელწოდებათა უმეტესობა სემასიოლოგიურად წყალს და წყალთან სიახლოვეს გულისხმობს და შეიცავს იმ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ წყლის ან წყლიანი ობი-

ექტების აღსანიშნავად გამოიყენება“ (ბახია-ოქუაშვილი, 2010: 196).



გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება ზუფუ, რაც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი ზუფ-//ზოფ- მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში (ჩიქობავა, 1997: 25, 276).

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა მოზუფუნც აღიღებული მდინარის სწრაფ დინებაზე უნდა მიუთითებდეს. ამასთანავე, ზუფუ და ურზუმი გაუვალნი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიანი ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგვეღო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ→ზუბუ→ზუბდიდი→ზუგდიდი) (ქირია, „მებრძოლი“, №79, 1963: 4).

ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით, ზუფო, ზუფუ, ზგფგ იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნაწველი“ (ქობალია, 2010: 311). იქვე მოცემულია მეგრული ზუფუა სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ღუილი; უხვად მოსკდომა (წყლისა)“. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუწყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებიტიანობაზე. როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

ტოპონიმ „ბებესირის“ განმარტებისათვის

ბებესირი//ბებე(ი)სგრი ეწოდება რამდენიმე ტბას გალის რაიონის სოფ. ტოგონში. აკონკრეტებენ შეთანხმებული ან მართული მსაზღვრელებით: დიდი ბებესგრი - ერისწყლის მარჯვენა მხარეს, და ჭიჭე ბებესგრი - მცირე ტბა გუდავის თემის სოფ. ოხურეიში, რაშიც ჩაედინება ზავრაფონი. გარდა ამისა, ტბები სახელდებული იყო პიროვნების კუთვნილების მიხედვით. კერძოდ, თარაშ ბებესგრი დიდ ბებესგრსა და ერწყარს შუა მდებარეობს, ბუბაშ ბებესგრი - დიდი ბებესგრის გვერდით. დამოწმებულია აგრეთვე ივაშ ბებესგრი და ნაზიაშ ბებესგრი. ტბა ბებესგრის სახელწოდებით ცნობილია აგრეთვე მარაჭა-პიჯში, სოფ. ფიცარღალში. ბებე(ი)სგრი//ოხაიონა ეწოდება მცირე ტბას ვერჩეში (პ. შეშელეთი); ბებესგრი ეწოდება ტბებს ოქუმწყარო-ოხურეიწყარს შუა, აჩიგვარასა და ოხურეიში. პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მიერ 2003 წელს გამოცემულ სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებათა ლექსიკონში ტოპონიმის განმარტება არაა მოცემული, მაგრამ მისი მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონზე“ დაყრდნობით, რომლის მიხედვით ბებესირი//ბებესირია სამეგრელო-სამურზაყანოში ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. მღვრიე, დაჭაობებული თხელწყალი; 2. წაგრძელებული, ოვალური (ტბორი). იქვე სიტყვა ბებე განმარტებულია, როგორც „გრძლად და მსხვილად ჩამოქნილი“ (ქობალია, 2010: 59). ტოპონიმ „ბებესირის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას სიტყვის ორივე მნიშვნელობის გათვალისწინება დასაშვებად მიგვაჩნია.

კომონიმ „სირიაჩქონის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

სირიაჩქონი სოფელია ოდიშის დაბლობზე, რიონის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 16 მ. სენაკს 18 კმ აშორებს, მუხურს – 6 კმ. სოფელი დასახელებულია ოდიშის მთავარ ბეჯან დადიანის მიერ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულების წიგნში. 1717 წელს შედეგნილ საბუთში ვკითხულობთ: „ანჯელი და სამარდანაო სრულად: რიონს გამოდმა. სირიაჩქონის თავის პირდაპირ... დიდის გამოძიებით გამოვიკვლიეთ...“ („მხარეთმცოდნე“, II, 2011: 47). სოფელი მოიხსენიება ასევე 1733 წლის გუჯარში (კაკაბაძე, I, 1921: 143). XIX ს. 30-იანი წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სირიაჩქონი საჭილაოს მაზრაში შედიოდა. ამავე მაზრის სოფლებს შორის 1855 წლის დოკუმენტში აღნიშნულია სირიაჩქონის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.

სამეგრელოს ეპარქიის 1838 წლის აღწერის მასალებში გვხვდება სოფ. სირიაჩქონის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ხოლო 1846 წლის დოკუმენტიდან (საარქივო საქმე №633) ირკვევა, რომ ამ ეკლესიის მღვდელი ყოფილა ეგნატე ლუხავა, დიაკვანი კი – გიორგი ღვამიჩავა.

1873 წლის სტატისტიკური აღწერილობის მასალებში მოხსენიებულია სოფ. საპრიაჩქონი ერთი ეკლესიით, რაც დღევანდელი სირიაჩქონია (ჭითანავა, 2010: 76).

კავკასიის მხარის 1886 წლის კომლობრივი აღწერის ჩვენებით სირიაჩქონი 73-კომლიანი (168 სული) სოფელია და შედის ქალადიდის სასოფლო საზოგადოებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზემო ქალადიდის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია 143 კომლით (644 სული). მ. შ. 4 სული სომეხია, 4 ბერძენი (დაყოფა, 1930: 146).

კ. ჰანის განმარტებით, სირიაჩქონი იგივეა, რაც „მუხა, რომელზეც სხედან ბელურები“ (ჰანი, 1909: 130). ა. ქობალიას


„მეგრულ ლექსიკონში“ სიტყვა „სირია“ განმარტებულია როგორც „ჩქერალი, წვრილი ნაკადი, ჭავლი“. ავტორი „სირიაჩქონის“ განმარტებისას ორ მნიშვნელობას იმოწმებს: 1. კუნძული ჩქერალში; 2. წყლიანი ჭალა“ (ქობალია, 2010: 593). ჩვენი აზრით, არც ერთი ეს განმარტება ზუსტი არ არის.

სირია მცირერიცხოვანი გვარია. კომპაქტური დასახლება შუა ნოსირში სასირიოდ იწოდება. რჩქონი, ჩქონი(ლი) აღნიშნავს გადაჩიჩქნილს, დაღარულს, მეორედ დახნულს. სხვა განმარტებით, ჩქონი წყალში მოქცეულ ადგილს, კუნძულს, ან ნახევარკუნძულს ეწოდება. ამასთანავე, ჩქონს ეძახიან წყალდიდობისას წყლით დაფარულ ადგილს, ნაწყლევს (ცხადაია, IV, 2008: 412). ქეგლ-ის მიხედვით მდინარისპირა ჯაგნარიან რიყეს ჩქონი ეწოდება (ტ. VIII). სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ ჩქონი დაბალი ნაშეა, დაბალი და მცირე ტყეა, ხოლო ნაშეს განმარტებისას მიუთითებს, რომ ესაა „რიყე ფიჩხ-ჯაგნაროვანი“. მიკროტოპონიმი „ჩქონი“ სამეგრელოში ბევრგან დასტურდება (ცხადაია, IV, 2008: 412-413).

სირიაჩქონის მნიშვნელობაა „სირიას კუნძული, ან ნახევარკუნძული; სირიას გვარის კაცის მფლობელობაში არსებული; მისგან მომდინარე“. სენაკის რაიონში ბევრგან დასტურდება ისეთი მიკროტოპონიმები, სადაც ფიგურირებს სიტყვა (რ)ჩქონი. მაგალითად, გებენაჩქონი (ადგ. ზემო ჭალადიდში), დიდრჩქონი (ადგ. ზემო ჭალადიდში), ჟიმოენი ჩქონი, ბეღიაშ ჩქონი (ორივე სოფ. ნოქალაქში), რჩქონი, ტეხირჩქონი (ადგ. ძველ სენაკში), ჩაგანაჩქონი (ჩაგანავა გვარია) და ა. შ.

ა. თოფურია წიგნში - „იყო ასეთი სოფელი“ (თბ., 1990) წერს, რომ რიონის ნამდინარევ ქვიშნარ ნაპირებს ჩქონი ეწოდება. ტოპონიმ *სირი-ა-ჩქონის* პირველი ცნებაა ჩიტის სახეობა *სირი*. ამდენად, ამ ორი ცნების შეერთებით მიღებულ სახელწოდებას („ჩიტო, აგერ ჩქონი) ა. თოფურია გაიაზრებს, როგორც ჩიტების საგალობელ ჭალას (თოფურია, 1990: 6-7). აღნიშნული მიაშიტური განმარტება ობიექტურობას სრულიად მოკლებულია. აქ

მამულები ჰქონიათ შალვა, ნიკოლოზ (კოლია), პლატონ და ანდრო იოსელიანებს (იქვე: 11).



იგორ კეკელია /მარტვილი/ კახაბერ ქებულაძე /ქუთაისი/

XX ს-ის რუსულენოვან რუკებზე დატანილი იმერეთის ტოპონიმთა მართლწერისათვის

ქართული ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია კავკასიის სამხედრო ოლქის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ XIX ს. დასაწყისში შედგენილი რუკები. მათზე დეტალურადაა დატანილი სოფლების, წყაროების, საეკლესიო და საერო ნაგებობათა (ციხესიმაგრეები) სახელწოდებები. რუკებზე რუსულ ენაზე წარმოდგენილ ტოპონიმებში განსხვავებული ბგერები მიახლოებითი სიზუსტითაა გადმოცემული. შესაბამისად, ზოგიერთი ტოპონიმი ფონეტიკური თვალსაზრისით სახეშეცვლილი ან დამახინჯებულია. ქართული დ რუსულში r ბგერით არის გადმოცემული, ჭ - ყ, ყ და ქ - к, წ - а- ბგერებით და ა. შ. რუკების შემდგენლებს ბოლომდე ვერ დაუცვიათ აღნიშნული პრინციპი. სწორედ ამ მიზეზით ზოგ შემთხვევაში к-ს ნაცვლად მოცემულია х, ხ-სა და გ-ს შესატყვისად კი - к (ხახმატის მთა - Какматис мта, ელიაგზა - Элиагза) (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ხორნაული, „ონომასტიკა“, I, 1987: 247).

ენათმეცნიერი გ. ხორნაული ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კავკასიის ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი ბევრი სახელწოდება დამახინჯებულია, რასაც გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის არასწორი აკუსტიკური აღქმა, ან ხელნაწერიდან, ჩანაწერიდან არასწორი ამოკითხვა განაპირობებდა (იქვე: 247-248). რუსულენოვანი რუკები მკვლევრის ყურადღებას იპყრობს იმდენად, რამდენადაც „რუკაზე აღნიშნუ-

ლი ზოგი გეოგრაფიული სახელი საგრძნობლად განსხვავდება დღევანდლისაგან, მაგრამ ეს სხვაობა მიუთითებს ტოპონიმის იმდროინდელ სახეზე, იმაზე, რომ ეს ტოპონიმი მაშინ ასე იხმარებოდა, შემდეგ კი შეიცვალა... ამ რუკებმა შემოგვინახა აგრეთვე ზოგიერთი გეოგრაფიული ობიექტის ძველი სახელი“ (იქვე: 248-249).

ჩვენს მოხსენებაში გაანალიზებულია რუსულენოვან რუკებზე დატანილი იმერეთის მხარის ტოპონიმები. მოცემულია ზოგიერთი ტოპონიმის ქართულ ენაზე მართლწერის საკითხი (მაგ. Мелаური - მელაური, ур. Окинчила - ოკინკილე, Намохвари - ნამოხვანი, Джоиджаура - ჯინჯოურა, Сацисквили - საწისქვილე, ур. Могобиля - მოღობილი, ур. Тишкара - ჭიშკარა, Чешура - ჭიშურა, г. Рабеглави - ნაბელღავი, Губра - გუმბრა, Чархулио-Геле - ჭაჩხურა...)

იგორ კეკელია /მარტვილი/ რაშაზ ჭიჭინაძე /ქუთაისი/

ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიიდან

ამიერკავკასიის საქალაქო რეფორმის შედეგად 1846 წელს შეიქმნა ქუთაისის მაზრა, რამაც იარსება გასული საუკუნის პირველი მესამედის მიწურულამდე (1929 წ.). ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და შემდგომი ცვლილებების განხორციელების შესწავლის თვალსაზრისით საგულისხმო წყაროს წარმოადგენს 1925 წელს გამოქვეყნებული „სსსრ ადმინისტრაციული დაყოფა“, რომლის მიხედვით მაზრა აერთიანებდა 45 თემს. ესენია: ქვიტირი, მუხიანი, ოფუჩხეთი, გოდოგანი, ჭოგნარი, რიონი, პატრიკეთი, ფარცხანაყანევი, წყალტუბო, მალღაკი, საყულია, ბაში, გურნა, ორპირი, საწირე, სვირი, ზედა სიმონეთი, ქვედა სიმონეთი, როდონოული (როდი-

ნაული), ოზრა, ბაღდათი, წითელი ხევი, ზეკარი, კოკნარევი, გორა, ვანი, ამაღლება, დვალისხევი, უხუთი, საპაიჭაო, ტობანიერი, კულაში, დიდი-ჯიხაიში, იანეთი, ეწერი, დანი-ჯაგანი (ალბათ ჭაგანი), გომი, გამოჩინებული, კუხი, დანი-ქვიტი, ნახახულევი, გუბი, ცხუნკური, გორდი და კინჩხა. ქუთაისის მაზრაში შედიოდა ქალაქი სამტრედია, მასზე მიწერილი სოფლებით. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში მოცემულია კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა. კომლთა რაოდენობა სულ 47321 იყო, სულთა რაოდენობა კი - 231594.

ნათია კენჭიაშვილი /თბილისი/

სახელდების პრობლემა პლატონის „კრატილოსში“ და თანამედროვე ლინგვისტიკა

პლატონის ნაშრომებიდან ყველაზე თვალსაჩინო ენობრივი საკითხების განხილვის მხრივ, არის დიალოგი „კრატილოსი“. მართალია, მისი ძირითადი პრობლემატიკა ფილოსოფიურია, თუმცა პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობა აგებულია ენობრივ მასალაზე დაყრდნობით, რაც ნააზრევს გაცილებით უფრო ღირებულს ხდის. მის დიალოგში საინტერესო და მრავალმხრივი დასკვნებია გამოტანილი.

მეცნიერთა აზრით, პლატონის დიალოგში ფიქსირდება იდეა ბგერებსა და საგანთა თვისებებს შორის ასოციაციური კავშირების არსებობის შესახებ. პლატონი მეტად ახლოს მიდის იმ პრობლემასთან, რასაც თანამედროვე ენათმეცნიერებაში ბგერით სიმბოლიზმს უწოდებენ (კ. ჭრელაშვილი).

სოკრატეს აზრით, საგნის გარკვეული თვისებები ასოცირდება ბგერებში, რაც შესაძლოა შემდგომში გამხდარიყო სიტყვის შექმნის სტიმული.

დიალოგ „კრატილოსის“ კითხვისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად იყვნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (სოკრატე, პლატონი და ა. შ.) დაინტერესებულნი ისეთი საკითხებით, როგორცაა

✓ სახელდების პრობლემა, რაც სოკრატეს გნოსეოლოგიურ რანგში ჰყავს აყვანილი და რაშიც სამი პლანი გამოიყოფა:

1. „ზუსტად შერქმეული სახელი მართებულია იმ საგნისადმი, რომელსაც ის აღნიშნავს? და სახელდობრ, ეს საგნებია თავისთავად თუ ჩვენი წარმოდგენები მათზე?“

2. „თუ შეიძლება წარმატებით შევისწავლოთ/შევიმეცნოთ საგნები მათი სახელების მიხედვით, ან თუ არის შესაძლებელი თვითონ თავისთავადი საგნების შემეცნება?“

3. „რომელი კვლევა იქნებოდა უკეთესი და სარწმუნო?“:

ა) „შევისწავლოთ თავად წარმოდგენები და დავადგინოთ ასახავს თუ არა ის [საგანს] და ასევე სინამდვილეს, რომელსაც ის გამოხატავს.“

ბ) „თუ თავად სინამდვილე უნდა შევისწავლოთ და დავადგინოთ, მისი ასახვა თუ შეესატყვისება საგანს?“ (439b).

თუ თანამედროვე ლინგვისტიკა ოპერირებს ისეთი ტერმინებით, როგორცაა გამოხატულებისა და შინაარსის პლანი, აღსანიშნი და აღმნიშვნელი, ასევე ცნება და აკუსტიკური ხატი, პლატონის დიალოგში წარმოდგენილი დისკუსია გულისხმობს

✓ სიტყვებს;

✓ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც თავისთავად არსებობენ ბუნებაში.

ამ ორმხრივ მიმართებას სოკრატე, როგორც პლატონის დიალოგის ყველაზე ავტორიტეტული მონაწილე, უმატებს კიდევ ერთ პრობლემურ, პრაგმატულ ასპექტს - ჩვენს წარმოდგენებს საგნებზე (439,). ამდენად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, თუ რამდენად სიღრმისეულია პლატონის დიალოგში გაშლილი დისკუსია და ის მსგავსება, რაც დღევანდელ ლინგვისტიკასთან აქვს.

მსგავსად ამისა, დღევანდელი ლინგვისტიკისთვის ერთ-
მანეთისაგან გამიჯნულია სამი პლანი:

- ✓ სიტყვები;
- ✓ საგნები და მოვლენები თავისთავად (როგორც ისინი
ესმოდათ ანტიკურობაში);
- ✓ და ეს უკანასკნელი ჩვენს ცნობიერებაში.

ამგვარი პარალელის გავლება აუცილებელია, როდესაც ჩვენ
განვიხილავთ ანტიკურ თეორიას სახელდების შესახებ, რომე-
ლშიც ორი მიმართულება გამოიყოფა: ერთი თეორიის წარ-
მომადგენლები ცნობილი არიან „ფუსეისტების“ სახელით, მეორე
კი „თესეისტებად“.

მადლენა კვესელავა /მარტვილი/

სინამდვილე და წარმოდგენა ემზარ ომანაშვილის
მოთხრობის მიხედვით („სიძე“)

ემზარ ომანაშვილი ნაკლებად ცნობილი შემოქმედია. პი-
რადად ჩემთვის ორი მოთხრობითაა ცნობილი. ესაა „სიძე“ და
„ქალტამი“. პირველი მოთხრობა ტრაგიკომიკური ნაწარმოებია.
მოქმედების ადგილი მითითებული არ არის, მაგრამ პერსონაჟთა
სახელებითა და გვარებით, ქცევით, ხასიათით, დიალექტით და ა.
შ., ვხვდებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, კახეთის
ერთ-ერთი სოფლის, ერთი ოჯახის „გასაჭირია“ აღწერილი, რითაც
მწერალი მკითხველზე გასაოცარ გავლენას ახდენს.

მოთხრობა თავებად არ იყოფა. იწყება უბრალოდ პრობლემის
ჩვენებით. ზამთრისპირია, საშინლად ცივა, ცა ჩამოქცევას აპირებს.
ასეთი ზამთარი არავის ახსოვს. თითქოს ოჯახს ბუნებაც თა-
ნაუგრძნობს. ბალამწარაანთ ბაბაღე წარმოსადეგი ქალია, ექვსი
შვილის დედაა. აქედან ხუთი ბიჭისა და მეექვსე, ნაბოლარა
გოგონასი. ბიჭები - შიუა, სამხედრო, და თედო, მევენახე ბრიგა-

დირი, ცალ-ცალკე კომლად, დანარჩენი სამი - ლენტუა, რობიზონა და ავთუა მამაპაპისეულ სახლში ცხოვრობენ, დაოჯახებულები არიან. ძველი სახლი ასწიეს, გასწიეს და ერთად ცხოვრობს თორმეტი სული შრომითა და ჯახირით. ბაბაღეს გასაჭირი ის არის, რომ ორი თვის წინ დანიშნული ქალიშვილის - მარადოს საქმრომ უარი შემოთვალა და სანიშნოს (ბელგას) დაბრუნება მოითხოვა. ეს დამამცირებელი და გაუხმაურებელი ამბავი შოკის-მომგვრელია ოჯახისათვის. ამ პრობლემის მომგვარებლად მოთხოვნაში გვევლინება ნათლიდედა ხუციანთ ნუშკია, რომელიც დაუპატიჟებლად ესტუმრება ბალამწარაანთ ოჯახს. გასაჭირს ბაბაღე სტუმარს გაანდობს. სტუმარმა შეიცხადებს, გულთან მიიტანს ამ ამბავს და ასეთ სტრატეგიას შეიმუშავებს: თითქოს გოგოს ოჯახიც წინააღმდეგია ამ ქორწინებისა და ნიშნობის წასაღებად დაიბარებს სასიძოს. შაშოაც დათანხმდა. მოქმედება კულმინაციურ წერტილს მაშინ აღწევს, როცა სასიძო საპატარძლოს ოჯახში გამოცხადდება სანიშნოს წასაღებად. ადათის მიხედვით მაგიდასთან კაცები დასხდნენ, მაგრამ ვერ იქნა და შაშოა ვერ მიიყვანეს სუფრასთან. ნუშკიას მიერ დადგმული წამოდგენის მეორე აქტი დაიწყო.

ოჯახის ყველა პერსონაჟი ერთად იკრიბება და იწყება ტრაგიკომიკური ორომტრიალი. შაშოა თავის დასაღწევ ხერხს ეძებს, მაგრამ ეს ერთობ რთული საქმეა. სიტუაცია იძაბება: „დავაჭრათ! - იძახის რობიზონა და კისერზე ჩამოვკიდოთ... ამის გამოცდილება ღორზე მაქვს მიღებული... ქვეყანა მაგაზე ვაცინოთ“. ამის გაგონებაზე შაშოა ადგილიდან მოწყდება და თოვლში გადაეშვება. იქიდან ამოძვრება და ელვის სისწრაფით ხის მორების ქვეშ შეგორდება. გატრუნული ზის მორებში და ნატრობს, რომ აქედან ცოცხალმა დააღწიოს თავი. ცივა, ირგვლივ ყველაფერი იყინება. ქარი ნამქერს ისეთი ძალით მიმოფანტავს, რომ ძმებს ცხვირ-პირი ერთიანად ეყინებათ. დამალულ შაშოას თოვლით ემუქრებიან, ჯოჯოხეთი მოუწყვეს. სასიძო ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობს მხოლოდ. ამ ეპიზოდის შემდეგ დაძაბულობის მუხტი ნელდება. დაპირისპირება მისამართსა და ხასიათს ცვლის. ამ



დროს ნათლიდედა ნუშკიამ წინასწარ მოფიქრებული ფანდი გამოიყენა: ვინ უნდა მოკლათ, თქვე უბედურებო, ჯერ გეკითხათ შაშოასთვის, გოგო მართლა არ უნდა, თუ?... ამის თქმაზე სასიძო ბუნაგიდან გასძახებს: - ვინ შემეკითხა, მე მარადოს წასაყვანად მოვედიო. მასპინძლებსაც ეს უნდოდათ. სასიძო სამალავიდან გამოიყვანეს, ცხელი წყლით ფეხები დაბანეს, თბილ ლოგინში ჩააწვინეს და მარადოც მიუწვინეს. დალოცეს კიდევ. ირგვლივ ყველა და ყველაფერი დამშვიდდა. მკითხველი მომხდარზე ემოციით, ირონიით, განცდითა და ხალისით რეაგირებს. მართალია, მოთხრობის სიუჟეტი დაძაბული, შფოთიანი და ხმაურიანია, მაგრამ ფინალი ორმაგად სახალისოა. მოთხრობის პერსონაჟები ტრაგიკომიკური ადამიანები არიან. ვითარება, რაშიც ისინი იმყოფებიან, ტრაგიკულია - გასათხოვარი შვილის, დის ნიშნობის ჩაშლა ოჯახისთვის დიდ უბედურებას წარმოადგენს. გზა, რომლითაც პერსონაჟები ტრაგიკულ ვითარებამდე მივიდნენ, ისევე, როგორც გზა, რომლითაც ამ ვითარებიდან თავის დაღწევას ცდილობენ, კომიკურია. მოთხრობის პერსონაჟები კახელები არიან; მეტყველებაც კახურ დიალექტს ეფუძნება. მხატვრული ხერხები: ეპითეტი, მეტაფორა ნაწარმოებში ბევრია, რაც ძირითადად პერსონაჟთა თხრობაში გვხვდება; მათი მეტყველების ბუნებრივი, ხალხური და ემოციური სტილი კი მხატვრულ აქსესუარებს ეთვისება. პერსონაჟის მეტყველება მოთხრობის უმთავრესი მხატვრული სფეროა. უაღრესად ცოცხალი დიალოგები არის ერთ-ერთი ფაქტორი, რისი წყალობითაც მოთხრობა შესაძლებელია სპექტაკლის სახითაც იქნას წარმოდგენილი. პერსონაჟები სხარტად, მოკლე წინადადებებით მეტყველებენ. არცერთი პერსონაჟი სიტყვას არ ამბობს იმისთვის, რომ მეორე პერსონაჟი ან მკითხველი გააცინოს. პირიქით, შფოთავენ, წუხან და მაინც მოთხრობა ღიმღით იკითხება. ეს იმას ნიშნავს, რომ კომიკურია არა სიტყვები, არამედ სიტუაცია, რაც ვითარებისა და მისგან თავის დაღწევის მცდელობის შედეგად იქმნება. სიტუაცია კი ისეთია, რომ თანაგრძნობის მიღების ყველა მცდელობა სიცილს იწვევს.

ემზარ ომანაშვილმა მკითხველს გული გადაუშალა და მშობლიური მიწის ამბები ლამაზად მოგვითხრო. მწერალი ოსტატურად ფლობს ტიპის შექმნის რთულ ხელოვნებას. მის მიერ გამოძერწილ პერსონაჟებს მხატვრულ სახეთა გალერეაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

სალომე კვინიკაძე /თბილისი/

ალ. ჭავჭავაძის „გოგჩა“ და ლამარტინის „ტბა“

რომანტიზმი არის გლობალური და ერთიანი მიმდინარეობა, რომელმაც XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მოიცვა. რომანტიზმი, რომელიც წარმოიშვა ევროპულ ხალხებში, რომანულენოვან ხალხებში, თავის საფუძვლად აღიარებდა რომანულ და შუასაუკუნეობრივ კულტურასა და ლიტერატურას. იგი ამით უპირისპირდება კლასიციზმს, რაც კლასიკურის, ძველი, ანტიკური კულტურის ფორმებს ბრმად და მონურად მისდევდა, რაც მისი ეპოქისათვის ხელოვნური იყო და ძნელად და ნაკლებად გამოხატავდა იმ ტკივილებსა და ურთიერთობებს, რომლებიც XVII-XVIII სს. ევროპაში სუფევდა. ამ რეაქციის შედეგად ევროპაში წარმოიქმნა ახალი მიმართულება – რომანტიზმი, რომელმაც თავის საფუძვლად, პირველ რიგში, აღიარა რომანული კულტურა, ევროპული შუასაუკუნეობრივი სული.

რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი დებულების თანახმად, ადამიანის წადილები და მისწრაფებები არ შეეფერება იმ სამყაროს, რაშიც ის არსებობს. მას შემდეგ, რაც ადამიანი დაინახავს თავის მდგომარეობას და შეიცნობს თავის მისწრაფებებს, მას იპყრობს მწარე იმედგაცრუებები, რადგან მისი ადგილი არ არის ამ სამყაროში; შესაბამისად ის მარტოსულია. ერთადერთი შვება, ადამიანის მეგობარი არის ბუნება, ხოლო

საშინელი რეალობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი საშუალება მათთვის უკიდევანო ფანტაზიათა სამყაროა. ამიტომ, რომანტიკოსები ხშირად იყენებენ თავიანთი ნაწარმოებების თემებად იდუმალ, ზებუნებრივ ისტორიებს. არსებითად გამოიყოფა ორი სახის რომანტიზმი - ერთ შემთხვევაში ხელოვანი ურიგდება ბედისწერას და მისი ნამუშევრები უკიდურესად მელანქოლიურია; მეორე შემთხვევაში კი ხელოვანი ცდილობს დაამსხვრიოს ბედისწერის ბორკილები. შესაბამისად ასეთი ნამუშევრების ტონი ბევრად უფრო მაჟორულია. რომანტიზმი, როგორც საერთო ევროპული მოვლენა, თითქმის ერთდროულად აღმოცენდა ევროპის ქვეყნებში. საქართველოში რომანტიზმის ჩასახვა და განვითარება განპირობებული იყო მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარებით. რუსეთთან შეერთებამ, ერთი მხრივ, დააჩქარა ქართული მწერლობის ევროპეიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვამ კიდევ უფრო გაამძაფრა ლიტერატურაში, აღორძინების პერიოდის მწერლობიდან მემკვიდრეობით მიღებული სევდის მოტივი. ქართული რომანტიზმის ფუძემდებლად ითვლება ალექსანდრე ჭავჭავაძე. მისი შემოქმედება მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ ლიტერატურულ ტრადიციებთან, ამავე დროს, იგი აშკარად უპირისპირდება ძველს და გვევლინება ახალი ლიტერატურის აპოლოგეტად საქართველოში. ფრანგული რომანტიზმი 1820 წლის დასაწყისში აღმოცენდა, ახალი რევოლუციური აღმავლობის წინაპერიოდში. მისი წარმოშობის წყარო შეგვიძლია დავინახოთ ჯერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსოსთან, რომელიც აჯანყდა განმანათლებლური ფილოსოფიის მსჯელობითი მხარის წინააღმდეგ და ისწრაფვოდა ადამიანის დაბრუნებისაკენ პირველყოფილ სიმარტივეში. პელისიე წერდა, რომ ფრანგული რომანტიზმის ფესვები იმყოფება იმ განწყობაში, რომელიც წარმოიქმნა საფრანგეთში რესტავრაციის ეპოქაში. საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეული კატაკლიზმები იქცა სწორედ უსაზღვრო პესიმიზმისა თუ სრული

დაბნეულობის გამოძახილად ფრანგ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ფრანგული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაწიწი წარმომადგენელი იყო ალფონს დე ლამარტინი. ლამარტინის პოეზიის ხიბლი მის ჯადოსნურ ეფექტშია: „მე ვგავდი მუსიკოსს, რომელმაც მელოდია იპოვა და ამ მელოდიას თავისთვის, ხმადაბლა დიდინებს“. მის ლექსებს ახასიათებს განსაკუთრებული, სხვებისგან გამორჩეული ტონი, ორიგინალური პოეტური სულისთვის დამახასიათებელი, რაც ესოდენ მნიშვნელოვან ადგილს ანიჭებს პირველი „ქეშმარი რომანტიკოსი პოეტის“ შემოქმედებას ფრანგული რომანტიკული პოეზიის მატრიანეში. რომანტიკულმა პოეზიამ მოიტანა პოეზიის ახლებური გააზრება და ასახვა. ბუნება რომანტიკოსთა აღმოჩენა არ ყოფილა, მაგრამ იგი არასოდეს გამხდარა ასეთი სათუთი ყურადღების საგანი. რომანტიკოსებმა სული ჩაუდგეს ბუნებას და დაუკავშირეს ის ადამიანის განცდებს. რომანტიკოსი პოეტისათვის მთავარია ბუნების სუბიექტური აღქმა, პეიზაჟისაგან მიღებული განცდებისა და შთაბეჭდილებების გადმოცემა.

ლამარტინმა 1820 წელს გამოაქვეყნა კრებული „პოეტური მედიტაციები“, რაც მოიცავდა 24 ლექსს. პოეტი ამით გადმოსცემს საკუთარ მდგომარეობასა და შთაბეჭდილებებს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ავტორის გრძნობები და პირადი ემოციები არის განხილვის ერთ-ერთი ძირითადი თემა, თითქოს ის იყოს პოემის ცენტრში. კრებულის ერთ-ერთი ლექსია „ეაც“. პოეტი იმყოფება და აღწერს იმ ადგილს, რაც მისთვის ძვირფასია, ბურჟას ტბას, რომელიც მოგონებათა მცველი და მემატრიანეა. იგი იხსენებს მიჯნურს და მასთან გატარებულ ბედნიერ დღეებს, ტბა კი იყო ამ სიყვარულისა და ბედნიერების მოწმე. როდესაც ავტორი მიდის ტბასთან უკვე მიჯნურის გარეშე, ის აცნობიერებს დროის ძალას, რაც ანადგურებს ყველაფერს, სიყვარულის მოგონებების გარდა, რასაც ამ ლექსში ყველაზე კარგად სწორედ ბუნება ინახავს. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ბუნების რომანტიკული გააზრება

გვხვდება ლექსში „გოგჩა“. ბუნების უმშვენიერესი ქმნილება, წმინდა და აუღვრეველი, ბროლივით გამჭვირვალე გოგჩის ტბა ალ. ჭავჭავაძეს საქართველოს დიად საუკუნეებს აგონებს, როდესაც იგი ერთადერთი ნათელი, კაშკაშა ვარსკვლავი იყო მის შემოგარენში. ლექსში ავტორი გვიცოცხლებს საქართველოს ოქროს ხანას და უკიდევანო გულისტკივილით გაჟღენთილი სიტყვებით გვისურათებს ქვეყნის სამარცხვინო ყოფას. უწინ ვრცელ ვაკეზე დღეს ბნელად ქვა-ყრილზე ჰქონიათ „ტაიჭთა სრბოლა, ჩოგნით ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცა და ისართ სროლა“. პოეტს, ბუნებისა და სიცოცხლის მოყვარულს, დარდს ჰგვრის დღეს უდაბნოდ ქცეული ადგილი ისე, როგორც გაკაფული ტყე, ფოთლებჩამოცვენილი ხე, შემოდგომის სუსხით გაყვითლებული მწვანე მინდორი და დამშრალი რუ, გინდ ტბა – სხვა არაფერი. პოეტი, წარსულის სანახაობით გულმოწყლული, აწმყოზედაც გადაიტანს ამ დაღვრემილებას და „აწმყოზე დაბმულობას“ სიბრმავეს ეძახის და სიცოცხლის მოსპობას ცხოვრების გაქრობის მომავლის ნამდვილ ხატს უწოდებს. ქვეყანა, რომელიც ოდესღაც განვითარების მწვერვალს უახლოვდებოდა, ოქრო-ვერცხლისა და სხვა ავლადიდების მორევში იძირებოდა: „მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!“ პოეტის თქმით, ყოველივე ზემოთჩამოთვლილი დაუნდობელმა დროის ბრუნვამ გააქრო, გოგჩის ნაპირებზე გაშენებული ქალაქი „დროსა მსვრელის ცელით“ განადგურებულია.

ორივე ლექსის ანალიზისას შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი თემა: დრო და ბუნების ძალა. ბუნება არის ის მკრთალი ფონი, დამხმარე მასალა, რასაც პოეტი საკუთარი ემოციური განცდებისა და განწყობილებების სიმბოლური გამოხატვისათვის იყენებს. აქ გადებულია ხიდი ბუნებასა და პიროვნების შინაგან სამყაროს შორის. აღნიშნულ ლექსებში დახატული „სულის პეიზაჟი“ ერთ განუყოფელ მთელად აქცევს ბუნების სურათსა და ადამიანის განცდას. არის დაპირისპირება აწმყოსა და წარსული დროის. წარსული აღვიძებს

განვილილ მოგონებებს, რომელთაც დიდი ემოციური დატვირთვა აქვს ავტორისათვის. წინა პლანზე წამოწეულია ადამიანის სიმყიფე, რომლითაც ლექსები მელანქოლიური და ელეგიური ხასიათისანი არიან. ეს სიმყიფე გამოიხატება დროის წინაშე ადამიანის უძლურებით. ალ. ჭავჭავაძე წერს:

„მაგრამ რა?! დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,

ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!“

ლამარტინის მიხედვით, ადამიანს არ შეუძლია დრო გააჩეროს. პოეტი სწუხს იმაზე, რომ დრო არის ფიცხი: „ილ ესტ ცაპრიციუხ“, ყველაფერი რაც ლამაზი და მშვენიერია დროის ძალით ისპობა, ადამიანი თითქოს ემორჩილება ცხოვრების დინებასა და ღელვას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ალ. ჭავჭავაძის, ისევე როგორც ალფონს დე ლამარტინის ლექსში, ბუნების სურათები მჭიდროდ არის გადახლართული მათ საკუთარ განცდებთან. კერძოდ, ტბა ერთგვარი მეტაფორული სიმბოლიკაა, რაც ხდება ემოციური ჭვრეტის საგანი. ორივე რომანტიკოსი პოეტი შეძრწუნებულია დროის წინაშე უძლურებით, რომელმაც დაუნდობლად წარხოცა მიწიერი დიდება, ფუფუნება, შვენება, განცხრომა, ბედნიერება, ჰარმონია, ნეტარება განსხვავება, ამ ორ ლექს შორის არის ის, რომ ბუნების სურათები „გოგჩაში“ ისტორიის, ადამიანთა მწუხარე თავგადასავლის - მწარე გამოძახილია, ასეთი ბრწყინვალე წარსულის მქონე ქვეყანა ბუთა თავშესაფრად არის ქცეული, ხოლო ლამარტინისათვის ტბა არის ადგილი, რომელიც მისთვის ძალზედ ძვირფასია, იგი ასოცირდება სულიერ სიმშვიდესთან და შინაგან ჰარმონიულობასთან. ლექსის ბოლო სიტყვები არის ლექსის კულმინაცია და იმის მტკიცება, რომ განვილილი დროის მიუხედავად ის გრძნობა და ბედნიერება უკვდავია ავტორისთვის, რადგან ამ ტბისა და მის გარშემო არსებული ბუნების შემხედვარე მას ახსენდება ბედნიერება და მიჯნურთან გატარებული დრო. ორივე ლექსი, მიუხედავად

მსგავსებისა, ავლენს სტილისტურ და შინაარსობრივ ინდივიდუალურობას და, ამდენად, რომანტიზმის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს.

ქეთევან კვინიკაძე, ნატა ბუცხრიკიძე /თბილისი/

მესამე პირდაპირობიექტური პირის მარკირებისათვის ქართულში

ზმნა სიტუაციის ამსახველი მეტყველების ნაწილია. პირის მორფოლოგიური კატეგორია მხოლოდ მას მოეპოვება. რომელობის მიხედვით პირი სამია, რაგვარობის მიხედვით ორი: სუბიექტური და ობიექტური. ობიექტი ორგვარია: პირმიმართი (O^d და O^{ind}) და პირმიუმართავი (O^{ind-up}). პირმიმართ ობიექტებს აქვთ თავიანთი ნიშნები ორსავე რიცხვში. პირველ და მეორე პირს თანაბრად შეუძლია ნიშნის გაჩენა. ამ მხრივ მესამე პირდაპირობიექტურ პირთან განსხვავებული ვითარება გვაქვს. ნიშანი ჩნდება მაშინ, თუ პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია. სახელობითბრუნვიანი ობიექტი ნიშანს ვერ აჩენს. მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენი მოხსენების მიზანია, არსებული მოსაზრებების მიმოხილვა და სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.

აკაკი შანიძის აზრით, პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი მხოლოდ პირველსა და მეორე პირში მოეპოვება. იგი ფიქრობს, რომ პირველ სერიაში, როდესაც პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დგას, ზმნაში ხან ჩნდება ნიშანი, ხან - არა. ამის მიხედვით აკაკი შანიძე გამოყოფს შემდეგი ტიპის ზმნებს: 1. „ჰყოფს“ ტიპი (მაგ.: მოჰკლავს, შეჰკრავს, დაჰლოცავს..), 2. „ქადაგებს“ ტიპი (მაგ.: ზრდის, შობს, ზრუნავს...), 3. შერეული ტიპი (მაგ.: ჰკავს//კავს, შეჰმუსრავს//შემუსრავს...). გარდა ამისა, ის გამოყოფს მეოთხე ჯგუფს - „დაჰბადა“ ტიპის ზმნებს, რომლებიც

წარმოშობით სამპირიანია. ძველ ქართულში კი შეიწყო ბენ ორ პირს. ასეთი ზმნებია: დაჰფლა, დასთესა, დაჰწერგა... არნოდდ ჩიქობავა ფიქრობს, რომ თუ ობიექტი სახელობითშია, მისი პირი არ აღინიშნება, მრავლობითობა კი აღინიშნება. მიცემითი ბრუნვის პირი აღინიშნება, მრავლობითობა - არა.

თამაზ გამყრელიძე ძველ ქართულში უკვე დაკარგულად მიიჩნევს მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანს, ირიბ ობიექტთან შედარებით ნაკლები „სიმძლავრის“ გამო.

ზურაბ სარჯველაძე ზმნებს ორ ჯგუფად ჰყოფს. ერთ ჯგუფს შეადგენს ზმნები, რომლებშიც წარმოდგენილია პირდაპირობიექტური პირის ნიშანი. მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ზმნებს ნიშანი არ აქვს.

ივანე იმნაიშვილის აზრით, თუ პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, ზმნაში მისი ნიშანი არაა წარმოდგენილი. მაგრამ თუ O_3^d მიცემითშია, მაშინ ნიშნის გაჩენას წყვეტს ზმნისწინის დართვა-არდართვა. ზმნისწინიან ფორმებს ექნებათ ობიექტური პირის ნიშანი, უზმნისწინოებს - არა. მაგალითად: ვ-წერ - და-ხ-უწერ, და-ჰ-უწერ, და-ვ-ს-წერ...

ლელა ციხელაშვილი მიიჩნევს, რომ პირველ სერიაში მდგარი O_3^d -ის მარკირების ის სურათი, რომელიც გვაქვს ძველ ქართულში, ვერ ასახავს ამოსავალ ვითარებას და შესაძლოა ენაში მიმდინარე გარკვეულ პროცესებში ლიტერატურული სკოლების ხელოვნური აღრევისა და სისტემატიზაციის ცდის შედეგი იყოს.

თედო უთურგაიძის აზრით, „მსგავსად პირველი და მეორე პირებისა, ობიექტურ მესამე პირთა ნიშნებიც იდენტური იყო და არის ძველსა და თანამედროვე ქართულში“. ის ფიქრობს, რომ „ქადაგებს“ და „ჰყოფს“ ტიპის ზმნები წარმოადგენდნს მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილების მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს. O_3^d -ს ნიშანი მოეპოვებოდა არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე სერიაშიც. „რადგან სვანურში მარკირებულია O_3^{ind} , უთუოდ მარკირებული იქნებოდა O_3^d -ც“. თ. უთურგაიძე თვლის, რომ მისი მარკირების გაქრობა მორფონოლოგიური პროცესების შედეგია.



წარმოადგენს ზმნის მიკროპარადიგმას, რომელშიც პირცვალებაა:

- I მი-მ-ცემ-ს [იგი მე (O₁^d) სიკუდილსა]
- II მი-გ-ცემ-ს
- III მი-ხ-ცემ-ს.

ზვიად კვიციანი /თბილისი/

სვანური ოქროს პრობლემა და მისიმელოთა აჯანყება
(აგათია სქოლასტიოსის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის)

VI ს-ს-ის 70-იანი წლებიდან სვანეთი ეგრისისაგან დამოუკიდებელი ჩანს. იუსტინიანეს „ნოველების“ მიხედვით, „სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწვევით „ბიზანტიელთა მეგობარი ხალხია“ (1.37).

ეს მეგობრობა, როგორც ჩანს, სვანებისა და ბიზანტიელების გარკვეულ სავაჭრო-ეკონომიკურ (სვანებს უნდა მიეწოდებინათ ოქრო, მარმარილო, ხე-ტყე, სელი, კანაფი, თაფლი, ტყავი, და სხვ., რაც სვანეთში უხვად მოიპოვებდა) და განსაკუთრებით სამხედრო ვალდებულებებში გამოიხატებოდა. სწორედ სვანეთის ოქრო, მის წარმოებაზე კონტროლის დაწესების ცდა იყო ძირითადი მიზეზი (და არა მარტო სვანეთზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზები) ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოქმნილი მწვავე დიპლომატიური დაპირისპირებისა (გეორგიკა #3, გვ. 83, 110-206). მით უმეტეს, ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დოკუმენტურად მტკიცდება ადგილობრივი ოქროს სარეწების არსებობის ფაქტი ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში. დადგენილია, რომ ანტიკურ ხანაში სვანეთში ადგილობრივი თვითნაბადი ოქროდან იჭრებოდა ალექსანდერე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერების მინაბაძები. დადგენილია მათი შემთხვევითი აღმოჩენების ტომოგრაფია. ოქროს მონეტების აღმოჩენის ადგილები ზუსტად ემთხვევა გზებსა და გადასასვლელებს. ანტიკურ

ხანაში აქ არსებული ფულადი მიმოქცევა (ელინისტური ხანის ინტერლოკალური ოქროს მონეტები, მათი ადგილობრივი მინაბაძები ძვ. წ. II-ახ. წ. II სს. და რომაული საფასეები) ადასტურებს სვანეთის მჭიდრო კავშირს დანარჩენ სამყაროსთან.

რუსტიკეს (გუბაზ მეფის ერთ-ერთი მკვლელი) სიკვდილით დასჯის შემდგომ იმპერატორმა კოლხეთში გამოაგზავნა სტრატეგოსი იოანე, მეტსახელად დაკნასი. აგათია მოგვითხრობს: „აი, ეს იოანე, მისიმელითა (კოდორის ხეობა) ქვეყანაში, რომ მივიდა და სათავეში ჩაუდგა რომაელთა ჯარს, უმაღვე ციხის გარშემო დარაზმა ყველანი და სცადა ალყის შემორტყმა და ამავე დროს იმათ წინააღმდეგ იერიშის მიტანა, რომელნიც ციხის გარეთ იმყოფებოდნენ, ერთი სიტყვით უნდოდა მთლიანად დაეფორიაქებინა მტერი. მეტი წილი საცხოვრებელი სახლებისა თვით ზღუდის შიგნით კი არ იყო, არამედ ერთს, იქვე ახლოს აღმართულ კლდეზე; აქაური ნაპრალებისა და დიდ მანძილზე გადაჭიმული ციცაბო ლოდების გამო შეუძლებელი იყო უცხოელთა და შეუჩვეველთათვის ამ ადგილებზე გავლა. ადგილობრივი მცხოვრებლები კი, რომლებიც ამ ადგილებში გამოცდილნი იყვნენ, თუმცა დიდის წვალებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ, როცა დასჭირდებოდათ, ვიწრო და მიმალული გზიდან ჩამოსვლას და მერე უკან აძრომას... ამ გაუგონარი ხოცვა-ჟლეტის მერე იოანემ სიამოვნებით შეიწყნარა მათი თხოვნა, რადგან ჯერ ერთი, უდაბურსა და მეტისმეტად ცივ ქვეყანაში აღარ სურდა უფრო ხანგრძლივად დაეყოვნა თავისი თავი და ჯარი საფრთხეში ჩაეგდო; მეორე მხრით, მართლაც რომ საკმარისად დაისაჯნენ უკვე ისინი, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ამრიგად, მან წამოასხა მძევლები, წამოიღო ფულიც, ბევრი სხვა რამეც და გარდა ამისა, მეფის ოქრო: ხალასი და ნამდვილი ნომიზმები იყო ოცდარვა ათასი და რვაასი. ყველაფერი ეს წამოიღო, დიდძალი ნადავლიც შეიძინა, და ნება მისცა მისიმელებს, კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ“ (აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ. III: 174). აგათის ცნობებიდანაც ჩანს, რომ მოტივი და მიზანი ნათელია,

ბექა კილანავა /თბილისი/

დიონისეს თეატრი, როგორც უკიდურესად ადამიანური მოვლენა

თეატრის ჩამოყალიბება ანტიკურ საბერძნეთში დიონისეს კულტთან არის დაკავშირებული. არისტოტელის მიხედვით ბერძნული დრამის ორივე უმთავრესი სახეობა - ტრაგედია და კომედია დიონისეს საკულტო დღესასწაულებიდან აღმოცენდა. თავდაპირველად ტრაგედია დითირამბის, ხოლო კომედია ფალიკური სიმღერების წამომწყებთაგან განვითარებულა.

დროთა განმავლობაში დიონისეს რიტუალური ხასიათი და მასთან დაკავშირებული თავაშვებული ექსტაზი, თუ ორგიასტული მოტივი უკანა პლანზე გადადის და ხდება რიტუალების ესთეტიზირება, ერთგვარი მოწესრიგება, რაც შემდეგში თეატრის დაბადებას განაპირობებს.

თეატრის განვითარების ისტორიის გარდა, მის საწყის ეტაპებზე საინტერესოა ის ფსიქოლოგიური, ზნეობრივი ცვლილებები უძველეს ადამიანში, რამაც დიონისესთან დაკავშირებულ დღესასწაულებში ჰპოვა ასახვა.

როგორც ვიცით, დიონისეს კულტი ელადაში ჯერ კიდევ დრამის აღმოცენებამდეც საკმაოდ გავრცელებული იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი იწყებს ხთონურის მოთოკვასა და კანონმდებლურ სამყაროში ცხოვრებას, სახელმწიფოს წარმართავს რაციო, სწორედ მაშინ ხდება სტიქიური მხარის, დიონისეს ფუნქციების კონკრეტიზირება, მისი კონტურების გამოყოფა. პოლისის კანონებითა და ეთიკური ნორმებით შებოჭილი მოქალაქე მიისწრაფვის იმ დროებითი თავდავიწყებისაკენ, რასაც მას ღვინის ღვთაება სთავაზობს.

ამდენად, დიონისეს თეატრი ის სტიქიური მოვლენაა, რომელიც ადამიანის განვითარების ისტორიაში აუცილებლად უნდა მომხდარიყო. დიონისეს თეატრისა და, საერთოდ, „დიონისურობის“ ემბრიონი თავად ადამიანის სულშია მოცემული.

ადამიანი ემოციური ცხოველია, ამდენად იგი ქვეცნობიერად გაურბის წესებით განსაზღვრულ, ემოციებისაგან დაცლილ ცხოვრებას, იმ „მოწყენილობას“, რასაც მას ყოველდღიურობა სთავაზობს. „მოწყენილობა“ საფუძველი ყოველგვარი თამაშობისა და გართობისა; დიონისეს თეატრი კი, როგორც სანახაობა, დღესდღეობით მრავალმხრივ გაგრძელებას ჰპოვებს (სატელევიზიო გადაცემები, კინო და სხვა და სხვა...)


ნინო კობაური /თბილისი/

პარმენ ზაქარაიას არქივი, როგორც კულტურული მემკვიდრეობა

პარმენ (ნაპო) ზაქარაიას პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს 2007 წლის აგვისტოში მისმა მეუღლემ ეთერ ციციშვილმა გადმოსცა. არქივის დამუშავება იმავე წლის სექტემბერშივე დავიწყეთ. პიროვნების დაუმუშავებელი არქივის შესწავლისას ისეთი დამოკიდებულება იქმნება, თითქოს მეცნიერის პირადი ცხოვრებისა და ინტერესთა სფეროს ველში შედიხარ - ხედავ მას ექსპედიციაშიც - თავისი საველე დღიურების ფონზე, სამუშაო მაგიდასთანაც - უამრავი ნაშრომისა და მოწესრიგებული არქივის ფონზე, აუდიტორიის ტრიბუნაზეც - ლექციების გეგმების, საგამოცდო ბილეთებისა და ბიბლიოგრაფიის ფონზე, საზოგადო მოღვაწედ - სხვადასხვა სახის განცხადების, წერილის ფონზე და ა. შ. ...

არქივი დავალაგეთ თემატურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

I) ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.



II) შემოქმედება:

- ექსპედიციები;
- ნაშრომები ციხესიმაგრეების შესახებ;
- ნაშრომები და მასალები არქიტექტურასა და ხუროთმოძღვრებაზე;
- ნაშრომები და მასალები ქალაქების შესახებ;
- ნაშრომები და მასალები ნოქალაქევის შესახებ;
- კ. ზაქარაიას მიერ სხვათა ნაშრომებზე გაცემული რეცენზიები;
- კ. ზაქარაიას ნაშრომებზე გაცემული რეცენზიები;
- ლექციები და სპეცკურსების გეგმები;
- წლიური ანგარიშები, ბიბლიოგრაფია;
- მასალები კ. ზაქარაიას ნაშრომების გამოცემასთან დაკავშირებით;
- სხვადასხვა ხასიათის სტატიები;
- კ. ზაქარაიას ამონაწერები ლიტერატურიდან.

III) მიმოწერა.

IV) სხვადასხვა.

არქივის აღწერილობას ახლავს პირთა და ტოპონიმთა საძიებელი.

პარმენ ზაქარაიას ნაშრომების უმეტესი ნაწილი მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა. არქივში დაცულია წერილები, განცხადებები, ხელშეკრულებები, შედგენილი სხვადასხვა მასალის პუბლიკაციასთან დაკავშირებით. ნათლად ჩანს, მრავალი ფაქტორის გამო, საველე სამუშაოებიდან დაწყებული, თუ რამდენი ძალისხმევა გახდა საჭირო იმისათვის, რომ მეცნიერის შრომა მკითხველამდე მისულიყო. 40-იანი წლების ერთ-ერთი ექსპედიციის დღიურზე, 1997 წელს გულდაწყვეტით მიუწერია: „აქ შეგროვილი მასალები სამწუხაროდ ერთიანად არ გამოცემულა, პირადად მე მხოლოდ რამდენიმე სტატია მივუძღვენი“. პარმენ ზაქარაია ამბობდა - „წარსულის კულტურა

მომავალი გამარჯვების დასაყრდენი და საწინდარი“, / ის ემსახურებოდა ამ კულტურის შესწავლას, დაცვას, კოპულარიაციას. „დავიცვათ ძველი დიდების მაუწყებელი ძეგლები“, „დავიცვათ წინაპართა ნაგებ-ნაამაგარი“, „დავიცვათ ეროვნული საუნჯე“. საარქივო მასალები გვამცნობს, რომ ის ხშირად ახერხებდა მსგავსი სათაურისა და შინაარსის სიტყვები კომუნისტურ ეპოქაში გაეხმოვანებინა. კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით თავადვე შექმნა და დაგვიტოვა კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პირად საარქივო კოლექციებში ცალკე ფონდად აღირიცხება.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება საარქივო მასალების სპეციფიკური მხარეები - მეცნიერის სამუშაო სტილი და მეთოდოლოგია, ექსპედიციის დღიურების ჯერ კიდევ ყურადღებაშიუქცეველი დეტალები, მისი, როგორც პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის, პორტრეტული შტრიხები.

სოფიო კორძაძე /თბილისი/

აბორტის პრობლემა ბიოეთიკაში

ბიოეთიკის წარმოშობა-განვითარება განპირობებულია XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ბიომედიცინის განვითარებით. XX ს-ის მედიცინა პრინციპულად ახალ ხასიათს იძენს. თანამედროვე მედიცინა არა მხოლოდ ახანგრძლივებს სიცოცხლეს (რეანიმაცია, ტრანსპლანტაცია, გერონტოლოგია), არამედ აქვს სიცოცხლის „მიცემის“ რეალური შესაძლებლობა.

XX ს-ის მედიცინას ძალუმს ადამიანის სიცოცხლით მანიპულირება, მისი მართვა (მაგალითად, ადამიანის განსაკუთრებულობების გენეტიკური კორექტირება, სიცოცხლის განადგურება ემბრიონალურ სტადიაზე, ორგანოების დონაცია დონორის თანხმობის გარეშე, მკურნალობის შეწყვეტა, ან უიმედო ადამიანისათვის სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა). მსგავსი

შესაძლებლობები წინააღმდეგობაში მოდის უკვე დადგენილ მორალურ ღირებულებებთან და პრინციპებთან. სწორედ ამ წინააღმდეგობის დასარეგულირებლად ფორმირდება ბიოეთიკა, როგორც ცოდნის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სიკვდილით და სიცოცხლით მანიპულირების დაშვებულ ზღვარს.

აბორტის პრობლემას განიხილავენ ფილოსოფოსები, მეცნიერბიოლოგები და თეოლოგები, ამას გარდა ისინი არიან ამა თუ იმ იდეოლოგიის ან ფილოსოფიის მიმდევრები. მსჯელობისას ხშირად ვარდებიან რადიკალიზმში, იყენებენ მაღალფარდოვან მორალურ არგუმენტებს და ავიწყდებათ, რომ აქ საქმე გვაქვს რეალურ ადამიანებთან! მიუხედავად თვალსაზრისების მრავალფეროვნებისა, ამ პრობლემის გადასაჭრელად პრაქტიკაში არსებობს მხოლოდ სამი მიმართულება.

მაგრამ არც ერთი ამ ჩამოთვლილი მიდგომებიდან არ გვაძლევს საშუალებას ლოგიკურად განვსაზღვროთ ემბრიონის მორალური სტატუსი. დამატებით სირთულეს კი ამ პოზიციების დამცველები ქმნიან, ემხრობიან რა ერთ პოზიციას, არ სურთ მსჯელობაში მეტი რაციონალურობის შეტანა და ჯამში ვიღებთ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომებს, თუმცა მე არ ვთვლი ამ პრობლემას გადაუჭრელ სირთულედ, მიმაჩნია რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოებებს (მაგ: როდესაც ნაყოფი საფრთხეს უქმნის დედის სიცოცხლეს, ქალი იძულებულია გაიკეთოს აბორტი, განსაკუთრებით თუ იგი ამავედროულად არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და ჰყავს სხვა შვილებიც).

ბოლო პერიოდში საქართველოში აბორტის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას, რაც ვფიქრობ, მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

რაც შეეხება პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს, კარგია, რომ ის დაინტერესდა ამ პრობლემით, მაგრამ კანონის ძალით აბორტების გაკეთების აკრძალვა, საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობ დაუშვებელია. როდესაც პატრიარქის ეპისტოლეში საუბარია გამონაკლისების



დაშვებაზე, ვიმედოვნებ, რომ აქ იგულისხმება აბორტის დაშვება ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებით და გაუპატიურების შედეგად დაორსულების შემთხვევები. გასათვალისწინებელია, რომ აბორტის აკრძალვა გამოიწვევს იატაკქვეშა მედიცინის ამოქმედებას. მოგეხსენებათ ჰიგიენის ნორმების დარღვევა აისახება პაციენტის ჯანმრთელობაზე და სიკვდილიანობაც გახშირდება, ასე რომ დემოგრაფიული მდგომარეობის თვალსაზრისით რა არის უფრო მისაღები, ლეგალური აბორტის შემთხვევაში, ჩანასახის სიკვდილი, თუ არალეგალური აბორტის შემთხვევაში მას დართული დედის სიკვდილიც?!

აბორტის პრობლემისადმი ძირითადად უარყოფითი დამოკიდებულება გვხვდება სხვადასხვა კულტურებში. ჯერ კიდევ 70 წლის წინათ ევროპაში ექიმისთვის ყველაზე დიდ შეურაწყოფად აბორტის გაკეთების შემოთავაზება ითვლებოდა და ამაზე მხოლოდ მორალურად დაცემული ექიმები მიდიოდნენ. ბავშვი ჩასახვის მომენტიდან არის ცოცხალი არსება. როდესაც მშობლებისგან დნმ-ის სახით ბავშვი იღებს ინფორმაციას, ეს სავსებით საკმარისი ხდება ცოცხალი ბიოლოგიური ორგანიზმის ჩამოყალიბებისათვის. მეცნიერები ამტკიცებენ რომ „ცოცხალი მატერია არ არსებობს, მატერიას არ შეუძლია სიცოცხლე. ის რაც ცოცხლობს ის გასულიერებული მატერიაა“.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება მისი ჩასახვიდან, მაინც რჩება კითხვა - არის თუ არა პიროვნულობა ადამიანური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და ეკუთვნის თუ არა ყველა ადამიანს ადამიანური პიროვნების ღირსება? გენეტიკოსები და სხვა ზუსტი მეცნიერებები იძლევიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, სიცოცხლეზე, მაგრამ პიროვნების კვლევა ეკუთვნის ფილოსოფიას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ადამიანის, როგორც პიროვნების, შესწავლა უკავშირდება ქრისტიანობის გავრცელებას, ფილოსოფიაში კი XIX ს-ის ბოლომდე ადამიანის, როგორც პიროვნების, შესახებ მსჯელობა არ მიდიოდა. და მხოლოდ XX ს-ში ამ

პრობლემამ წინა პლანზე წამოიწია; ჩამოყალიბდა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, პერსონალიზმი, ეგზისტენციალიზმი, ფსიქოანალიზი, სოციოლოგია.

ადამიანურ ემბრიონთან მიმართებით თანამედროვე ლიტერატურაში გამოიყოფა ორი მიდგომა, პიროვნების დასადგენად: ფუნქციონალური და სუბსტანციონალური.

აბორტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს დედა. ამ ეტაპზე, საქართველოსთან მიმართებაში არ ვემხრობით აბორტის აკრძალვას კანონის ძალით. ეს გამოიწვევს ქალების სიკვდილიანობის ზრდას არალეგალურად ჩატარებული აბორტების ხარჯზე. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია შემუშავებულ იქნას პროგრამები მოქალაქეების დასახმარებლად. ხშირია ფაქტები, როდესაც გოგონები იძულებულნი არიან გაიკეთონ აბორტი, რადგან შვილით ოჯახში ვერ დაბრუნდებიან, ხოლო ქუჩაში პატარა ბავშვთან ერთად, შიმშილით სიკვდილზე არცერთი ნორმალური ადამიანი თავისი ნებით არ წავა.

აბორტი მორალურად გაუმართლებელია, მაგრამ მსჯელობისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ გარემოფაქტორებს. აბორტი დასაშვებია ჯანმრთელობის და სხვა, სერიოზული პრობლემების არსებობის შემთხვევაში. რასაკვირველია, უკეთესი იქნება და აუცილებელიცაა, ქალი დაორსულებამდე დაფიქრდეს, უნდა თუ არა შვილის გაჩენა და როგორ აპირებს მის გაზრდას, აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფას. ადამიანი ხომ ცხოველისგან გონებით და აზროვნების უნარით განსხვავდება!

ერმალო ლანჩავა, ლალი ნაკაშიძე /ქუთაისი/

აგრესია და ძალმომრეობა


აგრესიის განმარტებაში არ არის ერთსულოვნება და მაინც მისი დეფინიცია შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: აგრესია არის განზრახვა, ლტოლვა ადამიანისა, მიაყენოს სხვას ზიანი -

ფიზიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური. ზოგიერთ შემთხვევაში კი, საერთოდ გაანადგუროს აგრესიის ობიექტი.

რაიმეს იგნორირება, ან საერთოდ საუბრის სურვილის არქონა, ასევე წარმოადგენს აგრესიას, რაც არ ჯდება მის ზემოთმოყვანილ განმარტებაში. ასეთი აგრესია ფასდება, როგორც პასიური აგრესია. ფროიდი თვლიდა, რომ იძულება, ყველა ფორმის ჩათვლით, გვევლინება აგრესიის ენერგეტიკული დაგროვების მუხტის შედეგის სახით; შინაგანი ენერგია აკუმულირდება სახიფათო ზღვრამდე, თუკი ადამიანებს არ გააჩნიათ განმუხტვის ადექვატური შესაძლებლობანი, ე. წ. კათარზისის მეშვეობით. კათარზისი შეიძლება განხორციელდეს რეალური ქცევის მეშვეობით, ან ირიბი ქცევის შედეგად. მაგალითად, პასიური დამკვირვებლის როლით. ზილმანმა წამოაყენა თეორია, რითაც ფიზიოლოგიური ალგუნებადობის გადაცემას ერთი სიტუაციიდან მეორეზე, ხსნიდა გენერალიზაციის პრინციპით. ამიტომაც მისმა შეხედულებამ მიიღო „ალგუნებადობის გადატანის თეორიის“ სახელწოდება. ეს კონცეფცია ემყარება დაშვებას იმის შესახებ, რომ ფიზიოლოგიური ალგუნებადობა, რითაც არ უნდა იყოს იგი გამომჟღავნებული, ქრება არა მომენტალურად, არამედ ეტაპობრივად.

ცოლ-ქმარმა ლებერებმა მკვლევარებისთვის შეიმუშავეს სპეციალური რეკომენდაცია ღია და ფარული აგრესიის გასარჩევად. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან 1) ქცევის პატერნალიზაციით; 2) ემოციებით; 3) კოგნიტური პროცესებით; 4) განვითარებით. ქცევის კუთხით ღია აგრესია ითვალისწინებს მსხვერპლთან პირდაპირ შეჯახებას - ფიზიკური ზიანის მიყენებას, ან ამგვარი მუქარის მიზნით. ფარული აგრესია ასეთ უშუალო კონტაქტს არ ითვალისწინებს, მაგრამ გამოიხატება სიცრუის, ცილისწამების, ან სხვა აგრესიული შეურაცხყოფის ფორმით. ასაკობრივ ზრდასთან ერთად ღია აგრესია სუსტდება, მაგრამ ძლიერდება ფარული. თუმცა, ერთი მხრივ, ბავშვებთან ღია აგრესია, ძალმომრეობის ქმედებით, შეიმჩნევა მატების ტენდენციით, ვინაიდან ასეთი ბავშვები მოზრდილ ასაკში ხშირად ჩადიან მძიმე

დანაშაულს, როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი ზიანის მიყენების ფორმით.



არსებობს აგრესიის გამოწვევის უამრავი პირობა და მიზეზი, რომლებიც კომპლექსურად აისახება ადამიანის ფსიქიკურ გუნება-განწყობილებებზე, რის შედეგადაც ვლინდება როგორც ღია, ისე აგრესიის ფარული ფორმები. თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში ამის გათვალისწინებით შემუშავებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური უსაფრთხოების წინასწარი პროფილაქტიკური ფსიქო-სოციალური ღონისძიებანი, რასაც უაღრესად პოზიტიური როლი ენიჭება თანამედროვე პრაქტიკული გამოყენებითი დარგების სისტემაში.

გიორგი ლომსაძე /თბილისი/

მაცხოვრის პარადიგმული სახელები: მზე და მტევანი

ქრისტიანულ შემოქმედებაში ხშირად გამოიყენება ღმრთისა და წმინდანების მიმართ სახისმეტყველებითი პარადიგმები. ისინი მოიხსენიება, ან გამოიხატება ისეთი სახელებით, რომლებიც თავიანთი არსით გამოხატავს როგორც უფლის თვისებებს, ასევე მას დამსგავსებული ადამიანების შინაგან თუ გარეგან ბიოგრაფიას. ამგვარი მეტყველების დამკვიდრების მიზეზი იყო მხატვრული მოტივი, ასევე ხალხის ცნობიერებაში ქრისტიანული რელიგიის უფრო ნათლად წარმოჩენა. პარადიგმულ მეტყველებაში მნიშვნელოვანია თვითონ ენის როლიც. საინტერესოა იესო ქრისტეს, როგორც ღმერთის, გააზრება მზისა და მტევნის სიმბოლოებით.

რევაზ სირაძე ქართულ სახისმეტყველებაში მზის სამ სახეს გამოყოფდა: ესენი იყო ეიდეტური, ანუ მითოსური, ეიკონური, ანუ ხატისებური და მზის საკუთრივ მხატვრული სახე. ეგვიპტელებს, შუმერებსა და ბერძნებს ღმერთი გაიგივებული ჰყავდათ მზესთან, მაგრამ აღქმა იყო მითოსური. ქრისტიანობაში იესოს

გაიგივება მზესთან არის უშუალოდ ქრისტიანული წარმოდგენისა, თავისი შინაარსობრივი დატვირვით, მაგრამ თავად პარადიგმა, როგორც ფორმა, ორივე ხედვისთვის საერთოა.

მითოსის ხანიდან მზეს ჰყავდა თავისი სწორფერები დედამიწაზე. მცენარეთა შორის ასეთი იყო ვაზი, რადგან ის განასახიერებდა სწრაფვას მზისკენ. ამ კუთხით საინტერესოა ძველი ნაწერი: „ლომისა ბურჯი მზისა სახლი არს და მის ცეცხლისაი, რომელ ქვასა შიგან არს... ხეთაგან რაიცა დიდნი და მაღალნი არიან“. ქართულ კულტურაში ამგვარი გადმოცემა შეერწყა ქრისტიანობას და გამოიხატა ამ სიმბოლოთა გაერთიანება არქიტექტურაში (ტაძრების ჩუქურთმებში), სასულიერო ლიტერატურაში. სადიდებელსა და სავედრებელ ჰიმნებში ქრისტე შედარებულია როგორც მტევანთან, ასევე მზესთან: „ტევანი ცხორებისაი, რომლისაგან იწინხა სიტკბოებაი გამოხსნისა ჩვენისაი, ღვთისმშობელო, შენ მიერ მოვისთულეთ ჩუენ“; „დიდებაი პირველ მზისა შობილსა ღმერთსა და ჩჩვილად ხილულსა ჩვენთვის“.

რაც შეეხება უშუალოდ ქრისტიანთა ღმერთთან მზის შინაარსობრივ მიმართებას, იოანე პეტრიწის თქმით, ის გამოხატავდა სამების ერთ ჰიპოსტასს, რაკი არის ერთი, და იმავედროულად შედგება დისკოს, სინათლისა და სითბოსგან. მზეა ერთადერთი თვითმნათობი ციური სხეული.

მტევნისა და მზის სიმბოლოებს აერთიანებს დემეტრედამიანეს მიერ 1150 წელს დაწერილი ღვთისმშობლის საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. სახარებაში წერია: „მე ვარ ვენახი და მამაი ჩემი მოქმედ არს“ (იოანე 15, 1). მიუხედავად იმისა, რომ ვენახიც და მზეც ღმერთის სახელებად გვხვდება, ამ შემთხვევაში, იგულისხმება ქალწული მარიამი. ქართულ და ბიზანტიურ ლიტერატურაში მრავლადაა მაგალითები, რომლებშიც ქალწული მარიამი მოიხსენიება ვენახად. ასეთი შინაარსის საგალობლები გვხვდება მრავალ ჰიმნოგრაფთან.

იესო არის მტევანი, რომლისგან გამოსული ღვინო გამოხატავს მაცხოვრის სისხლის დათხევას. საიდუმლო სერობის



დროს თავად ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს ღვინოზე: „ესე არს სისხლი ჩემი მრავალთათვის დათხეული, მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26, 28).

„შენ ხარ ვენახი“-ს ტექსტში უცნაურია ღვთისმშობლის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“. როგორც ზემოთ აღინიშნა, მზე, როგორც წარმართობაში, ასევე ქრისტიანობაში, გამოხატავდა ღმერთს. უფალი არის თვითმნათობი. პეტრე იბერის მიხედვით ერთადერთი სუბსტანცია ღმერთია. ღვთისმშობელი შეიძლება გავიაზროთ მზედ, იმდენად, რამდენადაც თავის თავში ატარებდა ღმერთს და ის თითქოს თავის თავსაც აღემატება ამ აქტით. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა, რომ „თავი თვისი“ ნიშნავდა სულს თვისას, გულს თვისას, გულს, გონებასა და სულს. საგალობელი აერთიანებს მზისა და მტევნის სახელებს სემანტიკურად.

პარადიგმებს ახასიათებს ფლექსიურობა. ერთი და იმავე სახელით შეიძლება მოხსენიებული იყოს როგორც რომელიმე წმინდანის ღვაწლის გამომხატველი, ასევე მაცხოვრის სახელი. ბასილი დიდის საკითხავში წერია: „სათნოებისა ტევანნი გამოიხუენ, მამაო, და ღვინოი გულისხმისყოფისაი ასუ სამწყსოთა ქრისტესთა ყოვლად ნეტარო“. მეორე მხრივ, მესამე ჟამნის „აწ და“-ს საკითხავი იწყება სიტყვებით: „ღვთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, რომელმან გამოიღე ტევანი ცხოვრებისა...“

ბუნებრივია ერთი პარადიგმით შემკობა ღმერთისა და წმინდანებისა, რადგან ყოველი ადამიანი ქრისტიანობის მიხედვით იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც თავისი ცხოვრებით ჰგავს ქრისტეს.

სხვა შემთხვევაა, როდესაც მაცხოვარს მიეწერება ვენახისა და ტევანის პარადიგმები. მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების „აწ და“-ს საკითხავებში ჩანს: „რომელმან ვენახი ცხოვრებისაი დაჰნერგე და ტევანი სიტკბოებისაი გამოიღე, რომელმან მზეი იგი სიმართლისაი გამოგვიბრწყინვე... გადიდებთ, ქალწულო კურთხეულო“.

ქრისტემ შეიძლება თავის თავში გააერთიანოს ვენახი და ტევანი, რადგან მასში იყო ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნება ერთად. ის იყო ვენახი, როგორც მიზეზი და შემოქმედი ღმერთი, და იყო ტევანი, როგორც შედეგი და ქალწულის მიერ შობილი კაცი.

პარადიგმებში შეინიშნება მისადაგების ერთგვარი დიაპაზონი. ზოგიერთი მათგანი უფრო გახსნილია მაღალი და დაბალი იერარქიის მქონე ობიექტისთვის ერთდროულად, სახეთა ნაწილი კი უფრო ხშირად მიემართება მარტო ღმერთს. იოანე საბანის ძე ღმერთის სახელთა ჩამოთვლის შემდეგ თითოეულ მათგანს უდარებს წმ. აბოს. ის წმინდანთან მიმართებაში არ ახსენებს მხოლოდ ორ სახელს - უკვდავი მამის ძესა და სიმართლის მზეს. XI საუკუნემდე საგალობლებში იესოს გარდა არ გვხვდება სხვა წმინდანის მიმართ მზის გამოყენების ტენდენცია. იმავეს ვერ ვიტყვით მტევანზე, რადგან მიქაელ მოდრეკილის მიერ შეკრებილ ჰიმნებში მღვდელმთავარ კლიმის მიმართ დაწერილ საკითხავებში ტევნად მოხსენიებულია წმინდანი: „აღიზარდე ცუარითა მით სულისა წმიდისაითა და გამოიხუენ შენ ტევანნი სიტკბოებისანი, ამისთვის გეწოდა ვაზად ჭეშმარიტისა ვენახისა ქრისტეს ღმრთისა, ქებულო“.

მზის მისადაგების დიაპაზონი, როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში იზრდებოდა. XI საუკუნეში ჩანს პირველი შემთხვევა, როდესაც მისადაგების ობიექტი (ამ შემთხვევაში ღვთისმშობელი) ერთი საფეხურით ქვემოთაა. საინტერესოა შოთა რუსთაველის წვლილი ამ პროცესში. ის ერთგან ღმერთზე წერს:

„ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“.

ამავე პარადიგმით ამკობს თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსნის“ III სტროფში:

„ვის შვენის,- ლომსა,- ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,

მეფისა მზის - თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა“.

მხატვრულ ლიტერატურაში მზისა და მტევნის სახეები პოეტურად გამოხატა დავით გურამიშვილმა „დავითიანში“: „სახით სიტყვა მშვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო, ვეძებე და შენი

მზგავსი მე აქ ვერცადა გნახეო“; „ვაქებ მიტომა დავითის შრტომა ზედ გამოიბა კარგი ყურძენი“.



მისადაგების დიაპაზონის ზრდა გამოიხატა დავით გურამიშვილთან, როდესაც ის ახსენებს მზეთა-მზეს. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მზის პარადიგმა შეიძლება მიესადაგოს გამორჩეულ ადამიანებს, მაგრამ ისინი მაინც დარჩებიან იერარქიულად უფრო დაბლა მდგომებად მზეთა-მზის, ღმერთის წინაშე.

კაცობრიობის მოპოვებული, ხოლო ქრისტიანობის მიერ განვითარებული და სიმბოლიზირებული პარადიგმული სახეები საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა ევოლუციას, იხვეწებოდა შინაარსობრივად, იზრდებოდა მათი დატვირთვა, იძენდა მხატვრულობას. სწორედ ეს პროცესები გამოიარა მზისა და მტევნის, როგორც მაცხოვრის სახეებმა. რამდენადაც ლიტერატურა ფორმის თვალსაზრისით დღესაც ვითარდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს სიმბოლოები თავის თავში ატარებენ მომავალი განვითარების პერსპექტივას.

მარიამ მათიაშვილი, მარიამ ქავთარაძე,
ია ჟიჟიაშვილი /თბილისი/

**ბალსზემოური დიალექტის ბეჩოურის, როგორც
გარდამავალი კილოკავის ზოგიერთი სპეციფიკა
(სახელისა და ზმნის მონაცემების მიხედვით)**

2013 წლის 1 აგვისტოდან 11 აგვისტომდე ვიყავით სასწავლო-სამეცნიერო ექსპედიციაში, ზემო სვანეთში, სოფ. ბეჩოში. ბეჩოური ბალსქვემოური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავია. მიუხედავად ამისა, გვხვდება ბალსზემოურის მოვლენები, რაც შესაძლოა მომიჯნავე ბალსზემოური სოფლის მეტყველების - ლატალურის გავლენით აიხსნას. ფონეტიკური მახასიათებლებიდან ბალსქვემოურისთვის ნიშანდობლივია ხმოვანთა უმლაუტი, რედუქცია. არ გვხვდება გრძელი ხმოვნები. გაბა-

კვლევის მეთოდად ავირჩიეთ ანკეტირების ფორმა. მასალები შევადგინეთ ჩვენი მიზნიდან გამომდინარე. კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა უმრავლესობა 30 წელს გადაცილებული იყო, ყველაზე უმცროსი - 14 წლისა, ყველაზე უფროსი - 74 წლისა.

კვლევამ საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა.

როგორც ცნობილია, ბალსქვემოურში გაბატონებულია ბრუნების ადილური ტიპი. ეს სისტემა ემყარება -ე ბოლოხმოვნიანებს, -ე- შიგნიხმოვნიანებს და აგრეთვე რიგ ბოლოთანხმოვნიანებს. მას ახასიათებს: 1. ორფუძიანობა; 2. ფუძედ გამოყენება სახელობითი და მიცემითი ფორმებისა; 3. -მ და -ჯ ბოლოსართების ხმარება ცალ-ცალკე ან ორივესი ერთად ყველა ბრუნვაში (სახელობითის გამოკლებით); 4. მოთხრობითისა და ნათესაობითის წარმოდგენა ერთი ფორმით; 5. ბრუნვების გამოხატვა ხმოვნებით: მიცემითისა -ა-თი, მოთხრობითისა და ნათესაობითისა -ე-თი.

ჩამოთვლილათაგან, ჩვენი ყურადღება გამახვილებული იყო პირველსა და მეოთხე პუნქტზე. ძველი თაობის მეტყველებაში მეტნაკლებად მყარია მოთხრობითისა და ნათესაობითის გაფორმება ერთი და იმავე -ემ ფორმანტით.

ლახვს ხოგხ ბაჩაემ კარაქრ - „მთაში უდგათ ქვის კარვები“ (ვერა რეზესიძე, 74 წლისა).

ახალი თაობა კი უმეტესად ირჩევს მოთხრობითისთვის -დ , ნათესაობითის -იმ/-ძმ სუფიქსს:

„ერეჩუ ოთირდ უშხარეშიშ თხაიმ მი ი მიშგაა ქმშდ“ - „იქ გავიცანით ერთმანეთი მე და ჩემმა ქმარმა“ (ნინო წერდიანი, 16 წლისა). აქ უფროსი ასაკის ბალსქვემოელი იტყოდა - ჭაშაემ.

საინტერესოა დი და მუ ლექსიკურ ერთეულებთან -ემ-ფორმანტიანი ნათესაობითის გამოყენება; მოსალოდნელი იყო -ძ შ, თუმცა, რატომღაც სწორედ ამ ფორმებში ერთ-ერთმა რესპოდენტმა -ემ-ფორმანტიანი ფორმები არჩია: **„ეჯი გიმ ლჷმარ მიჩა დიემ ი მუემ ნაპოდ“** - ის მიწა იყო მისი დედისა და მამის



მოცემული (მანუჩარ კვიციანი, 27 წლისა). ამავე წინადადებაში სხვა რესპოდენტი ერთ შემთხვევაში იყენებს -ემ-ს(მუემ), მეორე შემთხვევაში -შ შ-ს (დიშშ).

არის ორფუძიანი ბრუნების არასისტემურად გამოყენების შემთხვევები ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, რაც ასევე ბალს-ზემოურის დამახასიათებელი თვისებაა და არა ბალსქვემოურისა. აღნიშნული მოვლენები ბრუნების ტიპების აღრევასა და რყევას უნდა მიეწეროს: „ხეხაჟი (< ხეხაჟ-ემ -იშ) ნაქჯისგუი თხვიმს იდგარდა“ - „ცოლის ნათქვამზე თავს იკლავდა“ (ნინო ავალიანი, 45 წლისა); „ალ სოფლისგა მარემიშ გეზალ დურ პრი“ - „კაციშვილი არავინ არის ამ სოფელში“ (როზარევზესიძე, 74 წლისა).

ბოლო შემთხვევაში მთქმელთა აბსოლიტური უმრავლესობა, დაახლოებით 73%, ემ-იან ნათესაობითს იყენებს, 15% - ორფუძიან ბრუნებას. ასეთი შედეგი ამ გამოთქმის იდიომატურობას უნდა უკავშირდებოდეს.

მასალის ანალიზმა აჩვენა ასევე ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა გამოყენების აღრევის შემთხვევები: „გვიშგე ი ეჯარე ბოფშბრდ ყვავილარ ანხვერხ“ - „ჩვენმა და მათმა შვილებმა ყვავილები დაკრიფეს“. უნდა ეთქვა ნიშგე. საანალიზო კატეგორიის შესუსტება შეინიშნება როგორც უმცროსებში, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებში.

როგორც ვიცით, სვანური ენა სახელთა მრავლობითი რიცხვის აფიქსთა სიმრავლით ხასიათდება. ყველაზე გავრცელებულ მაწარმოებელს წარმოადგენს სუფიქსი -შრ, დისიმილაციით -შლ. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში ვხვდებით როგორც უდისიმლაციო, ისე დისიმლირებულ ფორმებს: ზურალშრდ- /ზურალშლდ („ქალებმა“), რაც ასევე უჩვეულოა) - ბალს-ქვემოურში აღნიშნული სუფიქსი ჩვეულებრივ უდისიმლაციაა. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა ფორმები „ზურელალდ/ზურელაალდ“ - ეს სიტყვა ფუძეში ე ხმოვნით უძველესი ფორმაა, რომელსაც ახლა იშვიათად ვხვდებით და იგი სიმღერებში შემორჩა.



ასევე, მოულოდნელი იყო 14 წლის რესპოდენტის მიერ დაწერილი ფორმა გრძელი ხმოვნით: „ზურაალდ“. ვინაიდან ხმოვანთა სიგრძე ბალსქვემოურს არ ახასიათებს, სავარაუდოა, რომ ამ ბავშვს ოჯახის წევრი (დედა) ჰყავდეს ბალსზემოელი. მით უფრო, რომ ამავე რესპოდენტთან რიცხვითი სახელი „ოთხმოციანი“ გვხვდება ბალსზემოურად, ანუ ათობითი სისტემით: არააშდიშნ – არააშდიშნ ზჰიარხჰნქა ხაჰი ნუკაჰიშ მაშყიდ - „ოთხმოციანი წლებიდან ბევრი რამ მახსოვს“. აღნიშნული რიცხვითი სახელი ბალსზემოურად შეგვხვდა კიდევ ორ რესპოდენტთან, რაც ბალსზემოური დიალექტის გავლენით აიხსნება, თუმცა მათ მოკლე ხმოვნით ჩაწერეს, რამაც მოგვცა ინტერფერენციული ფორმა არაეშდ (წარმოება - ბალსზემოური, ფონეტიკა - ბალსქვემოური).

რიგობითი რიცხვითი სახელის - „ოცდამეთერთმეტეს წარმოებისას“ საინტერესო ვარიანტები დადასტურდა. უმრავლესობამ ის რაოდენობით რიცხვით სახელად ჩაწერა: იერჰეშდიეშდეშხუ იშრ ლი ამეჩუ? – „ოცდამეთერთმეტე ვინ არის აქ?“. 14 და 17 წლის რესპოდენტებთან გვხვდება ბალსზემოურად: „სემეშდიეშხუ იარ ლი ამეჩუ?“. ნაწილი შეეცადა რიგობითი სახელი ეწარმოებინა მე-ე აფიქსებით, მაგალითად, გვხვდება ფორმები: „სემეშდიმეეშხვე“ - წარმოება სწორია, მაგრამ გამოყენებულია თვლის ათობითი სისტემა, რაც ბზ-სთვის არის დამახასიათებელი და არა ბქ-სთვის, „მეერვეშდეშდეშხუ“, „იერვეშდიმეეშდეშხვე“ და ა. შ. დადასტურდა სვანურისა და ქართულის სინთეზირებით ნაწარმოები ფორმა: „სემეშდიმეთერთმეტე“...

წინადადებაში - „ბევრი წვიმისგან ხახვს ძირები სულ დაულჰა“, გაურკვეველი რაოდენობის რიცხვითი სახელი სხვადასხვა ვერსიას წავაწყდით: ფიშირ „მრავალი“, უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია მასშრდ „ბლომად“ და ერთ შემთხვევაში -სურუ „ნამეტანი“: სურუ უჩხოლხენქა ხახვს ეჯი ძირ ჩოთქვარ. რაც შეეხება, ასევე გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველ სახელს „ცოტა“, გვხვდება კნინობითის ფორმით: მოლიდ, ორმაგი კნინობითის ფორმით: მოიდილ და ბალსზემოურად ნახმარი აქვს 14 წლის რესპოდენტს: კოწოოლ -

ნიშგჟეი გეზლირდ კოწოოლ ხილ ანხიდხ - „ჩვენმა შვილებმა ცოტა ხილი მოიტანეს“. ამავე ილუსტრაციაში ექსკლუზივის ნაცვლად ინკლუზიური ფორმა (გუშგუეი) გამოიყენა რამდენიმე რესპოდენტმა: გუშგუეი გეზლირდ მოლე ხილარ ანხიდხ.

მაგალითებიდან ნათელია განსხვავება ერთ კილოზე მოსაუბრეთა შორის. საგრძნობია ბალსზემოური კილოს გავლენა ბალსქვემოურზე. შეინიშნება სვანურის და ქართულის ფორმების შერწყმით სიტყვის წარმოება, ასევე ძველი ფორმების შენარჩუნება. თუმცა მეტყველება მაინც თავისუფალია. რიცხვითი სახელის ხმარებასა და რიცხვის წარმოებისას ასაკობრივი სხვაობა დიდ განსხვავებას არ გვიჩვენებს.

ევიდენციალობა არის ზმნის კატეგორია, რაც მსოფლიოს ყველა ენაში არსებობს. ქართულში მას შეესაბამება ტერმინი - დადასტურებულობა, ან დადასტურების კატეგორია.

ევიდენციალობა გადმოიცემა გრამატიკული და ლექსიკური (ნაწილაკი, ზმნიზედა) საშუალებებით. მისი გამოხატვა გრამატიკულად თურმეობითს შეუძლია ქართულში. სვანურში კი თურმეობითის გარდა არსებობს ევიდენციალური მწკრივები. ესენია:

- ინფერენციული აწმყო (უსრული მყოფადი).
- ძირითადპრევერბიანი მყოფადი .
- პირობითი (სრული, უსრული).
- პირობით-შედევობითი - I.
- პირობით შედეგობითი - II.

ამ მწკრივთაგან მესამე სერიამდე აქვთ სპეციალური მორფემა - {უ}ნ.

მასალებმა აჩვენა, რომ რესპოდენტთაგან ზოგი ალბათობის, შესაძლებლობის სემანტიკის გამოსახატავად იყენებს ორგანულ, ევიდენციალურ ზმნურ ფორმებს (ძირითადპრევერბიან მყოფადს...) და მის ხარჯზე აგებს ქვეწყობილ წინადადებას: ხოშა მუს დემის ანხდენი, ეჩქა მჩხმრ ქალაქთე ტვეხნიდ - „[თუ] დიდი თოვლი არ მოვა, ხვალ ქალაქში დავბრუნდებით“. ზოგი კი

მისათითებელ სიტყვას არგებს, ან სიტყვასიტყვით **თარგმნის:**
მწხმრ ლახ ხოშა მუს დემის ძნდენი, ეჩქა ქალაქთე ტვეხნიდ –
„ხვალ თუ დიდი თოვლი არ მოვიდა, ქალაქში დავბრუნდებით“.
პეტრე ლადი დოჟე დაბს ახნი ი ალშში - დღეს პეტრე, ალბათ,
ყანას ხნავს და თესავს.

შეინიშნება ქართული ენის მასალის პირდაპირ სესხებაც,
განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებაში: **თურმე** ლათ
ურზე ი თხარსკ აშხუდ **ომხედელი** კახეთ - „თურმე გუშინ წვიმა
და სეტყვა ერთად მოსულა კახეთში“.

ზოგ შემთხვევაში უჭირთ გადმოქართულება და ქართულ
ტექსტში „თურმეს“ გაგება იკარგება: **ჯჰინალდ შჰჰნს ჩაფლძრს**
მაგ ქორს აშხბიელდა – „ძველად სვანეთში თურმე ფეხსაცმელს
ყველა შინ კერავდა“. უნდა ყოფილიყო სვანურის სპეციფიკური
მწკრივი II თურმეობითი: **ლჰმშხებიელინ** „თურმე კერავდა“.

ამრიგად, ხანმოკლე ექსპედიციის პირობებშიც ზემოსვანურის
ერთ-ერთ კილოკავზე დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო
სურათი წარმოგვიდგინა: განსხვავება ასაკობრივად განსხვავე-
ბულ თაობათა მეტყველებაში; ინტერფერენცია როგორც დია-
ლექტებს (ბზ. და ბქ.) შორის, ისე ქართულ სალიტერატურო ენასა
და სვანურში; დადასტურდა როგორც არქაული (მხოლოდ
სასიმღეროებში შემორჩენილი) ფორმების გამოყენების შემთხვე-
ვები, ასევე ინოვაციები. ზოგადად, სოფელი ბეჩო მდებარეობს
ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთის მიჯნაზე და ბევრი თავისე-
ბურება სწორედ ამ ფაქტორითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.




მემკვიდრეობით მიღებულ ფიქსირებულ განწყობათა თემა განწყობის ფსიქოლოგიაში

ფიქსირებული განწყობის მემკვიდრეობითობის თემა, როგორც დ. უზნაძის, ისე მისი მიმდევრების მეცნიერულ შემოქმედებაში მეტად მწირადაა წარმოდგენილი. ასეთი განწყობების არსებობასა და განსაზღვრულ პირობებში მათი აქტუალიზაციის შესაძლებლობაზე პირდაპირ მითითებას თვითონ უზანაძესთან მხოლოდ ერთგან ვხვდებით. თავის შემაჯამებელ ნაშრომში, ავტორი, აქტივობაში ფიქსაციის ფაქტორის მნიშვნელობაზე მსჯელობის კონტექსტში, თითქოს სხვათაშორის, აღნიშნავს, რომ „შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც აქტივაცია ხდება არა იმ განწყობებისა, რომელნიც როდისმე, მოცემული ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში, იყვნენ ფიქსირებული, არამედ იმ განწყობათა, რომელნიც ამ ინდივიდის გვარის ისტორიაში იყვნენ ოდესმე ფიქსაციაქმნილი“ (დ. უზნაძე, 1977).

ეს ფრაგმენტი უშუალოდ მოსდევს მსჯელობას იმის შესახებ, რომ თუ ფიქსირებული განწყობა ახალ სიტუაციაში აგრძელებს თავის მოქმედებას, მის საფუძველზე გაშლილი აქტივობა ამ ახალი სიტუაციისადმი არაადექვატურია მანამ, სანამ ძველი (ფიქსირებული) განწყობა ახალი განწყობით არ შეიცვლება. ასე ხდება, მაგალითად, განწყობის ექსპერიმენტული კვლევის პირობებში და ზოგჯერ ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც. ამასთანავე, ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები უფრო ხშირია, როცა ფიქსირებული განწყობა ახალი სიტუაციისადმი ადექვატურია. ავტორის ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიქსირებული განწყობა მიზანშეწონილი ქცევის ისეთივე მექანიზმია, როგორც აქტუალური. ცხოვრების მანძილზე შექმნილი ფიქსირებული განწყობები ეხმარება სუბიექტს სწრაფად მოახდინოს მოდიფიკაცია იმ ახალი სიტუაციების შესატყვისად, რომლებიც მათი ფიქსაციის დროინდელი ძველი სიტუაციების

იდენტურია. უზნაძის ტექსტში სწორედ ამის შემდეგ მოდის ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ასეთი განწყობები არა მარტო ინდივიდის ცხოვრების მანძილზე, არამედ მისი გვარის განვითარების მანძილზეც შეიძლება იყონ ფიქსაციამნილი და მაშასადამე, ინდივიდს ისინი მემკვიდრეობით ჰქონდეს მიღებული.

ამ დებულებებიდან ძალზე შორსმიმავალი დასკვნები გამომდინარეობს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც ავტორს და არც განწყობის პრობლემატიკაზე მომუშავე სხვა მკვლევრებს, ამ მიმართულებით კვლევა-ძიება აღარ გაულრმავებიათ. უზნაძეს ამ საქმეში ხელი, როგორც ჩანს, იმდროინდელმა სოციოცენტრისტულმა დოქტრინამ შეუშალა. მაშინ ხომ გენეტიკა საერთოდ ცრუ მეცნიერებად იყო გამოცხადებული. რაც შეეხება მის მიმდევრებს, აქ ტრადიციის არარსებობასთან ერთად (ყველა ის საკითხი, რომელიც ხაზგასმით არ იყო დაყენებული სკოლის ხელმძღვანელის მიერ, მეორეხარისხოვნად მიიჩნეოდა), როგორც ჩანს, იმ გარემოებამაც შეასრულა გარკვეული როლი, რომ ამ საკითხის გარშემო არა თუ ექსპერიმენტული, არამედ საერთოდ რაიმე ემპირიული მასალის მოპოვება ძალზე ძნელი და მოუხერხებელია. ამას ადასტურებს თუნდაც ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მკვლევრები ადასტურებენ გენეტიკურად ფიქსირებულ განწყობათა არსებობას, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მხოლოდ არაპირდაპირი არგუმენტები მოჰყავთ. მიუთითებენ, მაგალითად, იმაზე, რომ განწყობის ტიპი სანდოდ კოლერირებს ტემპერამენტის ტიპთან და სხვა პიროვნულ მახასიათებლებთან (ვლ. ნორაკიძის და მისი თანამშრომლების კვლევები), რომელთა ფორმირებაშიც გენეტიკური ფაქტორის როლი თანამედროვე მეცნიერების თვალთახედვით, ნამდვილად უდავოა. საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლონგიტუდური კვლევით დადგინდა, რომ თვითონ განწყობის ტიპოლოგიური მახასიათებლები დროის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში რამდენადმე უცვლელი რჩება, რაც ასევე მათი მემკვიდრეობითობის არგუმენტად მიიჩნევა (ა. გრიგოლავა, 2001). ეს ფაქტები, რა თქმა



უნდა, უზნაძის ზემოთმოყვანილი დებულების სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ მის პირდაპირ და უდაო მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. მემკვიდრეობით მიღებული ყოველი წარმონაქმნი ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების პროდუქტია. ევოლუცია კი ყველაფერს მხოლოდ გარკვეული აუცილებლობის გამო ქმნის. ექსპერიმენტულ პირობებში ფიქსირებული განწყობა ვერც მომდევნო თაობებზე გადავა და სრულყოფილად ვერც ასეთ განწყობათა თავისებურებებს გაგვითვალისწინებს.

ამრიგად, მემკვიდრეობით მიღებულ ფიქსირებულ განწყობათა თემა, რაც დღეისათვის „განსაკუთრებით აქტუალურია, იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც თანამედროვე მეცნიერებაში ენიჭება ფსიქიკისა და პიროვნების გენეტიკური ასპექტების კვლევას“ (ი.იმედაძე, 2004), განწყობის ფსიქოლოგიაში ჯერ სათანადოდ დამუშავებული არაა. თვითონ უზნაძეს ინდივიდისათვის წინა თაობებიდან გადმოცემულ განწყობათა ფორმად ფუნქციონალური მოთხოვნილებები მიაჩნია. ეს დებულება, რომელიც იმავე მოკლე აბზაცშია მოცემული, სადაც ზემოთმოყვანილი ფრაგმენტი, სავსებით მართებულია, მაგრამ მოითხოვს საგანგებო ანალიზს, მოთხოვნილების ფსიქოლოგიის თანამედროვე მონაპოვართა გათვალისწინებით, რასაც ამჯერად არ ვეხებით. ასევე საგანგებო ანალიზს მოითხოვს განწყობის მემკვიდრეობითობის საკითხის განხილვა განვითარებაში შინაგანი და გარეგანი ფაქტორების კოინციდენციის უზნაძისეული თეორიის შუქზე. ავტორმა ვედარც ამ თეორიის გაღრმავება და დეტალური ანალიზი განაგრძო, იმავე იდეოლოგიური ფონის გამო, რაზეც ზემოთ მივუთითეთ. ერთი რამ უდაოა: რაკი დღევანდელი მეცნიერება უდაოდ ადასტურებს ქცევის დეტერმინაციაში გენეტიკური კომპონენტის მონაწილეობას, ქცევის უშუალო მიზეზი კი აქტუალური განწყობაა, ამ უკანასკნელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი გენეტიკური ფაქტორი, ევოლუციის პროცესში ფიქსირებული განწყობის სახით. უზნაძისეული ფუნქციონალური ტენდენციაც, შინაგანის მიერ მისი შესატყვისი გარეგანის იმთავითვე მოთხოვნის (კოინციდენციის)



მოვლენაც და პიროვნების ტიპოლოგიური თავისებურების გენეტიკური ასპექტებიც სწორედ ასეთ განწყობათა არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ, როგორც ითქვა, ყველა ეს საკითხი სათანადო ანალიზს მოითხოვს.

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სუბიექტის ფსიქოფიზიკური მობილიზაციის ისეთი მდგომარეობის დახასიათებაზე, რასაც თანამედროვე მეცნიერებაში სტრესი ეწოდება. ცნობილია, რომ სტრესული დაძაბვა-მოლიზაცია შეცვლილ სიტუაციაზე რეაგირებისათვის მზაობის განსაკუთრებული ფორმაა. მოქმედებისათვის მზაობა, როგორც ვიცით, აქტუალური განწყობაა. ამრიგად, სტრესი უნდა განვიხილოთ, როგორც განწყობის ნაირსახეობა, ანუ ქცევის მიზანშეწონილობის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმი. ის, რომ ძლიერი (მწვავე) სტრესის პირობებში მიმდინარე ქცევა ხშირად დეზადპტურია, ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება, რადგან ეს გარემოებაც ადვილად აიხსნება განწყობის მოქმედების კანონზომიერებებით (მ. მალრაძე, 2013). განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ასეთი დაძაბვა-მოლიზაცია ექსტრემალურ პირობებში. დადგენილია, რომ ამ დროს ქცევითი რეაქცია ხორციელდება მყისიერად, მანამ, სანამ სუბიექტი რაიმეს გააზრებას, ან თუნდაც ემოციურ განცდას მოასწრებს. თუ, მაგალითად, ტყეში სეირნობისას მოულოდნელად გამძვინვარებულ ნადირს გადაეყარეთ, შიშის გრძნობა დაგეუფლებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც საკუთარ თავს ხის კენწეროზე აღმოაჩენთ. იმის გააზრებაც (კოგნიტური შეფასება), თუ რა მოხდა და რა საშიშროებას გადაურჩით, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება.

თუ არა საშიშროების გააზრებიდან, მაშ, საიდან წარმოსდგა აღნიშნული მყისიერი რეაქცია? ამ კითხვაზე რამდენადმე დამაკმაყოფილებელი პასუხის მოძებნა მხოლოდ განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციიდანაა შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ განწყობა ქცევისა და ფსიქიკური აქტივობის უნივერსალური მექანიზმია, რომელიც წინ უსწრებს მანიფესტირებულ პროცესებს (მოძრაობას, კოგნიციას, ემოციას და სხვ.) და განაპირობებს მათ მიმდინარეობას. მაგრამ საიდან გაჩნდა ეს სტრესული განწყობა? ცხადია

იგი უკვე იყო მოცემული გამზადებული სახით, როგორც ასეთი სიტუაციებში მოქმედებისათვის ფიქსირებული მზაობა. მისი ფიქსაცია კი ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში ვერ მოხდებოდა. ესაა გადარჩენისათვის მემკვიდრეობით მიღებული რეაქციის ფორმა, ანუ გვარის განვითარების პროცესში ფიქსირებული განწყობა. იგი აქტივირდება ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელიც თავისი ამ ნიშნით (ექსტრემალურობით) იმ სიტუაციების იდენტურია, რომლებშიც, წინა თაობების ცხოვრების მანძილზე, მისი ფიქსაცია-დიფერენციაცია ხორციელდებოდა. ევოლუციამ, სტრესული განწყობის სახით, შექმნა ექსტრემალურ სიტუაციებში მყისიერი რეაგირებისათვის საჭირო მექანიზმი, რომელიც, უმეტესწილად, პიროვნების ნებისაგან დამოუკიდებლად (ავტომატურად) იჩენს თავს. პიროვნებას მხოლოდ მის მიმდინარეობაში შეუძლია ჩარევა და ესეც მხოლოდ იმ პირობით, თუ განწყობის მისთვის სასურველი მიმართულებით მოდიფიკაციას მოახერხებს.

აქ მოყვანილი ანალიზიდან, ჩვენი პრობლემის თვალსაზრისით, ის გარემოებაა საყურადღებო, რომ სტრესის ავტომატური აღმოცენება და აქტივობაში მყისიერი რეალიზაცია, ერთ-ერთი უტყუარი არგუმენტია უზნაძის იმ თეზისის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც, ინდივიდის აქტუალური განწყობა ხშირად იმ ფიქსირებული განწყობის აქტივაციის შედეგია, რომელიც ამ ინდივიდის გვარის ისტორიის მანძილზე იყო ოდესმე ფიქსაცია-ქმნილი. ამის სასარგებლოდ ისიც მიუთითებს, რომ სტრესის ფიზიოლოგიური ასპექტების შემსწავლელი მკვლევარების აზრით, ექსტრემალურ სიტუაციებში სტრესული მდგომარეობის აღმოცენება და მისი შესატყვისი რეაგირება, ევოლუციის ადრეულ საფეხურებზე შექმნილი ადაპტაციის ფორმაა. ამიტომაც, რომ სტრესი ხშირად ისეთ სიტუაციებშიც აღმოცენდება, როდესაც სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ ზიანი მოაქვს. ფიქსირებული განწყობის მოქმედებაც ხომ ზუსტად ასეთია: როცა ახალი სიტუაცია ძველის (მისი წარმოშობა-ფიქსაციის სიტუაციების) იდენტურია, მაშინ იგი მიზანშეწონილ ქცევას უზრუნველყოფს,

ხოლო როცა ახალი სიტუაცია ძველისაგან მკვეთრად განსხვავებულია, მაშინ მის საფუძველზე მიმდინარე ქცევა რამდენადმე მიზანშეუწონელი ხდება.

მარიამ ნავაძე /თბილისი/

ფლორა საბას ლექსიკონში

სულხან-საბა ორბელიანის განმანათლებლური მოღვაწეობა, მწერლობის აღორძინებასთან ერთად, მიზნად ისახავდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. ენციკლოპედიურ ელემენტებს შეიცავს მისი „ლექსიკონი ქართული“ („სიტყვის კონა“, 1685-1725), რაც გამოირჩევა იმ დროისათვის მოწინავე მეთოდოლოგიით, უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის მოხმობით; „სიტყვის კონა“ ქართული ლექსიკოგრაფიის შესანიშნავი ძეგლია. იგი პირველად გამოიცა 1884 წელს, რაფიელ ერისთავის რედაქტორობით. ლექსიკონი განმარტებითია, თუმცა სიტყვებს ხშირად თარგმანიც ახლავს (იტალიურ, თურქულ და სომხურ ენებზე). მასალა განლაგებულია ანბანურად, მაგრამ ასამდე სემანტიკურ ბუდესაც შეიცავს (მაგ.: სტატიაში თოვლი საკუთრივ „თოვლის“ განმარტებასთან ერთად დახასიათებულია თრთვილი, ყაპი, ფიფქი, ჭყაპი და სხვ.).

„ლექსიკონი ქართული“, რაც ვახტანგ V მიერ შერქმეული სახელით „სიტყვის კონა“ უფროა ცნობილი, უდაოდ უმნიშვნელოვანესი ნაშრომია ქართული ენის შესწავლის ისტორიაში. მასში ასახულია ქართული სალიტერატურო ენის, კერძოდ, ლექსიკის განვითარების ძირითადი ეტაპები. ორბელიანი არ იფარგლებოდა მწიგნობრული ენით და ლექსიკონში გაბედულად შემოჰქონდა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებაში დადასტურებული ენობრივი ფაქტები, რაც უდიდეს როლს თამაშობს ცოცხალი სამეტყველო ენის იმდროინდელი ტენდენციების განსაზღვრაში, სამეტყველო ენის გაგებასა და დაუფლებაში. მრავალი სიტყვა, რაც

აღწერილია საბას ლექსიკონში, დღესდღეობით აღარ გვხვდება ენაში, რაც ენის ლექსიკური მარაგის დინამიკურობის მაჩვენებელია.

საბას ლექსიკონში მოიპოვება უმდიდრესი მასალა ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა აღმნიშვნელი სახელებისა, რომელთაგანაც ზოგი დღესაც გამოიყენება, ზოგი კი ან უცხო სიტყვამ ჩაანაცვლა, ან საერთოდ დაიკარგა თავის აღსანიშნ ჯიშთან ერთად. მოხსენებაში გვსურს განვიხილოთ სულხან-საბას მიერ მოწოდებული ფლორის აღმნიშვნელი ლექსიკა; შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ, თუ კონკრეტულად რა ჯიშის აღმნიშვნელია ესა თუ ის „მკვდარი“ ლექსიკური ერთეული; ვაჩვენოთ, თუ როგორ ხდება ენაში არსებული რეალობის ასახვა (იგულისხმება აღსანიშნის გაქრობასთან ერთად აღმნიშვნელის დაკარგვა) და ყურადღება გავამახვილოთ ენის ლექსიკის დინამიკურობაზე.

ლალი ნაკაშიძე, ერმალო ლანჩავა /ქუთაისი/

ოჯახური კონფლიქტების სოციალურ-ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ასპექტები

კონფლიქტი არის მასში მონაწილე ადამიანების მიერ საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ცუდად მართვის შედეგი. ერთად უნდა განვიხილოთ ოჯახური კონფლიქტები და ამ ოჯახის წევრების, მშობლებისა და ბავშვების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხი.

კვლევებმა აჩვენა, რომ ნევროზების აღმოცენების რისკი მინიმუმამდე მცირდება, თუ მშობლები ახერხებენ წარმატებით გაუმკლავდნენ თავიანთ პრობლემებს და ინარჩუნებენ თბილ ურთიერთობებს ოჯახში. ისინი ბავშვებს საშუალებას აძლევენ, გამოხატონ თავიანთი აზრი და ბევრ დროს უთმობენ მათთან ურთიერთობას.

ოჯახურ კონფლიქტებს, მიუხედავად სპეციფიკისა და მრავალფეროვნებისა, სოციალურ-ფსიქოლოგიური სტადიები გააჩნია: 1) ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, ღირებულებების, ნორმების ჩამოყალიბების სტადია; 2) პოტენციური კონფლიქტის რეალურში გადასვლის სტადია, ანუ კონფლიქტის მონაწილეთა მიერ, სწორად თუ მცდარად გაგებულ ინტერესების გაცნობის სტადია; 3) კონფლიქტურ ქმედებათა სტადია; 4) კონფლიქტის მოხსნის, ან გადაჭრის სტადია. ყველა კონფლიქტს, მათ შორის ოჯახურ კონფლიქტს, გააჩნია მეტნაკლებად გამოხატული სტრუქტურა: კონფლიქტური სიტუაციის ობიექტი, კონფლიქტის მონაწილეთა მიზნები, ოპონენტები, კონფლიქტის უშუალო საბაზი და ქეშმარიტი მიზეზები (რაც ხშირად დაფარულია).

თეორიული ანალიზისა და კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ოჯახში დესტრუქციული კონფლიქტური სიტუაციების ფაქტორთა კლასიფიკაცია: 1) სოციალურ-ფსიქოლოგიური; 2) სოციალურ-კულტურული; 3) სოციალურ-ეკონომიკური.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური კონფლიქტები უარყოფით ხასიათს ატარებს, მას მაინც აკისრია დადებითი ფუნქციები. აღნიშნული ფუნქციები ვლინდება სოციალურ კონფლიქტებში, რაც გამოიხატება კონფლიქტში მყოფ მხარეთა შორის დაძაბული სიტუაციის განმუხტვაში, მორჩილების სინდრომის მოხსნაში, ოჯახის შეკვრაში. ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ოჯახური ცხოვრების დისჰარმონია, მშობლებს შორის კონფლიქტები, რასაც ემატება სოციალურ-კულტურული ფაქტორებიც, რომელსაც თავს გვახვევს თანამედროვე ცხოვრების რიტმი, დროის დეფიციტი, მუდმივი დაძაბულობა, მშობლების მოუცლელობა.

ბავშვების მიზანმიმართულად აღზრდა გულისხმობს, მათ გამოვუმუშავოთ უნარი, კონკრეტული მეთოდებით გაართვან თავი წამოჭრილ სიძნელეებს, ვინაიდან ეს მათ საშუალებას მისცემს, მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ეროვნული იდეა მიხეილ ლერმონტოვის პოეზიაში სერგი დანელიას თვალსაწიერიდან

დიდ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს სერგი დანელიას ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა მიხეილ ლერმონტოვის პოეზიაზე, რაშიც განხილულია რუსი პოეტის ეროვნულ-პატრიოტული მსოფლმხედველობა. ნარკვევის შესავალ ნაწილში მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ მწერლის შეფასების დროს გამორიცხული არ არის სუბიექტივიზმი. ამისაგან არც მეცნიერია დაზღვეული, თუმცა „იგი აღჭურვილია უნარით, შეიგნოს ეს სუბიექტივიზმი რეფლექსის საშუალებით და ამით ლოგიკურად დასძლიოს იგი, ვინაიდან ცნობაში მოყვანილი სუბიექტივიზმი არ არის შემეცნებისათვის საშიშარი. ყველაფერი ეს მართლდება ლერმონტოვის ლიტერატურული მოღვაწეობის განხილვისას“.

სერგი დანელიას აზრით, ლერმონტოვის შემოქმედების შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობდა. საზოგადოების ერთი ნაწილი, რეაქციული წრეების წარმომადგენელი, უარყოფდნენ რა ლერმონტოვის შემოქმედების ღირებულებას, მთავარ ბრალდებად პოეტს უყენებდა პატრიოტიზმის ნაკლებობას, ხოლო რუსული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ლერმონტოვი მამულისათვის თავდადებულ მოქალაქედ მიაჩნდა. ასეთი დავა მის შესახებ არ შეწყვეტილა არც XIX და არც XX საუკუნეში.

სერგი დანელია ლერმონტოვს „აზრის პოეტს“ უწოდებს და მიუთითებს, რომ რუსული ლიტერატურის ისტორია მრავალ „აზრის პოეზიის“ ნიმუშს იცნობს. მისი შეხედულებით, აზრის პოეტთა კატეგორიას ეკუთვნის ბარატინსკი, ოდოევსკი, კრასოვი, კლუშნიკოვი და სხვები, მაგრამ ლერმონტოვი და მისი პოეზია იმით განსხვავდებოდა მათგან, რომ მისთვის მთავარი დასაყრდენი იყო არც მშრალი მეხსიერება და არც მშრალი განსჯა; ის არ იყო წიგნებიდან სახელდახელოდ ამოკითხული, უფერული და

განყენებული აზრი. ლერმონტოვის პოეზიას ასაზრდოებდა მხურ-
ვალე გრძნობა, მოქალაქეობრივი შეგნება და ეს შედეგად იყო იმ
დიდი მოვლენებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რუსეთისა და
ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში XIX საუკუნის
დასაწყისში. პირველ რიგში კი სახსენებელია 1812 წლის სამამულო
ომი.

ამ დიდმა მსოფლიო-ისტორიულმა მოვლენამ აამოძრავა
მანამდე ძილში მყოფი რუსული საზოგადოება, ჩაჰბერა მას
ძლიერი პატრიოტული გრძნობა და გააცოცხლა რუს ხალხში ის
ეროვნული შეგნება, რომლის ნაკლებობას ხშირად უჩიოდნენ რუსი
მწერლები (ფონვიზინი, ნოვიკოვი, კარამზინი და სხვები).

მეორე დიდი ისტორიული ფაქტი, – წერს სერგი დანელია, –
რომელმაც საზოგადოებრივად მოამზადა ლერმონტოვის მო-
ქალაქეობრივი პოეზია, იყო 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყება,
რაშიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ პოეტის უახლოესი
ნათესავები, დედის ბიძები - არკადი და დიმიტრი სტოლიპინები.
არკადი ჩრდილოეთის საიდუმლო საზოგადოების მეთაურის –
კონდრატე რილეევის მეგობარი იყო, დიმიტრი კი დეკაბრისტული
მოძრაობის მეორე დიდი მეთაურის – პავლე პასტელისა.
ბუნებრივია, რომ ლერმონტოვი თანაუგრძნობდა დეკაბრისტთა
მოძრაობას, იგი გულმოდგინებით კითხულობდა რევოლუციურ-
პატრიოტულ ლექსებს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა პოეტის
შემოქმედებაზე.

მესამე ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ლერმონტოვის
არსებაში პატრიოტიზმის მომწიფებას, წერილის ავტორს რომან-
ტიზმის დამკვიდრება და ლიტერატურული გავლენები მიაჩნია.
მისი თვალსაზრისით, „რომანტიზმმა აღმოაჩინა და საზო-
გადოებრივ შეგნებამდე დაიყვანა ის აზრი, რომ ყოველი ხალხის
ღირებულების საზრდოა მისი დამოუკიდებლობა, მისი თავი-
სუფლება, მისი შემოქმედებითი ორიგინალობა, რომ ყოველი ხალ-
ხი არსებობს როგორც სრულფასოვანი, მხოლოდ იმდენად, რამდე-
ნადაც მას აქვს თავისი საკუთარი ეროვნული სახე, რამდენადაც მას
არ დაუკარგავს თავისი რწმენა, თავისი ზნეობა, თავისი

პოლიტიკური ყოფა. ამიტომ ყოველი მოქალაქის მოვალეობაა ეროვნული სახის შენარჩუნება. მან არ უნდა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და არც თავის შვილებს უნდა დაავიწყებინოს იგი. ასეთი იდეოლოგიით გამოვიდა რომანტიზმი XVII-XVIII საუკუნეთა კოსმოპოლიტიური კლასიციზმის წინააღმდეგ“ (ს. დანელია, ლიტერატურული ნარკვევები, ეროვნული იდეა ლერმონტოვის პოეზიაში, თბ. 1960: 99-100).

ასევე, სერგი დანელიას თქმით, ლერმონტოვი კარგად იცნობდა შილერის, ბაირონის, რუსოს თხზულებებს და არ შეიძლება მათ გავლენა არ მოეხდინა მის მთელ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, რევოლუციურ-პატრიოტული შეგნების გაღვივებაზე. თავის წარმტაც პოეტურ ქმნილებებში ლერმონტოვი გვევლინება ჩვენ მეზობლ პოეტად, რომელსაც გაბედულად მიჰქონდა იერიში რუსეთის ბატონყმურ-თვითმპყრობელური წესწყობილების წინააღმდეგ. ამის დასადასტურებლად წერილის ავტორს ნიმუშად მოჰყავს ლერმონტოვის რამდენიმე ნაწარმოები და განიხილავს მათ.

„ლექსში „პოეტის სიკვდილი“ – აღნიშნავს სერგი დანელია, – ლერმონტოვი დიდი სატირიკოსის ნიჭითა და ღრმა მოქალაქეობრივი აღშფოთებით კიცხავს ნიკოლოზ მეფის სასახლის გარშემო თავმოყრილ დიდკაცობას, რომელიც იყო პუშკინის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. განსაკუთრებით მწარე იყო ამ ლექსის უკანასკნელი 16 სტრიქონი, რისთვისაც ნიკოლოზ მეფემ ლერმონტოვი კავკასიაში გააძევა იმ იმედით, რომ იგი იქ ვერ გადაურჩებოდა ჩერქეზთა ტყვიებს“.

„ლექსში „თურქის ჩივილი“, რომელიც 1829 წელს არის დაწერილი, 15 წლის ახალგაზრდა ლერმონტოვი შავი ფერებით ხატავს ბატონყმურ-თვითმპყრობელური რუსეთის სურათს და სევდიანად ამბობს:

დამონებული, ბორკილებში იქ კაცი კვნესის...,
იგი მხარეა, მეგობარო, სამშობლო ჩემი...

პოეტი სულმოუქთმელად მოელის იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელობა მოისპობა. ლექსში „წინასწარმეტყველება“ (1830), იგი წერს:

დადგება ხანი, რუსეთისთვის შავბნელი ხანი,
დაემხობიან როს გვირგვინნი ხელმწიფისანი...

ეს რევოლუციური პათოსი არ შეწყვეტილა პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. პეტერბურგიდან ნიკოლოზ მეფის მთავრობის მიერ ხელმეორედ გაძევებული ლერმონტოვი ემზადებოდა რა კავკასიაში გასამგზავრებლად, ასეთი სიტყვებით მიმართავდა ოფიციალურ რუსეთს:

გტოვებ, რუსეთო, დაუბანელო,
ბატონთა მხარევ, მონათა მხარევ,
მუნდირნო, ლურჯად მოელვარენო,
ხალხო, მათ ქედი რომ მოუხარე.
იქნებ შენს მეფეთ კავკასს გადაღმა
მე დავემალო შეუპყრობელი,
მათ თვალს, რომ ძალუბთ ყოვლის დანახვა,
მათ ყურს, რომ ესმის ირგვლივ ყოველი...

პოეტის წარმოდგენით, ნიკოლოზ I-ის რუსეთი იყო ბატონებისა და მონების მხარე და იგი მზად იყო ეძია თავშესაფარი „კავკასს გადაღმა“, ე. ი. საქართველოში, რომელიც მას თავისუფლების მხარედ მიაჩნდა.

„სოციალური დესპოტიზმის წინააღმდეგ არის მიმართული – განაგრძობს სერგი დანელია, – ლერმონტოვის ისეთი ვრცელი თხზულებები, როგორცაა, მაგალითად, დრამა „უცნაური კაცი“, პოემა „ბოიარი ორშა“ და ნოველა „ვადიმი“.

რევოლუციურ-პატრიოტული განწყობილება ამხედრებდა ლერმონტოვს, აგრეთვე, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მართალია, ის იყო რუსეთის დიდი პატრიოტი, მაგრამ არ სურდა, რომ რუსეთის პოლიტიკური ძლიერება უცხო ხალხთა დამონებაზე აეშენებინა. ლერმონტოვი წინააღმდეგობას უწევდა ოფიციალური რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ამას მშვენივრად ამოწმებენ მისი თხზულებები: „იზმაილ-ბეი“, „ვალერიკი“, „მწირი“,

„კავკასიას“. ამ უკანასკნელში ჩვენ ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ:



კავკასიონო, შორს მყოფო მხარევ,
თავისუფლების ძვირფასო ბინავ,
შენც თავს დაგატყდა ტანჯვები მწარე,
ომის ქარცეცხლში ოხრავ და გმინავ.

აქ საუბარია იმ ომზე, რაც კავკასიის მთის ხალხებს დაატეხა თავზე ნიკოლოზ მეფემ და რაც დასრულდა მთიელთა დაპყრობით. პოეტის მთელი სიმპათიები კავკასიის ხალხთა მხარეზეა.

იგივე თანაგრძნობა მათ მიმართ მოჩანს პოემაში „იზბაილები“ და ლექსში „ვალერიკი“. პროტესტს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ პოეტი კიდევ უფრო აღრმავებს მშვენიერ პოემაში – „მწირი“, რაც სრულიად სამართლიანად შეიძლება ეროვნული თავისუფლებისადმი მიძღვნილ ჰიმნად იქნას აღიარებული.

სერგი დანელია ნარკვევში საუბრობს იმ წინააღმდეგობებზე, რაც არსებობდა ლერმონტოვს – პოეტსა და ლერმონტოვს – ოფიცერს შორის. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, როგორც პოეტს, ლერმონტოვს სძულდა თვითმპყრობელობა; იგი არ თანაუგრძნობდა მის იმპერიალისტურ პოლიტიკას, ეზიზღებოდა ის სისხლისმღვრელი ომი, რასაც ცარიზმი აწარმოებდა კავკასიაში, მაგრამ, როგორც რუსეთის მეფის ქვეშევრდომი და ტენგინის პოლკის ოფიცერი, ლერმონტოვი თვითონ მონაწილეობდა იმ ომში. იგი ცხოვრებამ ჩააყენა ისეთ პირობებში, რომ იძულებული იყო, ეკეთებინა ის, რაც მას, როგორც პოეტს, არ მოსწონდა და ძლიერ აწუხებდა კიდევ. ამიტომ მან მრავალჯერ განიზრახა, დაენებებინა თავი სამხედრო სამსახურისათვის, მაგრამ ამის ნებართვა მთავრობისაგან ვერ მიიღო. ყოველივე ეს უნდა იქნას გათვალისწინებული, როდესაც მასზე ვმსჯელობთ.

შემდეგ ს. დანელია ეხება ლერმონტოვის ერთ-ერთ ლექსს, „დავას“, სადაც პოეტი ამბობს:

აი, მეცხრე საუკუნეც
იქ ხალხია ძილში,
ხედავ, ჩრდილში ჭაღარისამ

ქართველია, ლხინობს,
ნაქარგ შარვალს მთვლემი ასხამს
ტკბილს, მჩქეფარე ღვინოს.

აქ ლერმონტოვი აკრიტიკებას შეზარხოშებულ ჭაღარა ქართველ კაცს, რომელიც თვლემს, ძილის ბურუსშია გახვეული. ლერმონტოვი ამ ლექსის სტრიქონებით წინ უსწრებს ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის „ელეგის“ სტრიქონებს:

ოჰ, ღმერთო ჩემო,
სულ ძილი, ძილი!
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება!

„აი, ამ გაღვიძებული, ამ ფხიზელი ცხოვრების დამკვიდრების სურვილი აქვს ლერმონტოვს გამოთქმული ლექსში „დავა“, – დასძენს მკვლევარი.

სერგი დანელია იმასაც შენიშნავს, რომ საქართველოში ბევრი ემდურის ლერმონტოვს მისი ნაწარმოების „დემონის“ ერთი სტრიქონისათვის, რაშიც იგი ამბობს: „გაიქცნენ მშიშარა ქართველები“-ო. მაგრამ აქ, მკვლევრის თქმით, საერთოდ ქართველ ხალხზე კი არ არის საუბარი, არამედ იმ ქართველ თავადაზნაურებზე, რომლებიც რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისაგან ჩინორდენების მისაღებად გულადად ებრძოდნენ კავკასიის მთიელებს. ლერმონტოვის აზრით, მათი გულადობა იყო მხოლოდ ფიზიკური გამბედაობა და არა ზნეობრივი მამაცობა, რადგან მათ თვითონაც არ იცოდნენ კარგად, რისთვის იბრძოდნენ.

კრიტიკოსის შეხედულებით, ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი მიხეილ ლერმონტოვის ლექსები, რომლებიც 1812 წლის სამამულო ომს ეხება. ესენია „ბოროდინის ველი“, „ბოროდინო“ და „ორი ბუმბერაზი“. მაგრამ პოეტის პატრიოტიზმი – აღნიშნავს ს. დანელია, – პიკს აღწევს 1841 წელს დაწერილ ლექსში „სამშობლო“, რომელშიაც იგი „სრულიად გარკვეულად იმიჯნება ცარისტული რუსეთის მმართველი წრეების რეაქციონური „პატრიოტიზმისაგან“ და ამყარებს თავის რევოლუციურ პატრიოტიზმს... პოეტს არ უყვარს ჩინორდენებითა და გარეგნული დიდებით შემოსილი გვამები;

სამაგიეროდ უყვარს მდაბიო ხალხის რუსეთი, მისი დარიბული ქოხები, მისი მშრომელი გლეხოზა“ (იქვე: 117).



და ბოლოს, დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სერგი დანელია დაასკვნის, რომ ასეთი პატრიოტი არასოდეს არ შეურიგდება იმას, რომ მისი თუ სხვა ხალხი იყოს დამონებული და უხეში ძალის მიერ ფეხქვეშ გათელილი. ლერმონტოვს მშვენივრად ესმის, თუ რა დიდი განძია ხალხისთვის თავისუფლება.

ჩვენ დავსძენთ, რომ ყოველივე ეს კარგად ესმის მიხეილ ლერმონტოვსა და სასიქადულო მამულიშვილს – სერგი დანელიას, მაგრამ არ ესმის ჩვენს ისტორიულ ეპოქაში რუსეთის მმართველი წრის წარმომადგენლებს, პუტინსა და მის გარემოცვას, რომლებსაც დაპყრობილი აქვთ ჩვენი სამშობლოს 20% და ხელახლა ესწრაფვიან საქართველოსა და აგრეთვე, უკრაინის სრულ ანექსიას.

რომან ოდიშარია, ოთარ დანელია /მარტვილი/

სოფლის იდილია მამუკა ჯინჭარაძის ნოველაში

მამუკა ჯინჭარაძის ნოველა „სამკაცრიანი სოფელი“ მაღალმთიანი რეგიონის მთავარ პრობლემას - მოსახლეობისაგან სოფლის დაცარიელებას ასახავს. სოფელში მხოლოდ სამი ოჯახი ცხოვრობს. ზამთრის სენტემენტალური პეიზაჟი კიდევ უფრო ამკვეთრებს საერთო სურათს. ადამიანები ერთფეროვან სამყაროში ცხოვრობენ. ყოველდღიური რუტინა მათ იდილიას უქმნის. ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს. უკიდევანო სივრცეში არც შურია, არც ქიშპოზა, არც ბრძოლა არსებობისთვის. ნადირობასა და ღვინის სმაში გადის ზამთარი, გაზაფხული კი შრომაში უნდა გაილიოს. ადამიანები სიცოტავეში უფრო გამოხატავენ ერთმანეთისადმი სითბოს, უფრო თხილდებიან ერთმანეთს, ცხოვრობენ ერთმანეთის ცხოვრებით. სამიდან ორ

კაცს კუკურა ჰქვია. ესეც დამატებითი შტრიხია, აძლიერებს სოფლის პეიზაჟის ერთფეროვნებას.

ნოველის დანიშნულება ბევრად რთულია, ვიდრე მოთხრობისა, ან, მით უმეტეს, რომანისა, რადგან ძალიან მცირე ფორმატში უნდა გამოიხატოს სათქმელი. მამუკა ჯინჭარაძე მინიმალიზმით ცდილობს მაქსიმუმის მიღწევას და გამოსდის კიდევ. სამი ოჯახიდან ორში მარტოხელა მამაკაცი ცხოვრობს. ერთი კუკურა ბიჭს ელოდება, რომელიც სოფლის მომავლის სიმბოლოა. ეს სიახლე იმ ორ ოჯახსაც გულწრფელად ახარებს. ოპტიმიზმი ზამთრის სისადავეს ფერად კონტურებს ავლებს. პირველქმნილ, სუფთა გარემოში სუფთა ურთიერთობების ასახვით მწერალი გვიჩვენებს ერთიანობის საოცარ ძალას.

ყოველი დილა ჰარმონიულად იწყება: „კაცი გადმოდგება მაღლიდან და ეძახის ერთ მეზობელს, მეორეს რომ გააგონოს. მეორესაც ეძახის პირველის გასაგონად. მეტი გამგონე კაცი არცაა ამ სოფელში...“ ამ ერთ წინადადებაში მწერალი მთელ ისტორიას ჰყვება, რითაც მკითხველს არწმუნებს იმაში, რომ ცხოვრება მშვენიერია, მაშინაც კი, როცა მხოლოდ სამი კაცის მხრებზე დგას მთელი სოფლის ყოფა-ცხოვრება.

ნიკოლოზ ოთინაშვილი /გორი/

„ძეგლი ერისთავთას“ კომპოზიტები

„ძეგლი ერისთავთა“ არის ქსნის საერისთავოს საგვარეულო მატრიანე, რაც ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ძეგლია. ძეგლის ტექსტი შესრულებულია ეტრატზე, რამდენიმე ფურცლად, მარჯვნივ დახრილი კუთხოვანი ნუსხურით, რომელიც მხედრული გრაფიკით გამოსცა პროფესორმა შოთა მესხიამ 1954 წელს.

ძეგლი შექმნილია ერისთავ ვირშელ III-ის სიცოცხლეში, 1348-1400 წლებში, ცნობილი მწიგნობარის -ავგაროზ ბანდაისძის მიერ. ტექსტში გაბმულად მოთხრობილია XIV-XV საუკუნეების

მიჯნაზე საერისთავოში და სხვა ადგილებში მომხდარი ამბები. ქართლის ხეობებში და მთიან ნაწილში - დვალეთში მცხოვრები ქართველი ტომების ურთიერთობა, ბრძოლის, სოციალური ურთიერთობის საკითხები, დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვ.

ძეგლის ტექსტში ნაირ-ნაირი ენობრივი ფორმებია, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. ლექსიკური შემადგენლობის გასამდიდრებლად სხვადასხვა საშუალებებია გამოყენებული. მათ შორის ორი, ან მეტი ძირის გაერთიანება ერთ ფუძედ, ასევე სიტყვათწარმოქმნა. ასეთი რთული სიტყვა საინტერესოა კომპონენტთა ადგილის, ფორმისა და მორფოლოგიური და სხვა პროცესების მხრივ.

კომპოზიტების კვლევას „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი ქართული ენის კვლევის თვალსაზრისით.

ტექსტში კომპოზიტი ფუძეცვლადაა და ფუძეუცვლელი, შეერთების მხრივ კი კავშირიანი ან უკავშირო. კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია - ატრიბუტული, ან მართული.

კომპოზიტების შემადგენელი ფუძეები მტკიცედაა შეკავშირებული ერთმანეთთან და ხშირად ერთ სიტყვადაა ქცეული. ანტონიმური სიტყვები „წინ“ და „უკან“, „ზემო“ და „ქვემო“, რომლებიც კომპოზიტებად არის გამოყენებული, ძირითადად ადგილს მიუთითებს და ტოპონიმებად არის ქცეული. მაგალითად: „აღაშენა უკანაციხე თავსა ისროლის ხევისასა“. აქ აღწერილია ქსნის ერისთავების კუთვნილ მეჯუდის ხეობის სათავეში ვრცელი დასახლების - ისროლისხევის ციხესიმაგრე, რაც დღესაც დგას ნასოფლარის ჩრდილო-დასავლეთით და კარგადაა შემონახული. კომპოზიტი „ისროლის ხევისასა“, როგორც მსაზღვრელ-საზღვრული, პირდაპირი წყობისაა და დღესაც ასეთი ფორმით გამოიყენება.

ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმები ძირითადად ძველქართულისებურია, შებრუნებული წყობისაა. ასეთი მაგა-

ლითები კი ბევრია: „ცხრაზმისხეველი მებრძოლნი იყვნენ ციხესა გრუსასა“. აღნიშნული ციხე-სიმაგრე მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა შენაკად გრუსის წყლის სათავეში. „მოვიდა ყოველი ლაშქარი მთასა ლომისასა“. ლომისის მთა და სალოცავი მდინარე ქსნის ხეობის ზემო წელზე, სოფელ ელოიანის აღმოსავლეთით მდებარეობს, ლომის-ალევის ქედზე. „აღემართნენ მთასა, ქედსა ლომისასა“.

ძეგლში, როცა არსებითი სახელი მსაზღვრელია, წარმოდგენილია ფუძის სახით, სახელობით და მიცემით ბრუნვებში, გავრცობილი ფორმით, მაგალითად: „ვერ დაჰფარავს გუარნათესაობასა მათსა“, „მიჰმართა ციხესა დარიალისასა“, „მიჰმართა ხევთა დვალეთისასა“, „ავიდა მთასა ლომისასა“, „გადმოიყვანეს მთასა ზახისასა“.

ზედსართავი მსაზღვრელად სხვადასხვა ბრუნვაში გვხვდება: „მოუხდნენ შავდვალნი“, „წარვიდა მთასა, რომელი იყო განყინებული“, „ლაშქარი მისი უმჯობეს ჰბრძოდა“, „არა ინებეს მცირედითა ლაშქარსა“, „ძმაჲ უმცროს ლაშქრობდის“, „შექმნა დიდი ხატი მაცხოვრისაჲ“...

რიცხვითი სახელი კომპოზიტში ყოველთვის პირველ ადგილზეა: „წარულო ორივე ციხე“, „გამაგრდეს ორსა ციხესა“, „მიუბოძნა შვიდნი ხევნი“, „მაშინ დავით მრავლითა დიდებითა იყო“...

ნაცვალსახელი თითქმის ყოველთვის უსწრებს საზღვრულს, რაც სხვადასხვა ბრუნვაში გვხვდება:

- „ყოველი ლაშქარი ციხესა მას ჰბრძოდა“;
- „თქუეს ყოველთა ცხრაზმისხეველთა“;
- „არამედ ყოველი ვყოთ“;
- „ყოვლისა ამის ერისაგან მოვითხოვოთ“;
- „ბრძანა მოწოდებაჲ ყოველთა“;
- „დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი“.

მართულსაზღვრულიანი კომპოზიტების გამოსახატავად გვხვდება ნათესაობრივი ბრუნვა და შეიძლება ბრუნვის ნიშანი დაიკარგოს სულ, ან ნაწილობრივ, მაგალითად: გვხვდება როგორც

აწერისხევი, ისე აწრიხევი; ბეხუშის ციხე, გრუისის ციხე; ასევე გვხვდება გრუს ხევი, ისროლის ციხე, ისროლისხევი, ლომის ციხე, სოსხოს მთა, სოსხოს მთა, ქოლოთის ციხე, ხოჯის კლდე და სხვ.

ასევე გვხვდება შებრუნებული რიგით: ქვეყანასა დვალეთისასა, ხევსა ისროლისასა, მთასა ლომისასა, ციხესა ქნოდლისასა და სხვ.

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების პირველი ნაწილი შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი, ან ნართანიან მრავლობითში:

- „იწყეს შენებად სახლებისა დიდ-დიდებისა“;
- „სახელი სდვეს ერისთავთ-ერისთავად“;
- „იყოს თანამოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა“;
- „დავით მეფეთ-მეფისა გიორგის ძისა“;
- „ესხენ ძენი - ქველნი გონიერნი“.

ძეგლში გვხვდება სინონიმური კომპოზიტები:

- „მოუძღურებულნი, დაკოდილნი“;
- „მისცეს სოფელნი, ქვეყანანი“;
- „იყო კაცი კეთილი, მშვიდი, გონიერი“;
- „იყო ფრიად განთქმული, სახელოვანი“.

კომპოზიტები მიღებულია სხვადასხვა სიტყვის ფუძეთაგან, რომლებიც და კავშირით არიან შეერთებულნი:

- „ვითარცა ვეფხი და ვითარცა ჯიქი სიფიცხითა იყო“;
- „იყო ყოველი სამსახური ეკლესიისაი ოქროსა და ვერცხლისაი, ბარძიმი და ტაბლანი, კანდელი და სხვა ყოველი სამკაული“;
- „აღაშენა ქუენიფნეფს ეკლესიაი და დარბაზნი დიდდი და შეუნიერი“...

„ძეგლი ერისთავთა“ არის შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლი, რომელშიც ნათლად ჩანს ქართული ენის სიტყვათშემოქმედება, ენის დიდი პოტენცია, ლექსიკის სიმდიდრე და ნაირგვარობა.

სივრცისა და დროის ერთი ასპექტისათვის ლაიბნიცის მსოფლმხედველობაში

ისტორიულად სივრცისა და დროის შესახებ შემუშავდა სუბსტანციური (აბსოლუტური) და რელატივისტური თეორიები. სუბსტანციური თეორიის პრინციპების დამცველია ინგლისელი ფიზიკოსი ი. ნიუტონი.

ლაიბნიცს არ აკმაყოფილებს სამყაროს ის მექანიკური სურათი, რაც წარმოდგენილია ნიუტონის წიგნში - „ბუნებრივი ფილოსოფიის მათემატიკური პრინციპები“. ცხადია, ლაიბნიცი ეხება და, მით უმეტეს, არ უარყოფს ამ წიგნის დიდ საბუნებისმეტყველო მნიშვნელობას. მისთვის სადავოა მასში გატარებული მექანიკური მეთოდოლოგია. ლაიბნიცმა სწორად შენიშნა სივრცისა და დროის სუბსტანციური თეორიის ნაკლოვანებანი.

აბსოლუტური სივრცისა და დროის ერთ-ერთ დებულებას წარმოადგენს მოძღვრება ცარიელი სივრცის შესახებ. სწორედ ამიტომ ლაიბნიცის კრიტიკის მთვარე ობიექტს ცარიელი სივრცის თვალსაზრისი წარმოადგენს. ლაიბნიცი საყვედურობს ნიუტონს, რომ იგი ცარიელი სივრცის დაშვებით სამყაროს სასრულობას ამტკიცებს. ამასთანვე, მას უდავოდ მიაჩნია რომ „სივრცე სამყაროს გარეშე მოჩვენებაა“. ეს იმას ნიშნავს, რომ „ცარიელი სივრცე არის რაღაც მოჩვენებითი და არა რეალური. სივრცე“, რაც, ლაიბნიცის აზრით, განფენილობას ნიშნავს, მაგრამ „განფენილობა განფენილის გამოვლენა უნდა იყოს; თუ სივრცე ცარიელია, მაშინ იგი იქნება ატრიბუტი სუბიექტის გარეშე, განფენილობა განფენილობის გარეშე“, რაც უაზრობაა. ეს ნიშნავს, რომ ცარიელი სივრცის არსებობის დაშვება ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. სივრცე სხეულების განფენილობაა და, მაშასადამე, სხეულების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს ცარიელი სივრცე, - ამბობს ლაიბნიცი, - არის

იდოლატრიბუს, წმინდა ქიმერა, ზერელე წარმოსახვის შედეგი. ვინც სივრცის არსებობას ამტკიცებს, - გვეუბნება ლაიბნიცი ხელმძღვანელობს წარმოსახვით და არ გონებით. ახალგაზრდობაში მეც გატაცებული ვიყავი ატომებისა და სიცარიელის არსებობით, მაგრამ შემდგომმა „გონებრივმა საფუძველმა გამომაღვიძეს“ და უარი ვთქვი ცარიელი სივრცის არსებობაზე“.

უარყოფს რა ცარიელი სივრცის არსებობას, ლაიბნიცი სივრცესა და ადგილს ერთმანეთთან აიგივებს და ორივეს რელატივისტურ გაგებას იძლევა. ადგილი არ არის ჭურჭელი, როგორც იგი ნიუტონს ესმოდა, არამედ სივრცითი მიმართებების ერთობლიობას წარმოადგენს. ეს შეუძლებელია. „სივრცე მიიღება ყველა ადგილის ერთობლიობისაგან“, მაგრამ ვინაიდან ადგილი რელატიურია - სივრცითი მიმართებების სისტემას წარმოადგენს, ასეთივეა სივრცეც. ლაიბნიცი სივრცესა და ადგილს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. „სივრცე ანუ ადგილი“, - წერს იგი არაერთხელ, რითაც ხაზს უსვამს აბსოლუტური სივრცის არარსებობის შეუძლებლობას. სივრცე ნიუტონსაც ადგილად ესმოდა, მაგრამ ამ თვალსაზრისთა შორის დიამეტრული განსხვავებაა. ერთ შემთხვევაში სივრცისა და დროის რელატივისტური თეორია გვაქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში - აბსოლუტური სივრცისა და დროის კონცეფცია.

ლაიბნიცი გამოავლენს ნიუტონის სივრცისა და დროის თეორიის შინაგან წინააღმდეგობებს. აბსოლუტური სივრცის არსებობის დაშვება, - ამბობს ის - არსებითად ნიშნავს მისი მარადიულობისა და უსასრულობის დაშვებას. ამის შედეგად მას ზოგჯერ ღმერთთანაც კი აიგივებენ, ან მის ატრიბუტად თვლიან. ასეთი დაშვება, ამტკიცებს ლაიბნიცი, შეცდომაა, ვინაიდან სივრცეს ნაწილები აქვს, რაც შეუთავსებელია ღმერთის იდეასთან. აქ მჟღავნდება აბსოლუტური სივრცის დაშვების შეუძლებლობა.

აბსოლუტური სივრცის დაშვების შემთხვევაში მისი ყველა წერტილი და მიმართულება ერთმანეთისაგან განსხვავებული



იქნებოდა. ამ შემთხვევაში კი შეუძლებელი იქნებოდა იმის დასაბუთება, თუ რატომ მოაწყო ღმერთმა სამყარო ამგვარად და არა სხვაგვარად. სივრცის აბსოლუტურობა მისი მდგომარეობისა და მხარეების განსხვავების შესაძლებლობას გამო-რიცხავს.

საპასუხო წერილში კლარკი სივრცეს ღმერთის ატრიბუტად აცხადებს. „სივრცე არ არის სუბსტანცია, მარადიული და უსასრულო არსება, - წერს იგი, - არამედ იგი არის უსასრულო და მარადიული არსების არსებობის თვისება ან შედეგი“. ლაიბნიცი ამჟღავნებს ამ მოსაზრების უსაფუძვლობას. „თუკი სივრცე თვისება ან ატრიბუტია, - წერს იგი, - მაშინ იგი იქნება თვისება რაიმე სუბსტანციის გარეშე. მაგრამ რაიმე სუბსტანციის თვისება ან გამოვლენა იქნება ცარიელი, შემოსაზღვრული სივრცე, რომელიც მისი დამცველების აზრით, ორ სხეულს შორის არსებობს“. ერთი სიტყვით, ლაიბნიცი კითხულობს: როგორი იქნება ცარიელი სივრცის თვისება, როცა იგი ორ სხეულს შორის არსებობს და არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის? ამრიგად, შეუძლებელია სივრცის ჩათვლა რაიმე სუბსტანციის თვისებად, მის ატრიბუტად.

კიდევ მეტიც, თუ არსებობს აბსოლუტური სივრცე, მაშინ იგი, - ლაიბნიცის აზრით, სუბსტანციის ატრიბუტი, ან თვისება კი არ იქნება, არამედ თვითონ იქნება სუბსტანცია, ხოლო თუ იგი სუბსტანციაა, მაშინ ღმერთი ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მასზე. გარდა ღმერთისა, მივიღებთ მრავალ უსასრულო და მარადიულ სუბსტანციას, რაც შეცდომაა.

აკრიტიკებს რა აბსოლუტური სივრცისა და დროის თეორიას, ლაიბნიცი აყალიბებს საკუთარ რელატივისტურ თვალსაზრისს სივრცისა და დროის შესახებ, რომელიც არისტოტელე-დეკარტის კონცეფციის გავრცელებასა და დასრულებას წარმოადგენს ამ მიმართულებით. სივრცე და დრო, მისი აზრით, წესრიგებია. სივრცე საგანთა თანაარსებობის წესრიგი, ხოლო დრო - თანამიმდევრობისა. „მე არაერთხელ

აღვნიშნე, - წერს ლაიბნიცი, - რომ სივრცეს, ისევე როგორც დროს, ვთვლი წმინდა რელატიურად. სივრცე არის თანაარსებობის წესრიგი, ხოლო დრო - თანამიმდევრობის წესრიგი. ვინაიდან სივრცე შესაძლებლობის თვალსაზრისითაც ნიშნავს ერთდროულად არსებულ ნივთთა წესრიგს, რამდენადაც ისინი ერთად არსებობენ, არ ვეხებით რა მათ სპეციფიკური არსებობის წესს. როცა რამდენიმე ნივთს ერთად ხედავენ, მაშინ შეიცნობენ წესრიგს, რომლებშიც ეს ნივთები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან“.

შემდეგ წერილში ლაიბნიცი კიდევ უფრო განმარტავს თავის თვალსაზრისს. იგი წერს: „ამბობენ, რომ სივრცე არ არის დამოკიდებული სხეულთა მდებარეობაზე. ამაზე ვუპასუხებ, რომ იგი, რასაკვირველია, დამოკიდებული არ არის ამა თუ იმ სხეულის მდებარეობაზე, მაგრამ იგი ისეთი წესრიგია, რომელიც თვითონ ქმნის სხეულთა განლაგების შესაძლებლობას, რომლის ძალითაც ისინი თავიანთი არსებობით ერთი მეორის გვერდით განლაგების მიმართებას შეიცავენ, ისევე როგორც დრო წარმოადგენს იმავე წესრიგს, მათი არსებობის თანამიმდევრობის აზრით. მაგრამ ნივთები საერთოდ რომ არ არსებობდნენ, მაშინ სივრცე და დრო მხოლოდ ღმერთის ენაში იარსებებდა“.

სივრცისა და დროის სხვადასხვა ინტერპრეტაციებთან დაკავშირებულია სამყაროს სურათის განსხვავებული ინტერპრეტაციები, რომლებიც წარმოდგენილია ნიუტონისა და ლაიბნიცის მოძღვრებაში. ლაიბნიცი წინასწარ დადგენილი ჰარმონიის თეორიიდან ამოდის და ამტკიცებს, რომ ღმერთმა ერთხელ მოაწყო სამყარო და შემდეგ მის საქმიანობაში არ ერევა; ნიუტონი კი პირიქით თვლიდა. ღმერთი დროდადრო ერევა სამყაროს საქმიანობაში, შეაქვს მასში წესრიგი, ძალას ანიჭებს მას, მსგავსად მესაათისა, რომელიც საათს დროდადრო მართავს, რის გარეშეც იგი გაჩერდებოდა. ნიუტონი ბრალს სდებს ლაიბნიცს ათეიზმში, ვინაიდან, თუ სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთის ჩარევა აღარ ესაჭიროება, აქედან

შეიძლება სკეპტიკოსი ღმერთის შემოქმედების უარყოფამდე მივიდეს. როგორც ვხედავთ, კამათს ამ პუნქტში იდეოლოგიური ხასიათი აქვს.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ლაიბნიცის რელატივისტური შეხედულება, როგორც აინშტაინი შენიშნავს, მეცნიერების განვითარებამ გაამართლა. ამდენად, მან დიდი როლი შეასრულა თანამედროვე წარმოდგენების შემუშავებაში სივრცისა და დროის შესახებ.

ეთერ ორმოცამე /ქუთაისი/

მეცნიერული დეტერმინიზმი და თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერება (ქვანტური თეორია და ბიოლოგია)

მატერიალური სინამდვილის კანონზომიერებების შესახებ ძველი (კლასიკური) წარმოდგენების ძირეული ცვლილებები მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ქვანტური მექანიკის წარმოშობასთან. ე.წ. მცირე განზომილებების სამყაროში მოქმედი კანონზომიერება განსხვავებული აღმოჩნდა მაკროსამყაროს კანონზომიერებებისაგან, რის გამოც, კლასიკური ფიზიკის მიერ მარადიულ და აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიჩნეული მთელი რიგი ცნებები ძირეულად შეიცვალა. იმ კლასიკური იდეებიდან, რომლებმაც ფიზიკის განვითარების კვალობაზე ცვლილებები განიცადეს, ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ აუცილებლობისა და მიზეზობრიობის ცნებები.

ელემენტარული ნაწილაკების კვლევის შედეგებმა გამოამჟღავნა მექანიკური დეტერმინიზმის შეზღუდულობა: დაასაბუთა, რომ აბსოლუტური აუცილებლობის ცნება, რომელსაც მექანიციზმი ემყარებოდა, ობიექტური სინამდვილის ასახვას არ წარმოადგენს. ბუნებაში არ არსებობს აბსოლუტური, ფატალური აუცილებლობა.

ასევე, ახალმა კონცეფციამ შეცვალა ალბათობის კლასიკური გაგებაც; კლასიკური წარმოდგენებით შემთხვევითი ობიექტურად არ არსებობს. იგი, როგორც შემეცნებითი უნარის სასრულობის შედეგი, წმინდა სუბიექტური კატეგორიაა. ამავე მიზეზით, ლაპლასთან უარყოფილი გამოდის ალბათობა, როგორც ადამიანური ცოდნის ობიექტური შინაარსი. ამიტომ მასთან ალბათობა, როგორც ობიექტურობას მოკლებული, არ წარმოადგენს რეალურის ასახვას. ასეთი ცოდნა კი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი.

მექანიკური მიზეზობრიობა, რომელსაც ლაპლასის დეტერმინიზმი მიზეზობრიობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად თვლიდა. უვარგისი აღმოჩნდა მიკროსამყაროს კანონზომიერების აღწერისათვის. ქვანტურ სფეროში მოქმედ მიზეზობრიობას აღმოაჩნდა არაერთნიშნა ხასიათი. ასე მაგალითად, სტატისტიკურ მექანიკაში განაწილების ფუნქცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს დროის მომდევნო მომენტისათვის ნაწილაკის კოორდინატისა და იმპულსის მნიშვნელობის ალბათობა. სადაც, კოორდინატი და იმპულსი განიხილება როგორც გარკვეული აზრით შემთხვევითი სიდიდეები, რომლებიც არ არის ცალსახად დეტერმინირებული.

მიკროსამყაროში მოქმედი ალბათური აუცილებლობა აუცილებლობის გამოხატვის ახალი ფორმაა, რომელსაც ატომური მოვლენების ასახსნელად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ალბათური აუცილებლობა არ გამორიცხავს აუცილებლობასა და მიზეზობრიობას. იგი ორგანულად აერთიანებს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ნიშნებს. ამასთანავე აღნიშნული ერთიანობა არაა ხელოვნური. იგი მიკროსამყაროს მოვლენების ორმაგი ბუნების (კორპუსკულური და ტალღური) ასახვაა. ამის გამო ალბათური აუცილებლობის ცნების გარეშე სუბატომურ სფეროში კანონზომიერებათა კვლევა წარმოუდგენელია. ყოველი კანონზომიერება, რომელიც ელემენტარულ ნაწილაკებში მიმდინარეობს, წარმატებით აიხსნება ალბათური აუცილებლობის ცნების საფუძველზე. ეს კი

იმაზეც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული კატეგორია არაა სუბიექტური შინაარსის: მას სავსებით რეალური სახე გააჩნია, რაც ვარგად ჩანს აუცილებლობის ალბათურ გამოხატულებაში.

ამრიგად, ალბათური აუცილებლობა, როგორც ალბათური, ერთი მხრივ მექანიკური ტიპის დეტერმინიზმის უარყოფაა, ხოლო მეორე მხრივ, როგორც აუცილებლობა, ინდეტერმინიზმის უარყოფა, ვინაიდან როგორც მექანიციზმისათვის, ისე ინდეტერმინიზმისათვის განმსაზღვრელი ცნებებია შესაბამისად აბსოლუტური აუცილებლობა და აბსოლუტური შემთხვევითობა. სინამდვილის არც ერთ სფეროში არ გვხვდება მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი, ან მხოლოდ აბსოლუტურად შემთხვევითი მოვლენები. ამდენად მცდარია არა მარტო კლასიკური დეტერმინიზმი, არამედ ინდეტერმინიზმიც.

თანამედროვე დეტერმინიზმი, როგორც შემეცნების სწორი მეთოდოლოგია, თავის ასახვას პოულობს ბიოლოგიურ მეცნიერებაშიც. ბიოლოგიური კლვევა-ძიების შედეგები სავსებით შეესატყვისება დეტერმინიზმის თანამედროვე კონცეფციას.

გენური დეტერმინაციის შედარებითი სიმყარე გამორიცხავს დროის დიდი შუალედების მანძილზე ინდივიდუალური თავისებურებების მკაცრ განსაზღვრულობას. ხოლო დროის მცირე შუალედებში გენები სიმყარით ხასიათდებიან. ისინი მკაცრად განსაზღვრავენ ბიოლოგიურ ნიშნებს. ამის მიზეზი ის არის, რომ გენები შინაგან დეტერმინაციას იშვიათად ატარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მემკვიდრეული თვისებების მატარებელი.

შეიძლება ვთქვათ, რომ გენეტიკური დეტერმინაცია არაა აბსოლუტური, გარდაუვალი. ადამიანის აღზრდა უმეტესწილად სოციალურ გარემოზეა დამოკიდებული. გარემო გამოავლენს ან არ გამოავლენს გენის მოქმედებას (აქ ჩანს ის, რომ ადამიანი ერთდროულად არის როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური არსება). ამიტომ გენეტიკური დეტერმინიზმი არაა არც ფაქტალური

და არც ლაპლასის ტიპის დეტერმინიზმი. იგი ალბათური მიზეზობრიობის ტიპისაა, რაც საფუძვლად უდევს ადამიანის თავისუფლებას.

НАЗИЯ ЖАНПЕЙСОВА /Казахстан/

КОНЦЕПТ *МАТЬ/АНА* В КАРТИНЕ МИРА КАЗАХСКО-РУССКИХ БИЛИНГВОВ

Современный Казахстан, оказавшийся волею судеб в так называемом евразийском пространстве, переживает глобальные изменения, которые коснулись буквально каждого члена социума. Пересечение двух культур (Запада и Востока) привело к появлению специфического культурного типа, в связи с чем ученые говорят о рождении принципиально нового явления – бикультуры, в котором «всплывает проблема целостности, центра, эстетической доминанты», а также этнической самоидентификации. Социозамеры свидетельствуют о том, что представление о национальной принадлежности у казахов формируется на основе комплекса «язык – культура – традиции и обычаи».

Картина мира билингвов являет собой причудливую мозаику, тем не менее, она все же подчинена определенным законам упорядочения. С учетом этого представляется возможным путем обращения к традиционно-лингвистическим и когнитивным подходам исследования показать один из путей лингвистического анализа картины мира двуязычных индивидов. Для иллюстрации предлагается методика анализа концепта *мать/ана* в казахской концептосфере. В функционировании даже такого частотного слова (*мать*) имеются существенные различия, обусловленные спецификой казахской и русской концептосфер. Это показано на материале около 60 источников: толковых, этимологических, фразеологических, культурологических, двуязычных, диалектных словарей, сборников пословиц и поговорок, афоризмов на казахском и русском языках, данных историко-этнографических исследований.

Анализ материала позволил сделать вывод о том, что в казахском языке слово *ана* сохранило древнее значение, присущее понятию «мать»: «родоначальница», «источник жизни». По мнению некоторых исследователей, «основное современное значение 'мать' постепенно конкретизировалось из более общего, широкого понятия 'мать', 'родоначальница' вообще ко всему живому». Функционирование целого ряда синонимов разговорного характера в современном казахском языке подчеркивает эту особенность лексемы *ана*.

Кардинально изменившееся положение казахской женщины-матери (запрет многоженства, левирата, сорората; обретение социальной свободы на основе равноправия с мужчинами, доступ к образованию; участие во всех общественных институтах, вплоть до парламента) одновременно характеризуется тем, что, пользуясь всеми гражданскими свободами и имея достаточно высокий социальный статус, женщина-казашка в современном быту все же подчиняется нормам морали, обусловленным особенностями национальной культуры с ярко выраженным патриархальным началом, которые приобрели форму этикета. В целом, эта объективная сторона современной казахской культуры и отражается в языковых фактах, обусловив структуру концепта *мать/ана* в казахской концептосфере и картине мира казахско-русских билингвов.

იზოლდა რუსაძე /ქუთაისი/

პროფესორი მიხეილ ალავიძე – ეტიმოლოგიის
მკვლევარი

2016 წლის მაისში სრულდება 100 წელი ქართველი ენათმეცნიერის, პროფესორ მიხეილ ალავიძის დაბადებიდან. მიხეილ ალავიძე იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ქართული

კულტურის მემატიანე, შრომის ვეტერანი, ქუთაისის საპატრიარქოს მოქალაქე.

ფართო იყო პროფ. მიხეილ ალავიძის მეცნიერული მოღვაწეობის სფერო. ის იყო ლექსუმური დიალექტის მკვლევარი. თავისი ნაწერებით იღვწოდა დედაენის სინქრისტიკის, წერდა ეტიმოლოგიურ-გრამატიკულ სტატიებს, ბეჭდავდა ფილოლოგიურ ნარკვევებს ქართველ კლასიკოს მწერალთა შესახებ. იყო აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის მემატიანე, წარმოაჩინა კინომცოდნე ვასილ ამაშუკელის ღვაწლი.

თვალსაჩინოა მიხეილ ალავიძის მიერ გაწეული საქმიანობა ლადო ასათიანის პერსონოლოგიური პროგრამის წარმოსაჩენად. რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატია მიუძღვნა საქართველოს ბუნების ქომაცს – პეტრე ჭაბუკიანს, ამოხსნა უამრავი ფსევდონიმი და კრიპტონიმი და სხვა, მაგრამ ამჯერად შევეხებით პროფ. მიხეილ ალავიძეს, როგორც სიტყვის ეტიმოლოგიის მკვლევარს. ამ კუთხით მეტად მნიშვნელოვანია მიხეილ ალავიძის წერილები, რომლებშიც ავტორი იკვლევდა ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს. აღნიშნულ საკითხზე მეცნიერმა არა ერთი და ორი ეტიმოლოგიური გამოკვლევა გამოაქვეყნა. მას უყვარდა მთელი საქართველო, მაგრამ განსაკუთრებით ქუთაისი თავისი ბაგრატითა და გელათით, უქიმერიონითა და მოწამეთით, მწვანეყვავილათა და საფიჩხით, გოჭოურითა და კახიანოურით, ჭომითა და ჭახათით, ბალახვნითა და ბაკისუბნით, მდინარე რიონითა და ყოველი კუთხე-კუნჭულით.

გამოკვლევა „ქუთაისის ტოპონიმიკიდან“ მეცნიერმა ნაწილ-ნაწილ გამოაქვეყნა გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე 1964 წელს. ასევე არაერთი ნაშრომი აქვს შექმნილი ტერმინ „ქუთაისისა“ და ქ. ქუთაისის ახლომდებარე სოფლებისა და რაიონების სახელწოდებათა ეტიმოლოგიის შესახებ. ასეთებს შორის შეიძლება ჩამოვთვალოთ ფარცხანაყანევი, ჭოგნარი, ბაღდათი, გელათი, ტყიბული, რაჭა, ოფურჩხეთი, ორბელი, ჭყვიში, ჯიმასტარო, სათაფლია, წყალტუბო, გუმბრინი, ნიკორწმინდა, წეროვანი და სხვა.

პროფ. მიხეილ ალავიძეს ისტორიულ-შედარებითი კვლევადიების გზით აქვს განხილული ქუთაისის შემოგარენში არსებული ტოპონიმების ეტიმოლოგიები. აქ განხილულია: რუა, კიბულა, ოქროს ჩარდახი, ვარციხე, ქვატაფა, საღორია, მესხეთი, მოწამეთა, საკაჟია, ღარულა, საყორნია, ნაციხვარი, ვარდიგორა, გოდორა, ნაქერალა, ჯვარიდელე, ხორხი, წყალთაშუა, მაშველი, საბუკოლია, საბურთალო და სხვა.

მეცნიერმა ეტიმოლოგიურად ამოხსნა „მამული“, „მერანი“, „ცაიერადი“ და სხვა. მასვე აქვს გამოკვლეული მეღვინეობის ლექსიკიდან ორი სახის ღვინის – „ქინძმარაულისა“ და „უსახელოურის“ ტერმინთა ეტიმოლოგია.

პროფ. მიხეილ ალავიძე თავის ნაწერებში შეეხო ცალკეული მწერლების თხზულებებიდან ამოკრებილ ლექსიკურ ერთეულებს, გაანალიზა ისინი ისტორიულ ასპექტში და გვიჩვენა ერთი და იმავე ძირიდან წარმოქმნილი ფორმების თავისებურებანი. განსაკუთრებით ბევრი საკითხი გააშუქა მან „ვეფხისტყაოსნიდან“. აქ აღსანიშნავია დიალექტური ლექსიკა და -ოვან და -ეულ სუფიქსებით ნაწარმოები ფორმების ანალიზი და სხვ.

საინტერესოა მეცნიერის მოსაზრება ქუთაისის მთავარი მდინარე „რიონის“ ეტიმოლოგიის შესახებ.

პროფ. მიხეილ ალავიძეს ეტიმოლოგიურად აქვს შესწავლილი ლეჩხუმის ტოპონიმები (40 ტოპონიმის – ადგილის სახელწოდების წარმომავლობა, თავდაპირველი აგებულება და მისი მნიშვნელობა) ლადო ასათიანის ერთტომეულში.

პროფ. მიხეილ ალავიძის მიერ თავისი მეცნიერული მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში შექმნილი და გამოქვეყნებული ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ნარკვევები დაბეჭდილია პერიოდულ პრესაში.

მეტად საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია დაჩქარდეს პროფ. მიხეილ ალავიძის ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ნარკვევების ცალკე წიგნად გამოცემა.

მარიამ რუხაძე ირაკლი სალია /თბილისი/
ხელმძღვანელი: რ. ასათიანი



„სასმისის“ განმსაზღვრელი ზოგადი
საკატეგორიზაციო ნიშნები და შესაბამისი
ბაზისური კატეგორია ქართულ ენობრივ სივრცეში

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში მეცნიერების ახალი დარგის – კოგნიტიური ფსიქოლოგიის, უფრო ზოგადად კი კოგნიტიური მეცნიერების, განვითარებამ ახალი იმპულსი შემოიტანა ენათმეცნიერებაში. კოგნიტიური მეცნიერება შეისწავლის, თუ როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, როგორ ღებულობს ინფორმაციას შეგრძნებების მეშვეობით, როგორ გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, როგორ უდარებს ადრინდელ მონაცემებს, ახარისხებს და ინახავს მეხსიერებაში. იგი არკვევს, თუ როგორ ხდება მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირება და ენობრივ ფორმებში რეალიზება, როგორ მოვიხმართ ამ ინფორმაციას ფიქრისას და მსჯელობისას. კოგნიტიური კვლევების წარმოებისას ენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ ენაა აზროვნებისა და აზრის გადმოცემის საშუალება.

ინფორმაციის სტრუქტურირებისას ინფორმაცია ჯგუფდება სხვადასხვა კატეგორიების სახით. პროტოტიპული თეორიის მიხედვით, კატეგორიაში შემავალ წევრებს აქვთ წევრობის განსხვავებული ხარისხი და გამოიყოფა ბაზისური კატეგორია.

მოხსენებაში განხილული იქნება სასმისის კატეგორიის განმსაზღვრელი ზოგადი საკატეგორიზაციო ნიშნები და ექსპერიმენტული მეთოდის საფუძველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდება შესაბამისი კონცეპტის ბაზისური კატეგორია ქართულ ენობრივ სივრცეში.

ცნებებისათვის - „გზნება“ და „თაური“ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

გრიგოლ რობაქიძის დადებით კონტექსტში მოხსენიება რამდენიმე ათეულ წელს აკრძალული იყო. თუკი ახსენებდნენ, აუცილებლად კრიტიკით, უფრო სწორად ლანძვით. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აკრძალვა მოიხსნა და ლიტერატურათმცოდნეებს მის შემოქმედებაზე თავისუფლად მსჯელობის საშუალება მიეცათ. მას შემდეგ მრავალი ნაშრომი შეიქმნა, რომელთა უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მწერლის შემოქმედებაში მითოლოგიას, რადგან ნებისმიერი მკითხველისთვის თვალშისაცემია ავტორის პრიორიტეტი: „მითოლოგიური რეალობა არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული“ (რობაქიძე 1996: 156). ამ ნაშრომებში ძირითადად საუბარია კონკრეტული მითოლოგიური სიმბოლოების მნიშვნელობაზე, რის გამოც განხილვის მიღმა რჩება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. რატომ იყო გრიგოლ რობაქიძე დაინტერესებული მითოლოგიით. ამ საკითხს უკავშირდება „თაურფენომენის“ ცნება; და 2. მართალია „სიმბოლო არის ცოცხალი საკრალური მითის ელემენტი და მითისკენ მიმავალი აუცილებელი საფეხური“ (ცანავა 2012: 221), მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების გასაგებად, გასათავისებლად საჭიროა უფრო მეტი, ვიდრე მითოლოგიური სიმბოლოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია - „ვისაც „სიმბოლო“ და „მითოსი“ არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. ვგულისხმობ „მკვლევარს“ და არა „მკითხველს“. „მკითხველი“ ხშირად უშუალო განცდით უფრო ღრმად წვდება რომელიმე ნაწარმოებს, ვიდრე აპარატებით დამძიმებული „მკვლევარი“ (რობაქიძე 1996: 81). ამ მოვლენას გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებული სიტყვით - „გზნება“ აღნიშნავს და მკითხველის

ასეთი აღქმა, როგორც ამ ციტატიდან ჩანს, მჭიდრო კავშირშია მითოლოგიის თემასთან მის შემოქმედებაში.

ღმერთი ზღვარს მიღმაა და მასთან მიახლოების სურვილით ეძალება ადამიანი თაურს. გრიგოლ რობაქიძის მისტიკურ წიაღსვლებს სწორედ ეს სურვილი ასაზრდოებს. იგი მუდმივად უახლოვდება ზღვარს, თაურს, ღმერთს. ეს წიაღსვლები კი, როგორც აღვნიშნეთ, არაა დაფუძნებული მხოლოდ მეცნიერებაში ცნობილ მითოლოგიურ, რელიგიურ სიმბოლოებზე. იგი ყოველ მოვლენასა და ყოველ ადამიანში კითხულობს სიმბოლოებს. იგი „გზნებს“ არსს და ამბობს იმას, რისი გადმოცემაც შეიძლება სიტყვით. თუმცა მის სიტყვებს მაინც მივყავართ მატერიაზე, რაციოზე შორს. ტაბა ტაბაა არჩიბალდ მეკეშთან ღმერთზე საუბრისას ამბობს: „იგი არ არის არც მატერია და არც სული. ან უკეთ: იგი მატერიაცაა და სულიც. ან კიდევ უკეთ: იგი ამ დაყოფის მაღლა დგას: მიღმაა იქითა მხარეს. -უსახელო...გამოუცნობი..

-რა საჭიროა გამოცნობა?! გზნებაა საჭირო...“ (რობაქიძე 1989: 44).

სიტყვა „გზნებასთან“ პირველი შეხების დროს შეიძლება უნებურად იფიქრო, რომ ეს მხოლოდ სიტყვა „გრძნობის“ ან „შეგრძნების“ ფონეტიკურ-მორფოლოგიური სახეცვლილებაა, მაგრამ ის სწორედ იმ სიბრტყეზე მიუთითებს, რაც ასე მნიშვნელოვანია ავტორისთვის და შესაბამისად დიდი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. შეგრძნება – გრძნობა – გზნება ტრიქოტომიაა. შეგრძნება მიემართება სამყაროს მატერიალურ აღქმას, გრძნობა – ემოციურს, გზნება კი – მისტიკურს.

ხელოვნებას საერთო, სინკრეტული საწყისი აქვს. დღეს ცნობილი ხელოვნების უძველესი დარგები გაერთიანებული იყო ერთი მიზნით – ზებუნებრივთან ურთიერთობისთვის. ამიტომ ახასიათებს ხელოვნების ყოველ დარგს მისტიკურობა, ამიტომაც გზნება საჭირო საერთოდ ხელოვნების აღსაქმელად და განსაკუთრებით, ისეთი ავტორის, რომლის შემოქმედებაც გაჯერებულია მისტიკური წიაღსვლებით.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მითოლოგიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის ორ ესსეს, „ჰიტლერსა“ და

„მუსოლინის“. ამ ნაწარმოებების გამო შეწყდა მისი კარიერა ევროპაში, საბჭოთა კავშირში კი ლანძღვის ახალი მიზეზი მიეცათ. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ამ ესეებში დიქტატორები დახასიათებულია მითოლოგიური მსოფლმხედველობის ჭრილში და მართლაც, ღმერთებს, გმირებს ადამიანები თავის თავზე მაღლა აყენებდნენ, თაყვანს სცემდნენ, პატივს მიაგებდნენ, ეშინოდათ მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ უსამართლოები, დაუნდობლები, სასტიკები და ა. შ., ადამიანების მიმართ. მითოლოგიას მორალური ოპოზიციები არ აინტერესებს, ამიტომ მითოლოგიური შეფასება ნიშნავს არა ადამიანის საქციელის ავკარგიანობის დადგენას, არამედ მის არსებაში იმ სიმბოლოების ამოკითხვას, რომლებიც ქმნის მითოლოგიას. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ ესეებიდან, მაგრამ „გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი („ჩაკლული სული“, „გრაალის მცველნი“), ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი, მაგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს“ (ბაქრაძე 1999: 187). თანაც მაშინ, როდესაც უკვე მიღებული იყო ნიურბერგის კანონები და სუდეტის ოლქიც მიერთებული ჰქონდა გერმანიას. გრ. რობაქიძე ამ ესეში რასიზმსაც ამართლებს და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის მითვისებასაც.

გრიგოლ რობაქიძის შესახებ კიდევ მრავალი კრიტიკული წერილი, ესე, ნარკვევი დაიწერება, იმიტომ, რომ მისი შემოქმედება საოცრად მდიდარ მასალას იძლევა კვლევისთვის: მას ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდან ბოლომდე უჩვეულოდ სისტემური, დახვეწილი, ჩამოყალიბებული მხატვრული მეტყველება, სახეები, ფილოსოფია აქვს; იმიტომ, რომ მისი შემოქმედების კვლევა მწერლის გარდა მრავალმხრივი მოაზროვნის შესწავლასაც გულისხმობს. გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობის შესწავლა ბევრად ფართომასშტაბიან და მრავალმხრივ კვლევას ითხოვს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების სკოლაში სწავლებისათვის

„ჰა, წაიკითხეთ,
შურით აღივსეთ,
საბჭოთა
ქვეყნის ვარ მოქალაქე“

ეს პოეტური სიტყვები ეკუთვნის დიდ რუს პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის, პიროვნებას, რომელიც ამჟამად სკოლაში არ ისწავლება. სამწუხაროდ, მომავალი თაობა არ იცნობს ისეთ გამოჩენილ რუს მწერლებსა და პოეტებს, როგორებიც არიან: ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ივანე ტურგენევი, ალექსანდრე გრიბოედოვი და მრავალი სხვა. მიუხედავად ამისა, ჩემს მოსწავლეებს ყოველთვის ვესაუბრები მათ შესახებ. განსაკუთრებით ვამახვილებ ყურადღებას იმ საკითხზე, რომ თითქმის ყველა რუსი პოეტი და მწერალი მოგზაურობდა საქართველოში. მათ აქ იზიდავდათ არა მარტო საქართველოს შესანიშნავი ბუნება, არამედ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა, შემდეგ კი თავიანთ ნაწარმოებებში უმღერდნენ საქართველოსა და ქართველ ხალხს. სწორედ ეს საუბარი გახდა საფუძველი იმისა, რომ XI კლასმა შემომთავაზა, ჩამეტარებინა განსხვავებული გაკვეთილი, რომლის თემაც გახდა მაიაკოვსკის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, დიდი რუსი პოეტი და დრამატურგი, რუსული ფუტურზმის ფუძემდებელი, დაიბადა საქართველოში, სოფ. ბაღდათში, 1893 წლის 19 ივლისს, მეტყევის ოჯახში. მამა - ვლადიმერ მაიაკოვსკი მუშაობდა ბაღდათის სატყეო მეურნეობაში, ხოლო დედა - ალექსანდრა ალექსეს ასული წარმოშობით კაზაკი იყო. 1902 წელს მაიაკოვსკი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში (ახლანდელი I საჯაროს სკოლა). 1906 წელს, მამის

გარდაცვალების შემდეგ, მაიაკოვსკი თავის დებთან ერთად დედამ წაიყვანა მოსკოვში, სადაც სწავლა გააგრძელა გიმნაზიაში. 1908 წელს გიმნაზია მიატოვა და რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო. იმავე წელს შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ის სამჯერ დააპატიმრეს. 1909 წელს ციხეში ყოფნისას დაიწყო ლექსების წერა. 1911 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მოეწყო სამხატვრო აკადემიაში. ამ პერიოდში გაიცნო დავიდ ბურლიუკი და დაუახლოვდა ფუტურისტების პოეტურ წრეს. პირველი მისი გამოქვეყნებული ლექსი „ღამე“ (1912 წ.) შევიდა ფუტურისტულ კრებულში. 1913 წელს წერს და დგამს ტრაგედიას „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რაშიც თავადვე ასრულებს მთავარ როლს. 1914-1915 წწ. მუშაობს პოემაზე „შარვლიან ღრუბელს“, რაც ფუტურიზმის ერთგვარ მანიფესტადაა მიჩნეული. 1915 წელს დაწერილი „ფლეიტა-ხერხემალი“ მისი ლირიზმის მწვერვალად ითვლება და ეძღვნება პოეტის საყვარელ ქალს - ლილი ბრიკს (ელზა ტრიოლეს და), რომელიც მისივე გამომცემლის - ოსიპ ბრიკის მეუღლე იყო. ამავე პერიოდში მაიაკოვსკი წერს ომის საწინააღმდეგო ნაწარმოებებს „მე და ნაპოლეონი“, პოემა „ომი და მშვიდობა“, „დედა და გერმანელების მიერ მოკლული საღამო“ და სხვ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის თავის ტალანტს ხელისუფლების სამსახურში აყენებს. წერს პოემას „ლენინი“, ხოლო 1918 წელს იდგმება „მისტერია-ბუფი“, რაც რევოლუციის წლისთავს ეძღვნება. მაიაკოვსკი იყო მემარცხენე მხატვრების გაერთიანების ლიდერი 1918-1919 წწ. პეტროგრადიდან მოსკოვში გადადის და წერს პოემას „15 000 000“, რაშიც განავითარებს მსოფლიო რევოლუციის თემას.

1923 წელს მაიაკოვსკიმ ჩამოაყალიბა ჯგუფი „ლეფი“ (მარცხენა ფრონტი) და იმავე სახელწოდების ჟურნალი, რომლის 24 ნომერი გამოვიდა. 1928 წელს ის იმედგაცრუებული ტოვებს ორგანიზაციას და ჟურნალს. 1930 წლის 14 აპრილს, დილით, მოსკოვში, თავისივე ბინაში, მაიაკოვსკი მკვდარი იპოვეს. ეს ყოველივე თვითმკვლელობას ჰგავდა, თუმცა არსებობს

მკვლევლობის ვერსიაც. მაიაკოვსკი დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევჩის სასაფლაოზე.



მეთერთმეტეკლასელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ლექსით საბჭოთა პასპორტზე. ამ პასპორტის ნახვის შემდეგ კი დაისვა უამრავი კითხვა. ბავშვებმა სურვილი გამოთქვეს, მოგვეჩყო ექსკურსია ბაღდათში, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში, რათა უფრო კარგად გაეცნოთ დიდი რუსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრება და შემოქმედება.

სასურველია, რომ ასეთი გაკვეთილები ხშირად ტარდებოდეს. ჩვენი აზრით, აუცილებელია ქართველი მოსწავლეები იცნობდნენ რუსი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას.

ნათია სვინტრაძე /ქუთაისი/

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მეტაფორის განმარტებისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში ნ. ნათაძე ერთ-ერთ სტროფს - „იგი მზე დაკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი, შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაჟვარდისფერად - იანი“ (1273), შემდეგნაირად განმარტავს: „ვარდი აქ ლოყების აღმნიშვნელი მეტაფორაა. აზრია: წითელი ლოყები გაუყვითლდა. იანი, როგორც ჩანს პირ-სახის რაღაც ნაწილის აღმნიშვნელი მეტაფორაა. მის საფუძველს წარმოადგენს მსგავსება არა ფერით, არამედ სინაზით. შემკრთალ ნესტანს სახის ფერი ეცვალა“. იმავე სახელმძღვანელოს 2011 წლის გამოცემაში კი (რედაქტორი ალ. ჭინჭარაული) ვკითხულობთ: „ვარდი აქ ლოყების აღმნიშვნელი მეტაფორაა, აზრია: წითელი ლოყები გაუყვითლდა“. სიტყვა „იანის“ შესახებ ახსნა-განმარტება ამოღებულია. ვფიქრობთ, რომ აქ დასახელებული ია თმის მეტაფორაა. შეშინებული ნესტანის სახემ და თმამ ფერი დაკარგა: სახე-ვარდი ზაფრანად ექცა, ხოლო თმა-იები ლაჟვარდისფერი გაუხდა. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ლაჟვარდისფერი არის ღია ლურჯი-ციცისფერი.

როგორც ვიცით, ია მუქი ლურჯი ფერის ყვავილია. ე. ი. ნესტანმა შიშისგან ფერი დაკარგა. მისი მუქი იები (თმა) გაფერმკრთალდა.

ამ აზრის განმტკიცებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სპარსულ მწერლობაში ია ხშირ შემთხვევაში გამოიყენება თმის მეტაფორად. ის ამ მნიშვნელობით ხშირად გვხვდება ნიზამი განჯელის შემოქმედებაში: როდესაც გახდა ყაისი შვიდი წლის, ტიტას ირგვლივ ია მორთო (ტიტა - lale - ყაისის სახეა, ია - ბანაჰშე - თმა); ხან შენი ვარდის ირგვლივ იას დავთეს (ია - ლურჯი ლაქები); ხან იადან ვარდს გამოვაჩენ (ვარდი - ლეილის სახე, ია - თმა); ვარდისთვის იისაგან ბრწყინვალეა მიეცა (ია აქ თმის მეტაფორაა) და ა. შ.

ყვავილთა სიმბოლიკას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს პოეზიაში. არც ერთი ხალხის პოეზია არ არსებობს ამ უმშვენიერესი ესთეტიკური ფენომენის გარეშე. ვარდ-ყვავილთა სურნელებით განსაკუთრებით მდიდარია სპარსული პოეზია. ძველი ირანული რწმენის მიხედვით მიცვალებულის სხეულის ნაწილები მცენარეების სახით ამოდის საფლავიდან. მაგალითად, ფიქრობდნენ, რომ ია არის თმა, ხოლო თვალებიდან ამოდის ნარგისი და ა. შ. უთუოდ ეს იქცა საფუძვლად პოეტიკაში მსგავსი მეტაფორების დამკვიდრებისა.


ფლორის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ძალიან ვრცელია „ვეფხისტყაოსანში“: ვარდი, სარო, ნარგისი, სოსანი, ნუში, ლერწამი, ალვა, ყაყაჩო, არღვანი, ზაფრანა, ვერხვი, ია და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირ შემთხვევაში ია მოხსენიებულია ვარდთან ერთად. მეტწილად პერსონაჟთა განცდების გადმოცემისას გამოიყენება. ის არის:

ა) სიხარულის ნიშანი: „გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე“ (131).

ბ) მწუხარების გამომხატველი: სატრფოს მოშორებული დადარდიანებული ავთანდილი ამბობს: „...დავყარენ ვარდნი და, აჰა, მე ვაგლახ, იანი!“ (88).

გ) ია დასახელებულია როგორც მცენარე, ყვავილი. ნესტან-დარეჯანის სილამაზით მოჯადოებული როსტევან მეფე ამბობს:



„თქვენ საქვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“ (1532). ამ ადგილს სხვაგვარად განმარტავს გაიოზ იმედაშვილი „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველებაში“: დავკარგე სიხარული და შვენება და მე, ვაგლახს, დამრჩნენ მხოლოდ იანი ანუ მწუხარებანიო.

დ) ია გამოყენებულია პერსონაჟთა გარეგნობის აღსაწერად:

„უფეროქმნილნი მინახვან ვარდნი და ისი იანი, მისი რა მითხარ, ვინ არის ტანსარო, პირბაკმიანი“ (230).

ე) იის ფერი „ვეფხისტყაოსანში“ გლოვის ფერია:

„მას აქათ იგლოვს ხელმწიფე და ყოვლნი მისნი ხლებულნი. დახედენ დარბაზის ერთა: შევლენ ისფრითა ღებულნი!“ (1199)

და ა. შ.

ბოლოს, ამ მოსაზრებას ამტკიცებს ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოიძებნება მაგალითი, სადაც ია შედარებულია თმასთან: „მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და თმითა იამან“ (1319). რუსთველი, უეჭველია, იცნობდა აღმოსავლურ, კერძოდ, სპარსულ პოეზიას. მისთვის ნაცნობი და ძვირფასია მასში გამოყენებული შედარება-მეტაფორები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთველის პოეტურ შედარებათა საფუძველს ქართული გარემო წარმოადგენს. ყველა მხატვრული სამკაული რუსთველის რეალური აღქმითა და განცდითაა შექმნილი. ქართული ფლორისათვის უცხო სუმბული, სანდალოსი, ფინიკი და ა. შ., „ვეფხისტყაოსანში“ ალბათ სწორედ ამიტომ არ არის მოხსენიებული. იის სიმბოლიკა ქართული გარემოსათვის ნაცნობი და ახლობელი უნდა ყოფილიყო და მის გამოყენებას მხატვრული მეტყველების საშუალებად ორიგინალური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

მარტინ ჰაიდეგერი - ჰუმანიზმის კრიტიკა

ჰუმანიზმი წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რაც ყოფიერების ცენტრში იაზრებს ადამიანს. იგი ადამიანს ქმნის იმ ინსტანციად, რომლის ძალითაც მოაზრებულია მთელი ფენომენალური სამყარო. ჰუმანიზმის დასაბამი გვხვდება ძველ ელადაში. ეს მოვლენა გარკვეულწილად განაპირობა იმ პოლიტიკურმა, მეცნიერულმა, ეკონომიკურმა თუ სხვა ფორმის მიღწევებმა, რაც ცხადად გამოვლინდა ძველ საბერძნეთში. ადამიანური გონის ეს საგანძური მემკვიდრეობით გადაეცა რომის რესპუბლიკას, რომელმაც, თავისი ძლიერებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მაღალ სიმაღლეზე აიყვანა ჰუმანიური სისტემა. რენესანსის ადამიანის მიერ დაწყებული ბრძოლა სამყაროში ავტონომიურობის მოპოვებისათვის საბოლოო პუნქტამდე მიიყვანა ახალი დროის აზრობრივმა სისტემამ, რამაც ადამიანი გამოაცხადა უმაღლეს არსებად. ადამიანი არის სამყაროს მბრძანებელი და მხოლოდ ის განაგებს სამყაროსა და ყოველივე მასში არსებულის ბედს. ამრიგად, ჰუმანიზმმა ადამიანი დამკვიდრა არსებულის მბრძანებლად, რომელსაც ძალუძს მისი მომავლის განგება. მარტინ ჰაიდეგერი ერთ-ერთი პირველია, ვინც აღმოაჩენს, რომ სისტემას, რასაც ადამიანი აჰყავს ამ სიმაღლემდე, დაკარგული აქვს ყოველგვარი მნიშვნელობა. სიტყვა ჰუმანიზმი აღვსილია სიცარიელით, ხოლო ადამიანის არსება დაკარგულია ამ სიცარიელეში. Dasein-ის წიაღში გზააბნეული ადამიანი ცდილობს, შეავსოს ის უცხო გარემო, რაშიც მან თავი დაიმკვიდრა. ამის გაკეთებას იგი ცდილობს ტექნიკის საშუალებით, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო დიდ სიცარიელეს წარმოადგენს.

გამოსავალი, ამბობს ჰაიდეგერი, არის დაბრუნება იმ საწყისებთან, რასაც მივყავართ ყოფიერებასთან. ცოდნის ამგვარი საწყისი ადამიანს მოუწოდებს არა მბრძანებლობისკენ, არამედ

მორჩილებისკენ; თუმცა მორჩილება არ გაიგება აქ, როგორც მონობა, არამედ როგორც საკუთარი არსების მიკუთვნება ყოფიერების სიდიადისთვის. სამყაროსთან ჰარმონიაში მოსვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი აღმოაჩენს სიმდიდრეს არსებობის სიღარიბეში.

ბადრი ფორჩხიძე /ქუთაისი/

სერგი დანელიას გამოკვლევის მნიშვნელობა ანტიკური ფილოსოფიის გაგების საქმეში

XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა შორის სერგი დანელია გახლავთ ანტიკურობისა და, საერთოდ, მთელი ევროპული ფილოსოფიის ისტორიის პირველი სისტემატიკოსი მკვლევარი, რომელმაც თავისი სადოქტორო მონოგრაფია მიუძღვნა ძველბერძნული, წინასოკრატული ფილოსოფიის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოღვაწის, ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობას.

ფილოსოფიის ისტორიის მთელი რიგი ავტორიტეტებისაგან განსხვავებით, ქართველი ფილოსოფოსი, ქსენოფანე კოლოფონელის შეხედულებათა დადგენისა და გადმოცემის სარწმუნო წყაროდ, საფუძვლიანად მიიჩნევს ერთ-ერთ ანონიმურ ტრაქტატს, სახელწოდებით: „ქსენოფანე, მელისო და გორგია“. ამ დასხვა ალტერნატიულ მასალებთან ერთად, ჩატარებული ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ქსენოფანე იყო პოლითეისტური იდეოლოგიის კრიტიკოსი და თანმიმდევრული მონოთეისტი. ამასთანავე, რაც ყველაზე გაბედული დასკვნის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს, არის ბერძნული აზროვნების წიაღში ზნეობრივი ცნობიერების დასაბამის დაკავშირება ხსენებულ ფილოსოფოსთან, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ შემეცნების პრობლემის, არამედ მორალურ-ეთიკური შეფასებითი ნორმების მკაცრი რაციონალიზაციის პოზიციის ჩამოყალიბებას.

ანტიკური ფილოსოფიის ისტორიული პერიოდის განსაზღვრის კუთხით, ანგარიშგასაწევია ორი უმსხვილესი ნაკადის, ფიზიკალიზმისა და ანთროპოლოგიზმის ურთიერთგამიჯვნა, რაც ზედმიწევნით ემთხვევა ფიზიკისა და მეტაფიზიკის სააზროვნო ინსტანციების გარკვევასა და მრავალმხრივ განხილვას. მკვლევარი მიუთითებს, რომ ბუნების ფილოსოფიის, ანუ იგივე ფიზიკის, შესწავლის ეტაპი იწყება თალესიდან, ხოლო ადამიანის არსის სიღრმისეული გაგება, რაშიც იგულისხმება ანთროპოლოგიური კვლევის მიმდინარეობა - ქსენოფანე კოლოფონელიდან. აქვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ამ ორივე მიმართულების ტრანსფორმაცია არასოდეს არ ხორციელდებოდა ერთიმეორისაგან მოწყვეტილად და განყენებულად, ვინაიდან ბუნებისმეტყველური ცოდნის ძიება შინაგანად ორგანულ კავშირშია ადამიანის სულიერ და ხორციელ არსებასთან, ისევე, როგორც ანთროპოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც, თავის მხრივ, შერწყმულია სამყაროს კოსმოლოგიურ ჭვრეტასთან, რისი გენეტიკური კავშირ-ურთიერთობების მემკვიდრეობაც უშუალოდ მითოსიდან მომდინარეობს.

ფილოსოფიის ისტორიის დამუშავების პროცესში სერგი დანელია წარმატებით იყენებდა წყაროთა კრიტიკის შედარებით-ისტორიული ანალიზის კვლევის მეთოდს. ის უმთავრესად ამახვილებდა ყურადღებას ორ პერიოდზე: ანტიკურსა და ახალი დროის ფილოსოფიაზე. ანტიკური ფილოსოფიის პრობლემატიკიდან მისი გამორჩეული ინტერესის ობიექტი მაინც წინასოკრატული და სოკრატეს ფილოსოფია იყო. წინასოკრატული აზროვნების ნაკადებში აქტუალური განხილვის თემებში ფოკუსირდებოდა ელევატურ მეტაფიზიკოსთა სკოლა და ამ სკოლის კოლორიტული წარმომადგენელი ქსენოფანე კოლოფონელი. მართალია, ავტორი ანტიკური ფილოსოფიის მწვერვალად აცხადებს სოკრატეს, ხოლო დასასრულად - არისტოტელეს, თუმცა ადამიანის შინაგანი არსების წვდომის თვალსაზრისით, ქსენოფანე კოლოფონელის კრიტიკული პათოსით განმსჭვალულ რელიგიურ-ეთიკურ მოძღვრებას მთავარი შემოხრუნების ღერძად

და ორიენტირად მიიჩნევს, საიდანაც ადამიანის ანთოპო-
ლოგიური გაგების გზამკვლევი ვექტორი მიმართულია პლა-
ტონის იდეალიზმისაკენ.

ელეატური სკოლისა და მისი წარმომადგენლის, ქსენოფანე კოლოფონელის შეხედულებები, სერგი დანელიას მიხედვით, ღირებულია აგრეთვე, შემეცნების თეორიისა და გნოსეოლოგიის კუთხით. იონიელ ფიზიკოსთა გნოსეოლოგიური მიდგომები ხასიათდებოდა გრძნობადი სინამდვილისადმი უპირობო ნდობის გამოცხადებით, რაც ელეატების თვალში სტიქიური რეალიზმის გულუბრყვილო თვალსაზრისთან ასოცირდებოდა; სტიქიური რეალიზმი კი თავისი მრავალმხრივი, ორაზროვანი, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი დებულებებითა და პრინციპებით, წარმოშობს აბსოლუტურ სკეპტიციზმს, რომლითაც ხასიათდებოდნენ სოფისტები, კერძოდ, პროტაგორა და მისი მიმდევრები. ელეატი მეტაფიზიკოსებისთვის, მათ შორის ქსენოფანე კოლოფონელისთვის, მიუღებელი იყო, როგორც იონიელთა გულუბრყვილო რეალიზმი, ასევე სოფისტების სკეპტიციზმი და რელატივიზმი; ისინი თავის მხრივ, იდგნენ კრიტიციზმის პოზიციებზე, რაც ს. დანელიასთვის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური შეფასებით, უფრო გამართლებულად იყო მიჩნეული და ამიტომაც აღნიშნული სკოლისა და მისი წარმომადგენლის მისამართით, უფრო გამოკვეთილ სიმპატიებს ამჟღავნებდა.

ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის კვალიფიკაციისადმი ანალოგიური შეფასების მიდგომას იჩენდა ს. დანელია ახალი დროის ფილოსოფიის საკითხშიც. აქაც, ახალი ფილოსოფიის მწვერვალად იგი აცხადებს კანტის ფილოსოფიას, რომლის კრიტიკული იდეებით მოხიბლული ავტორი მთლიანად იზიარებს მისი შემეცნების მეთოდოლოგიას და მისკენ მიმართული გზამკვლევი ვექტორის შემობრუნების პუნქტად აცხადებს რენე დეკარტეს რაციონალური სკეპტიციზმის კონცეფციას, რისი ფინალური დაგვირგვინებაც სრულყოფილად, ხორციელდება ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის სახით.

ერთმაგი და ორმაგი უარყოფა ქართულში და მათ გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები

უარყოფა ქართულში გამოიხატება უარყოფითი სიტყვებით: 1) უარყოფითი ნაცვალსახელებით (არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არავინ, ვერავინ, ნურავინ, არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი); 2) უარყოფითი ზმნი-
ზედებით (არსად, ვერსად, ნურსად, არასდროს, ვერასდროს, ნუ-
რასდროს, არანაირად, ვერანაირად, ნურანაირად, არასგზით,
ვერასგზით, ნურასგზით); 3) უარყოფითი ნაწილაკებით (არ, ვერ,
ნურ, არც, ვერც, ნურც, აღარც, ვეღარც, ნულარც).

ქართულ ენაში გვხვდება როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი უარყოფის შემთხვევები. თუმცა არის პოზიციები, როდესაც მხოლოდ ორმაგი უარყოფაა დასაშვები. აღსანიშნავია, რომ ორმაგი უარყოფის დროს ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედაში უნდა შედიოდეს ერთი და იგივე უარყოფითი ნაწილაკი: არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ...

ჩვენი მიზანია არსებული შეხედულებების გაანალიზების საფუძველზე ერთმაგი და ორმაგი უარყოფის შემთხვევებზე დაკვირვება და იმისი ჩვენება, თუ რომელი მათგანი სჭარბობს თანამედროვე ქართულში. საანალიზო მასალად გამოვიყენეთ ქართული კორპუსის (GEKKO) მონაცემები. ვფიქრობთ, საკითხის კორპუსული მეთოდოლოგიით კვლევა მნიშვნელოვანია სტატისტიკური სურათის ჩვენების თვალსაზრისით და საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს.

როცა საქმე უარყოფას ეხება, აქ ძირითადად გასარკვევი და პრობლემური არის ის, თუ როგორი უარყოფაა ქართულისთვის დამახასიათებელი და ორგანული - ცალმაგი, თუ ორმაგი, და რომელი მათგანი უნდა გამოვიყენოთ, რომ სალიტერატურო ენის ნორმებს არ ავცდეთ. ვარლამ თოფურიაშვილს ამ საკითხს მიუძღვნა საგანგებო გამოკვლევა „ორმაგი უარყოფა ქართულში“, სადაც იგი

დაწვრილებით გვესაუბრება ამ პრობლემის შესახებ. ეს გამოკვლევა დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ დღესაც არ კარგავს აქტუალობას და ინტერესს. მასში მეცნიერი განიხილავს ორმაგი უარყოფის საკითხს ქართულში დიაქრონიულად, ანუ იწყებს სალიტერატურო ქართულის ადრეული პერიოდიდან და მიჰყვება მას ახალი, თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ჩათვლით. ამასთანავე, იგი მხედველობაში იღებს ნათარგმნ და ორიგინალურ ლიტერატურას და მიმოიხილავს ქართული კილო-დიალექტების მდგომარეობას.

ავტორის თქმით, ძველი ქართულის (აქ იგულისხმება X-XI საუკუნემდეელი ქართული) დაწერილ თუ გადაწერილ ძეგლებსა და წინადადებაში ერთ-ერთი უარყოფითი ზმნიზედა ან ნაცვალსახელი მაინც იქნებოდა, იქ უარყოფითი ნაწილაკი საჭირო არ იყო და არც იხმარებოდა. ერთადერთ გამონაკლისად ვარლამ თოფურია ადიშის სახარებას ასახელებს, რომელშიც ორმაგი უარყოფის მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება (და არავინ არღარა იკადრა კითხვად მისა...), აქაც ეს უარყოფა ბერძნული ენის გავლენით არის გამოწვეული, მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი შემთხვევა და მსგავსი მაგალითების სიხშირე არც დასტურდება - გვეუბნება მეცნიერი. ყველა დანარჩენ შემთხვევებში (სხვა სახარებებში) კი უარყოფა ერთმაგია.

XI საუკუნის შემდეგ ვითარება იცვლება. ვ. თოფურიას თქმით, ამ დროიდან მოყოლებული, უკვე თითქოს ძალა ეკარგება უარყოფით ნაცვალსახელებსა თუ ზმნიზედებს და ენა იძულებული ხდება, მეორე უარყოფითი ნაწილაკიც გამოიყენოს ერთ წინადადებაში (ეს ტენდენცია, ლეილა გეგუჩაძის თქმით, განსაკუთრებით ძლიერდება „ვეფხისტყაოსნში“ - აქ ერთმაგი და ორმაგი უარყოფის ფორმები უკვე პარალელურადაა ნახმარი).

მაშასადამე, ორმაგი უარყოფა ძირითადად საშუალო ქართულიდან იწყება და მტკიცედაც იკიდებს ფეხს. მეცნიერი დაასკვნის, რომ ორმაგი უარყოფა თავიდან არ ჰქონდა არც ქართულს და არც საერთო ქართულს, მაგრამ შემდგომში ერთმაგი უარყოფა შეიცვალა ორმაგით. და ეს ცვლილება უნდა დაწყებულიყო

დიალექტებიდან და შემდეგ გადასულიყო სალიტერატურო ენაში. დიალექტები ამ თვალსაზრისით აბსოლუტურ იდენტობას იჩენენ - ხასიათდებიან ორმაგი უარყოფით. ამის საილუსტრაციოდ ვარლამ თოფურიას მაგალითებიც მოაქვს ქართულის ენის დიალექტებიდან. ამასთანავე, აკადემიკოსის თქმით, ორმაგი უარყოფა ქართულ კილოებში დამოუკიდებლად შემოდის, სხვადასხვა უცხო ენათა გავლენის გარეშე. იგი მ ე ო რ ა დ ი მოვლენაა და საერთო ქართული ენისათვის არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამის დამამოწმებელ არგუმენტად მას მოაქვს ძველი კლასიკური ქართული, სადაც ყოველთვის ერთმაგი უარყოფა იხმარება და ქართველური ენები - მეგრულ-ლაზური და სვანური - რომელთაც ასევე ერთმაგი უარყოფა ახასიათებთ.

სპეციალურ ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ, თუ რა უნდა გამხდარიყო ორმაგი უარყოფის ჩამოყალიბების მიზეზი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურ მომენტს აქვს. მთქმელი ცდილობს, მსმენელის ცნობიერებაში კარგად დააფიქსიროს უარყოფითი მიმართება. ამიტომაც, უარყოფითი ნაწილაკის დამატებით კიდევ უფრო აძლიერებს უარყოფას. მაგალითად: „სანამ მტრებს არ დავამარცხებთ, არაფერი არ გვეშველება“ (GEKKO). ეს წინადადება შეგვეძლო, ასეც გვეთქვა: „სანამ მტრებს არ დავამარცხებთ, არაფერი გვეშველება“. აქ უარყოფითი ნაცვალსახელი უშუალოდ ზმნას ახლავს და გაუგებრობაც აცილებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, მთქმელს სურდა, უარყოფა კიდევ უფრო გაეძლიერებინა, თავისი ნათქვამისთვის უფრო კატეგორიული იერი მიენიჭებინა და ამიტომაც მოათავსებს უარყოფით ნაცვალსახელსა და ზმნას შორის უარყოფით ნაწილაკს. ამრიგად, ამ მოსაზრების მიხედვით, ორმაგი უარყოფა ცნობიერის სფეროდანაა გამომდინარე და არა ენის მექანიზმიდან.

ორმაგი უარყოფის დამკვიდრებისათვის ასევე ხელისშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ სინტაქსური კომპლექსი, სინტაქსური ორგანიზაცია, კერძოდ, როცა უარყოფით ზმნი-ზედასა და შემასმენელს შორის ერთი, ან რამდენიმე სიტყვაა

ჩასმული, თითქოს უარყოფის ნაცვალსახელსა და შემასმენელს, ან უარყოფის ზმნიზედასა და შემასმენელს შორის კავშირი სუსტდება, უარყოფითობის სემანტიკა იკარგება. სწორედ ამის გამო, საჭირო ხდება შემასმენლის წინ უარყოფითი ნაწილაკის ჩასმა. ეს აზრის გაბუნდოვანებას ხელს უშლის: „არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა“ (GEKKO); „ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში“ (GEKKO) და ა. შ.

ლეილა გეგუჩაძის თქმით, ორმაგი უარყოფა ხშირად შეიძლება გვექონდეს ისეთ ვითარებაში, რომ მისი შეცვლა ერთმაგი უარყოფით შეუძლებელი იყოს. ამავე საკითხს შეეხო ავთანდილ არაბულიც. იგი თავის წიგნში - „ქართული მეტყველების კულტურა“, გამოყოფს, თუ როდის უნდა გამოვიყენოთ ორმაგი უარყოფა და იმის საპირისპიროდ, რომ თითქოს ქართულისათვის ორაგანული მხოლოდ ერთმაგი უარყოფაა, ჩამოგვითვლის შემთხვევებს, როცა ორმაგი უარყოფა აუცილებელია:

1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან: არსად ისე არ მღერიან...

2. როცა უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი - ც(ა): ვერაფერსაც ვერ ვხედავ... არსადაც არ მეჩქარება...

3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელ წევრს წარმოადგენს: მუცელას სმა-ჭამის მეტი არავითარი დარდი არა ჰქონდა... მათზე სოფლებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს...

4. თუ ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს არც, ვერც, ნურც ნაწილაკები: არც ერთს ხმა არ ამოუღია...

კორპუსში დათვლილია ყველა შემთხვევა უარყოფითი ნაცვალსახელისა და უარყოფითი ზმნიზედის გამოყენებისა და განხილულია ცალკ-ცალკე. მიღებული შედეგები კი ასეთია: GEKKO-ში ჩვენ მიერ სულ ნახანია 25 996 კონტექსტი უარყოფის ყველა შემთხვევაზე. აქედან 7 540 კონტექსტი არის ორმაგ უარყოფაზე. პროცენტულად თუ გამოვითვლით, გამოვა, რომ დაახლ.

29, 01%-ია ორმაგი უარყოფის გამოხატველი. ეს დიდი მაჩვენებელი არაა. გამოდის, რომ თანამედროვე ქართულ ენაში, ყოველ შემთხვევაში, იმ მონაცემების მიხედვით, რაც ქართულ კორპუსში დადასტურდა, არ არის ტენდენცია ორმაგი უარყოფის გაბატონებისა. აქ ერთმაგი და ორმაგი უარყოფა პარალელურად თანაარსებობს და ერთმაგი უარყოფა სჭარბობს კიდევაც ორმაგს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მიერ ნანახი წინადადებებიდან უმეტეს შემთხვევაში უარყოფის ზმნიზედა, ან უარყოფის ნაწილაკი უშუალოდ უკავშირდებოდა ზმნას და ამიტომ ლოგიკურია, რომ უარყოფის ნაწილაკი საჭირო აღარ იქნებოდა. სადაც ორმაგი უარყოფაა გამოხატული, იქ კი უარყოფის ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედასა და ზმნას შორის სხვა მეტყველების ნაწილებიცაა, რაც იწვევს უარყოფის ნაწილაკის დამატებასაც, რადგან მკითხველის ცნობიერმა არასწორად არ აღიქვას გამოხატული აზრი.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი უარყოფითი ნაცვალსახელისა თუ ზმნიზედის შემთხვევაში ძირითადად ერთმაგი უარყოფა გვაქვს, ზოგიერთის შემთხვევაში კი აბსოლუტური უმრავლესობა ორმაგი უარყოფისაა. მაგალითად, „არაფერის“ შემთხვევაში ერთმაგი უარყოფა სჭარბობს (10 526: 2638), ხოლო „არანაირის“ შემთხვევაში კი პირიქითაა (539: 494). ამის განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რომ „არანაირი“ აუცილებლად სახელს ახლავს და განსაზღვრავს მას და ამასთანავე, ზმნასთან ძირითად შემთხვევებში შესამჩნევადაა დაშორებული. ამიტომ პირველის შემთხვევაში ძირითადად ორმაგი უარყოფა გვაქვს, ხოლო მეორეს შემთხვევაში - ერთმაგი.

ჩვენ მიერ გამოყოფილი ეს ბოლო ორი პუნქტი ეხმიანება ავთანდილ არაბულის მიერ გამოყოფილ პირველ და მესამე პუნქტებს, როცა ლაპარაკია ისეთ შემთხვევებზე, სადაც აუცილებლად ორმაგი უარყოფაა საჭირო. ეს ორი წესი, ფაქტობრივად, არ ირღვევა არც ერთ შემთხვევაში. ავთ. არაბულის მიერ ჩამოყალიბებული წესებიდან პირველსა და მესამე წესს მხარს



უჭერს ქართული კორპუსის - GEKKO-ს - მონაცემები აბსოლუტურად.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულში, დანამდვილებით, გადაჭრით თქმა იმისა, რომ ერთმაგი ან ორმაგი უარყოფა უნდა გამოვიყენოთ მაინცდამაინც, არ იქნება სწორი. ქართულისთვის ამ ეტაპზე ორივე უარყოფის ფორმა მისაღები და სწორია და არც ერთი არ უნდა არღვევდეს სალიტერატურო ენის ნორმებს. გამონაკლისად ჩაითვლება ისეთი შემთხვევები, როცა ერთმაგი უარყოფა აზრს აბუნდოვანებს, გაუგებარს ხდის მას. ამ შემთხვევაში, ტექსტის ავტორმა ორმაგი უარყოფა უნდა გამოიყენოს.

ლელია ქველიძე /ქუთაისი/

სუფიზმის ელემენტები სუად ალ-საბაჰის პოეზიაში

სუფიზმი იშვა არაბულ სახალიფოში და ფართო გავრცელება ჰპოვა მთელ ისლამურ სამყაროში. სუფიზმის დედააზრს სიყვარული წარმოადგენს. იგია კოსმიური ძალა, კოსმოსის შექმნის პირველი მიზეზი და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსი. სუფიზმის გაგებით ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი, თანდათან უნდა ამაღლდეს და დაუბრუნდეს თავის პირველ და უმაღლეს ყოფიერებას – აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. მათი რწმენით, არაფერია ჭეშმარიტი, გარდა ღმერთისა და იგია ყველაფერი. მიწიერი სიყვარული არის ხიდი, რომელიც უნდა გამოიაროს მან, ვინც ღვთიურ სიყვარულში ნეტარებას ეძებს.

სუფიზმის არსს შეადგენს ღმერთი, რომელიც ადამიანის სიყვარულის, სწრაფვის საგანია. ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის მოსამზადებელი ეტაპი, გზა, სადაც იგი თავისი

თავის განწმენდისა და საკუთარი სიცოცხლის გაქრობის სა-
შუალებით აღწევს უმაღლეს მიზანს – შეერწყას ღმერთს.
მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ შერწყმის შედეგად ადამიანს
შეუძლია შეიძინოს ღმერთის განმასახიერებელი თვისებები და
იქცეს მის ერთ-ერთ ნაწილად. ღმერთი მთელია. ყოველი
ნაწილი მთელისაგან მომდინარეობს; ამიტომ ისინი შემდეგ
მთელს უნდა დაუბრუნდნენ, რადგან ყოველივე უბრუნდება
თავის ძირს.


თანამედროვე ქუვეითელი პოეტი ქალის სუად აღ-საბაჰის
პოეზიაში ქალი ისწრაფვის რა თავისუფლებისაკენ, ამის სა-
შუალებად სიყვარული წარმოუდგენია. ამიტომ ცდილობს გა-
მოეყოს კოლექტივს და, როგორც ინდივიდი, დაემკვიდროს
საზოგადოებაში. არაბული საზოგადოებისათვის ქალის ეს მის-
წრაფება მიუღებელია. ამგვარად, პიროვნებასა და სა-
ზოგადოებას შორის წინააღმდეგობა იკვეთება. ქალი, რომელიც
ცდილობს შეცვალოს სიყვარულის ტრადიციული გაგება,
ისწრაფვის თავისუფლებისაკენ, აცხადებს პრეტენზიას, რომ
საზოგადოებაში დამკვიდრდეს, როგორც მამაკაცის თანაბარ-
უფლებიანი წევრი.

სიყვარულის შინაგანი სამყარო მის პოეზიაში წარმოსახ-
ვითია და ბევრად უფრო გრძნობადია, ვიდრე არსებული.
სუად აღ-საბაჰის პოეზიაში მნიშვნელოვანი მინიშნებაა, რომ
როდესაც შედგება წონასწორობა წარმოსახულსა და რეალურს
შორის, ამის შემდეგ განხორციელდება სიყვარული, სიყვა-
რულით კი მიიღწევა თავისუფლება. მაგ. ლექსში „პატარა
ოცნება“:

*„დამტოვე მძინარე ხუთიოდ წუთი შენს მხრებზე,
რათა გაწონასწორდეს დედამიწა“.*

მაშასადამე, პოეტმა სიყვარული უნდა განახორციელოს
რეალურ სამყაროში, ანუ აბსურდი აქციოს შესაძლებლად, მაგ.:

*„როდესაც გული სიყვარულით მევსება ხოლომე,
ბუმბულივით მსუბუქი ვხდები, დავაბიჯებ ღრუბლის
ქულებზე, მზეს სხივებს ვპარავ“.*



ამრიგად, როდესაც აბსურდი განხორციელდება, სიყვარული იქცევა ნეტარებად.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგ., მ. ჰეიდარი, ამ ლექსში სუფიურ პოეზიასთან კავშირს ხედავს და თვლის, რომ სუად ალ-საბაჰი აქ სიყვარულს გაიაზრებს, როგორც საშუალებას ღმერთთან შერწყმისა, და იმოწმებს შემდეგ სტრიქონებს:

*„როდესაც სიყვარულით გული მევსება ხოლმე,
ვგრძნობ, რომ ჩემი სამშობლოა მთელი მსოფლიო,
შემიძლია ზღვები გადავცურო, გავტოპო ათასობით უცხო
მდინარე*

*შემიძლია მოვიარო დედამიწის ყველა ქვეყანა,
უპასპორტოდ, როგორც სიტყვამ, როგორც ფიქრებმა...“*

პოეტისათვის იდეალის, შეუძლებლის მიღწევა შესაძლებელია სიტყვით, აზრით. რამდენად გასაზიარებელია მკვლევრის შეხედულება, სუფიურ პოეზიასთან სუად ალ-საბაჰის აღნიშნული ლექსის კავშირის შესახებ? საერთოდ, ცალკეული არაბი მწერლისა და პოეტის შემოქმედების მკვლევარ არაბ მეცნიერებს უყვართ ხოლმე ამა თუ იმ მწერლის თუ პოეტის ნააზრევის დაკავშირება სუფიზმთან.

სუფიური ელემენტები სუად ალ-საბაჰთან ისე ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, რომ მასზე სერიოზული, დამაჯარებელი და ღრმა მსჯელობა ჭირს. ისიც, ჩვენი ვარაუდით, რაც აღნიშნული მკვლევრის მიერ სუფიზმთან არის დაკავშირებული, საეჭვოა. მკვლევარი მხოლოდ პარალელების გავლებით იფარგლება.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სუფიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა და განვითარდა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, გარკვეული საზოგადოებრივი წყობის დროს. ხოლო XX ს-ის II ნახევარი სულ სხვა ეპოქაა, ცხოვრების სხვა პირობები, მოთხოვნილებები და პრობლემები დგას, სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობებია. თუმცა აღმოსავლურ სამყაროში ჯერ კიდევ არიან სუფიზმის მიმდევარი პოეტები.

გასათვალისწინებელია, რომ სუად ალ-საბაჰის ერთ-ერთი პროექტური კრებულის სათაურია „პირველად იყო ქალი“, რომელიც პერიფრაზია „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი“. თუ მკვლევარს დავეთანხმებით, სქემა ასეთ სახეს იძენს: ღმერთი – სიტყვა, სიტყვა – ქალი, ქალი – სიყვარული, სიყვარული – თავისუფლება. ე. ი. სიყვარული გზა და საშუალებაა თავისუფლების მისაღწევად. ეს მოსაზრება გარკვეულწილად სადაოა, თუმცა საყურადღებო. მის დასამტკიცებლად სუად ალ-საბაჰის შემოქმედების უფრო ღრმა კვლევა იქნება საჭირო. მტკიცება იმისა, რომ სუად ალ-საბაჰი სუფი პროექტი არ არის, ვფიქრობ, ზედმეტია. მაგრამ, სუფიური ელემენტები მის პოეზიაში არ შეიძლება გამოვრიცხოთ. ერთია, იყო სუფიზმის მიმდევარი და სუფი, და სხვა საქმეა, კარგად იცნობდე სუფიზმს, მის სისტემას და იყენებდე მის ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ თავად პროექტი არასოდეს არ გამოთქვამს მოსაზრებებს ამ ლირიკული სისტემის შესახებ, შესაძლებელია, ნებისთ თუ უნებლიეთ, მის შემოქმედებაში იყოს სუფიზმის ელემენტები. თუმცა, ამ საკითხის გარკვევას კვლევა სჭირდება. ერთი კი ცხადია, სუად ალ-საბაჰის პოეზია არ არის მხოლოდ გონისმიერი. მის პოეზიაში გრძნობისმიერი და გონისმიერი მუდმივად ურთიერთკავშირშია.

თამარ ქვლივიძე /თბილისი/

ენა, როგორც უნივერსალური ფენომენი და სიმბოლოს პრობლემატიკა

ისტორიისა და ენის განუყოფელ კავშირს თითქმის ყველა ენაში ვაწყდებით. თუმცა, ზოგიერთ მათგანში ეს აშკარადაა გამოხატული, ზოგში კი დიდ დაკვირვებას მოითხოვს. საინტერესო მაგალითების მოძიება შეიძლება ფრანგულში: როგორც ვიცით, ეს ენა განასხვავებს მდედრობით და მამრობით სქესს. ეს განსხვავება

შეეხება პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვებსაც. თუმცა, ისეთ მნიშვნელოვან პროფესიებს, როგორებიცაა ექიმი (médecin), პროფესორ-მასწავლებელი (professeur) და ა. შ., მდებარეობითი სქესი არ აქვთ, რაც აიხსნება იმით, რომ ამ პროფესიის ადამიანები წარსულში მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.

ამ მხრივ საყურადღებოა ჩინური ენა. მასში შემორჩენილია კავშირი არა მხოლოდ ჩინელების წარსულ მსოფლმხედველობასთან და ისტორიასთან, არამედ ზოგიერთი იეროგლიფი გარეგნულ მსგავსებასაც ჰპოვებს მის შესაფერის საგანთან. მაგალითისთვის, გვარი - xing ერთი ფონემისა და ერთი გასაღებისაგან შედგება (გასაღები - დეტერმინატივი, რაც აზუსტებს, ან წარმოდგენას გვიქმნის იეროგლიფის სემანტიკურ მნიშვნელობაზე). აღნიშნულ იეროგლიფს აქვს ქალის გასაღები, რაც მიუთითებს, რომ წარსულში გვარი დედის ხაზით გადადიოდა. ქალის გასაღები სხვა კუთხითაც მნიშვნელოვანია: საყურადღებოა, რომ ტრადიციულ ჩინურში ქალის აღმნიშვნელი იეროგლიფი შედგებოდა ქალის სიმბოლოსაგან, რომელიც უჩოქებდა თავის მამაკაცს (女人). მაგრამ დღესდღეობით (ჩინური ენის რეფორმის - იეროგლიფების გამარტივების შემდეგ) იგი მხოლოდ ქალის გრაფემისგან შედგება; გასაგებია, რომ წარსულში ქალი მეტად იყო დამოკიდებული მამაკაცზე, თანამედროვე ჩინელ ქალზე კი ამას ვერ ვიტყვით.

იმგვარი მაგალითები, რომლებიც ამ ქვეყნის ხალხთა წარსულზე წარმოდგენას გვიქმნის, უამრავია ჩინურ ენაში (და არა მხოლოდ ჩინურში.) ამიტომ თეზისებში მათი დეტალური განხილვა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

სიტყვა ორმხრივი ფენომენია: მის ერთ მხარეს ქმნის ცნება, მეორეს - ფონემა. ცნებისა და ფონემის ამგვარი სიმბიოზი ენობრივი ნიშანია, რაშიც განასხვავებენ აღსანიშნსა (ცნება) და აღმნიშვნელს (ფონემა). აღსანიშნისა და აღმნიშვნელის არსებობა ერთმანეთის გარეშე, ისევე, როგორც ცნებისა და ფონემისა, შეუძლებელია. ფონემა იმდენადაა აღმნიშვნელი, რამდენადაც

ცნებას აღნიშნავს, ხოლო ცნება იმდენადაა აღსანიშნი, რამდენადაც იგი აღნიშნება.

იმის მიხედვით, თუ როგორია კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, არსებობს ნიშანთა რამდენიმე სახე. ესენია: ხატი (იკონა), ინდექსი (ნიშანი) და სიმბოლო. ხატი არის ისეთი აღმნიშვნელი, რომელიც ჩაენაცვლება კონკრეტულ აღსანიშნს. ინდექსი არის ისეთი ნიშანი, რომელიც მიგვითითებს, მიგვანიშნებს რამეზე. აღსანიშნი მიზეზ-შედეგობრივი მიმართების საფუძველზე უკავშირდება აღმნიშვნელს; ხოლო სიმბოლო არის ობიექტი, პირობითი ნიშანი (საგანი, ან მოქმედება), რომელიც რაიმე ცნებას, იდეას გამოხატავს. მიღებულია, რომ ამ შემთხვევში აღმნიშვნელი უკავშირდება აღსანიშნს, გარკვეული პირობის, შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, მშვიდობის სიმბოლო: მშვიდობა ხომ აბსტრაქტული ცნებაა და ფიზიკურად როგორ გამოიყურება, არ ვიცით. ყველა ადამიანის გონებაში ის შეიძლება სხვადასხვა ფორმასთან, ფერთან, საგანთან და ა. შ ასოცირდებოდეს.

სიმბოლოს განმარტება, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. თუმცა, ეს რთულ ამოცანას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც სიმბოლოთა რაოდენობა და მათი წარმოშობის მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია.

ამგვარად, ენა, როგორც უნივერსალური მოველენა – ენობრივ ნიშანთა სისტემა, უამრავ საიდუმლოს ინახავს. შესაბამისად, მისი კვლევა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კაცობრიობის ისტორიისა და წარსული მსოფლმხედველობის გააზრებისათვის, არამედ თანამედროვე სიმბოლოების სწორი და სათანადო ინტერპრეტაციისათვის.

ზნეობისა და ხელოვნების ურთიერთობათა გაგებისათვის

ზნეობისა და ხელოვნების ურთიერთობათა პრობლემა, როგორც სხვადასხვაგვარი გააზრების მქონე მოვლენა: ერთ შემთხვევაში, ხელოვნება, როგორც ზნეობისადმი დაქვემდებარებული, მეორე შემთხვევაში, როგორც ზნეობისადმი საპირისპირო. ბერძნული მითოლოგია, როგორც ეთიზირებული და ესთეტიზირებული ბუნება, ხოლო სიკეთე და სილამაზე – ურთიერთშერწყმული. „კალოკაგათიას“ პრინციპი, როგორც ზნეობრივის, მშვენიერისა და ბრძნულის ურთიერთშერწყმა. ბერძნული მითოლოგიის გავლენით, ბერძნული ფილოსოფია, როგორც ნატურფილოსოფია – ესთეტიკური, ინტუიციურ-თვალსაჩინო.

ძვ. წ. V ს-ში რანტიკურ ფილოსოფიაში სილამაზის ღირებულებებისაგან გამოკვეთა, როგორც მორალის დამოუკიდებლობის იდეა. სოკრატეს თვალსაზრისი ცნების თეორიიდან, პლატონის იდეათა თეორიამდე, როგორც ამ უკანასკნელის მიერ ზნეობისა და ხელოვნების ურთიერთობათა შესახებ თეორიის შექმნა. პლატონის კონცეფცია, როგორც სიკეთის, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ორგანული ერთიანობის შესახებ. ქრისტიანული ეთიკა და ესთეტიკა, როგორც ამ უკანასკნელის გამზიარებელი. არისტოტელეს „ბადვის“ (მიმეზისი) და „განწმენდის“ (კათარზისი) ცნებათა ახლებური გააზრება, როგორც ესთეტიკურისა და ეთიკურის ერთიანობის ახლებური გაგება. ბადვის ცნების არისტოტელესეული გაგება, როგორც მისივე მეტაფიზიკის შესაბამისობა, როგორც სიკეთე, ეთიკურად მშვენიერი, ანუ უანგარობა, დაუინტერესებლობა, ეთიკურად მშვენიერის ხასიათის მატარებელი.

არისტოტელესეული ესთეტიკური ტკბობის უანგარობის თვალსაზრისი, როგორც კანტთან საინტერესოდ გამოყენებული

პოზიცია და როგორც ამ უკანასკნელთან კატეგორიული იმპერატივის საფუძველი. ჰან-ჟაკ რუსოს თვალსაზრისი **ზნეობისა და ხელოვნების შესახებ**, როგორც „ხელოვნების“ (ცივილიზაციის) განვითარების წყალობით, ადამიანის ბუნებრივი სათნოებისა და სილამაზის წარყვნა.

ნათელა ჩიქოვანი /თბილისი/

„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“

ნაშრომში განხილული იქნება ფრანგული რაციონალიზმისა და სკეპტიციზმის თავისებურებანი რენე დეკარტთან. მის ფილოსოფიაში ეჭვი არ არის შედეგი. იგი საშუალებაა უეჭვოს მიღებისა. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, გონებას მოვაშლევინოთ ნივთთა წარმოდგენითი აღქმა, გავათავისუფლოთ იგი სხეულებრივი ნივთებისგან, უკიდურეს შემთხვევაში კი მცდარად მივიჩნიოთ ისინი, რათა მან (გონებამ) თავად, შეძლებისდაგვარად, შეიცნოს თავისი ბუნება. ერთადერთი, რაშიც სრულიად ვართ დარწმუნებულები, აზროვნებაა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს დაეჭვების მუდმივი პროცესი. რაც უფრო მეტად ვეჭვობთ, მით უფრო უეჭვოა, რომ ვაზროვნებთ. მსგავსი დასკვნა ინტელექტუალური ინტუიციითაა გამოტანილი. „cogito, ergo sum“ დებულება, სადაც „მე“ გაგებულია როგორც ნივთი, რომელიც აზროვნებს ე. ი. გონი, ანუ გონება, ხოლო აზროვნების შინაარსის ჭეშმარიტება ანალიზურად არ გამოიყვანება, როგორ შეიძლება იქცეს არქიმედესეულ საყრდენად და დაშენდეს მასზე კარტეზიანული მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი.

დასმული საკითხის გადასაწყვეტად მოშველიებულია ღმერთის დასაბუთების ონტოლოგიური არგუმენტი და კავშირი ანსელმ კენტერბერიელთან. დეკარტის სუბსტანციური დუალიზმი: სულისა და მატერიის თვისებები - აზროვნება და განფენილობა. ცდა ამ დუალიზმის მოხსნის მესამე, ყოვლის-

მცოდნე სუბსტანციის - ღმერთის შემოყვანით (ღმერთი აქ ფილოსოფიური კატეგორიაა და არა თეოლოგიური), სადაც ეს უკანასკნელი აზრია, სულია. საფიქრებელია, ღმერთის არსებობის დაყენების საკითხი ნაკარნახევი იყოს შუა საუკუნეების გავლენითა და იმ შიშით, ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვამ რომ გამოიწვია მეცნიერთა წრეებში, რის გამოც დეკარტმა თავისი ნაშრომის - „სამყაროს შესახებ“ გამოცემაზე უარი თქვა, რადგან მასში გადმოცემული კოსმოგონიური თეორია ჰელიოცენტრული სისტემის პრინციპზე იყო აგებული.

ლელა ჩოგოვაძე /ქუთაისი/

კათოლიკე მისიონერები და გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“

აღორძინების ეპოქაში საქართველოში გაცხოველდა კათოლიკე მისიონერების მიმოსვლა. მათ გარკვეული სამსახური გაუწიეს ქართულ კულტურას, მათ შორის გალექსილ „ამირანდარეჯანიანს“, რომელიც XVII ს-ის 60-იანი წლებისთვის მთლიანად გალექსეს სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა. პოემამ ჩვენამდე ერთადერთი, XVIII ს-ის დაზიანებული ხელნაწერით მოაღწია. პოემის VIII კარის დასაწყისში სავარსამისძე გვიამბობს თავისი პატრონის უცნაური სიზმრის ამბავს. სიზმრის მოყოლა დასრულებული არაა, თხრობაში კი ვიღაც ბასრელები შემოიჭრნენ. ცხადია, ამ ადგილას ტექსტი ნაკლულია. ნეაპოლის მახლობლად მდებარე „ტორე დელ გრეკოს“ კაპუცინების მონასტრის XVII ს-ის ცნობილი მისიონრის - ბერნარდოს არქივში აღმოჩნდა ქართული ლექსის რამდენიმე სტროფი, რაც სწორედ ზემოთ მოყოლილი ამბის შემცველია. დადგინდა, რომ იგი თანიაშვილების პოემის სწორედ ჩვენთვის საინტერესო ნაწილია. ეს იმითაც მტკიცდება, რომ დღემდე უცნობი სტრო-

ფების გარდა, დასაწყისში მას შემოუნახავს პოემის ჩვენთვის ცნობილი 17 ტაეპი.



ბერნარდე ნეპოლელი ორჯერ იყო საქართველოში - 1661 და 1670 წლებში, შვიდ კაპუცინ მისიონერთან ერთად, რომელთა მიზანი ჩვენში კათოლიკობის გავრცელება იყო. ბერნარდეს ჩვენი პოემის ნაწყვეტი 1670-1679 წლებში საქართველოში ყოფნისას მოუპოვებია. გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ფრაგმენტი ზემოთ მითითებულ ხარვეზს მთლიანად ვერ ავსებს - მას აკლია ქარავანთან შეყრის ეპიზოდი, რაც პროზაულ ტექსტში დაახლოებით ორმოცამდე სტრიქონითაა გადმოცემული. ფრაგმენტი რაიმე წიგნის სრული ტექსტიდან კი არაა მექანიკურად ამოხეული, არამედ ასეთივე ფურცლებიდანაა გადმოწერილი, არც თუ ისე კარგი კალიგრაფის ხელით.

მეორე მისიონერი, ვისი სახელიც უკავშირდება გალექსილ „ამირანდარეჯანიანს“, გახლავთ ქრისტეფორე დე კასტელი, რომლის ალბომში შემონახულია პოეტ სულხან ავთანდილაშვილის პორტრეტი. პირველი, ვინც აღნიშნა, რომ კასტელის პორტრეტზე გამოსახული პოეტი შეიძლება იყოს „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავი სულხანი, გახლდათ პ. ინგოროყვა. გასაზიარებელია ლ. კეკელიძის მოსაზრება, რომ სურათზე გამოსახული სულხან ავთანდილაშვილი და „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავი ერთი და იგივე პირია. ქართულ სინამდვილეში მამის სახელი ხშირად გვარის ფუნქციას კისრულობდა, ამიტომ „პოეტის მოხსენიება ავთანდილაშვილად უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო, რაკი დოკუმენტური მასალით ცნობილი გახდა, რომ სულხანი მართლაც ავთანდილ შანშეიანის შვილია... გვარი თანიაშვილი ნაწარმოები უნდა იყოს პოეტის მეორე გვარიდან (თანდილაშვილიდან), რომელსაც ის ატარებდა. თანიაშვილი ამ გვარის კნინობითი ფორმაა“.

კასტელი 1632-1658 წლებში მოღვაწეობდა საქართველოში და 600-მდე ნახატი დაგვიტოვა ქართულ თემაზე. ისინი უძვირფასეს მასალას შეიცავენ XVII ს-ის I ნახევრის დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. სულხან ავთანდილაშ-

ვილი და „ამირანდარეჯანიანის“ გამლექსავი ერთი და იგივე პირია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულხანი მეფის დაფარვებით დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ლევან დადიანის კარზე, სადაც იმხანად მოღაწებოდა კასტელი. სულხანს ჰქონდა საინტერესო ბიოგრაფია, რომლის ჩაწერაც საჭიროდ მიუჩნევია კასტელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაწილი სამუდამოდაა დაკარგული, რადგან კასტელს ის ზღვაში ჩაუვარდა.

ВАЛЕНТИНА ЧХЕИДЗЕ /ქუთაისი/

МУЗЫКА СЛОВ И ИНТЕРПРЕТАЦИЯ СИМВОЛИКИ В РОМАНЕ

ФРИДРИХА НИЦШЕ «ТАК ГОВОРИЛ ЗАРАТУСТРА»

Музыка всегда была причастна «существу Ницше», ибо помимо философа, психолога и художника слова в нем потенциально жил великий музыкант. Чутье потенциально великого музыканта определяет неповторимое своеобразие языка Ницше – музыки, написанной, по его же словам, не нотами, но словами. Видимо, именно эта особая музыкальность текстов Ницше обусловила обращение к его произведениям выдающихся композиторов [6]. Подсчитано, что к настоящему времени написано около 400 академических произведений на тексты философа. В то же время фонетическая выразительность ницшевского слова не может не привлечь к себе внимания как художников речи, так и филологов-теоретиков, ибо с точки зрения звуковой выразительности, мелодичности слова, ритма, паронимической аттракции тексты Ницше представляют богатейший материал.

В «Злой мудрости» он делает попытку объяснить специфику своего стиля: «Наиболее вразумительным в языке является не слово, а тон, сила, модуляция, темп, с которыми проговаривается ряд слов, - короче, музыка за словами, страсть за этой музыкой,

личность за этой страстью...» Исходя из этого, ницшевское слово – это некий символ, верхний пласт, покрывающий собой три плоскости – музыку, страсть, личность. Визуально это можно представить в виде пирамиды-айсберга, состоящей из четырех слоев.

Верхний, видимый пласт – это ницшевское слово-символ, под ним – музыка, создаваемая этим словом, ниже – страсть, творящая музыку, а под всем этим – сама личность автора. Только страстная личность может творить подобную музыку слова, которая создается ритмом, темпом, звучанием. Именно поэтому проза Ницше практически не переводима на другие языки – при переводе теряется ее благозвучие и пластика, ее музыкальность.

Однако наряду с музыкой произведения Ницше наполнены эстетически насыщенными словами, поэтому не меньшее внимание привлекает исследование в его лексико-стилистической системе необыкновенной символики. Сам Ницше весьма удачно сравнивает символы с «подмигиванием»: *Символы все – имена добра и зла: они ничего не выражают, они только подмигивают.*

Психологические параллели феноменального и ноуменального пластов, их просвечивание одного через другой, «подмигивание» дают энергетический импульс восприятию – отчетливо видимый план проецируется на нечто, что создает новый эффект «прозрения» за счет дополнительного мыслительного процесса. Роман Ницше «Так говорил Заратустра» строится на множестве таких «эффектов прозрения» и, благодаря большой их конденсации, весь окутывается таинственным и загадочным флером, не видимым, но реально осознающимся. Богатая символика, суггестивность в тексте придают особый колорит произведению и обогащают его стиль. Символы настолько плотно заполняют собой ницшевское художественное полотно, что в тех редких случаях, когда они появляются без привычного сопровождения загадочного глубинного пласта, их появление воспринимается с некоторым недоверием и настороженностью, ибо уже рефлекторная готовность к мыслительному толчку не находит обычно заданной ассоциации, тем не менее, нерастроченная энергия с прежней силой направляется на угадывание очередного из множества символов.



Представленные в нашей работе иллюстрации вмещают в себя различные ницшевские символы: познания (танец), высшей степени развития (полет), гордости (орел), мудрости (змея, осел), воздержанности и терпения (верблюды), силы и свободы для нового созидания (лев), созданных ценностей (дракон) и других.

О танце, пляске упоминает Заратустра в «Надгробной песне»: *Только в пляске умею я говорить символами о самых высоких вещах.*

Заратустра умеет танцевать: *Заратустра танцор, Заратустра легкий, машущий крыльями, готовый лететь, манящий всех птиц.*

Почему же он танцор? Вот ответ Заратустры: *И прежде всего научился я стоять, и ходить, и бегать, и прыгать, и лазить, и танцевать. Ибо в том мое учение: кто хочет научиться летать, должен сперва научиться стоять, и ходить, и бегать, и лазить, и танцевать, - нельзя сразу научиться летать!*

Заратустра умеет летать: *Я научился ходить; с тех пор я позволяю себе бегать. Я научился летать; с тех пор я не жду толчка, чтобы сдвинуться с места. Теперь я легок, теперь я летаю, теперь я вижу себя под собой, теперь Бог танцует во мне.*

Он хочет видеть людей танцующими: *Я хочу видеть мужчину и женщину: одного способным к войне, другую способную к деторождению, но обоих способными к пляске головой и ногами.*

Символы лукаво «подмигивают» нам, но не хотят до конца раскрываться, надеясь остаться таинственными незнакомцами. Поэтому танец – это и становление, и познание, и мудрость, и, наконец, смех над самим собой: *О высшие люди, ваше худшее в том, что все вы не научились танцевать, - танцевать поверх самих себя! ... Так научитесь же смеяться поверх самих себя! Возносите сердца ваши, вы, хорошие танцоры, выше, все выше!*

И тут зажигается новый символ – полет: *И часто уносило оно [стремление к мудрости] меня вдаль, в высоту, среди смеха; тогда летел я, содрогаясь, как стрела, чрез опьяненный солнцем восторг: - туда, в далекое будущее, которого не видала еще ни одна мечта... Туда, где всякое становление мнилось мне божественной пляской.*

Полет – это высшая ступень, апогей развития, это далекое и недостижимое пока для обычных людей будущее, потому так

велико желание научить людей летать и сожаление по поводу того, что они не умеют этого делать: *И если бы человек научился еще и летать, увы!*

Отсюда и восторженное восприятие того, кто научит людей летать: *Кто научит однажды людей летать, сдвинет с места все пограничные камни; все пограничные камни сами взлетят у него на воздух.*

Сам Заратустра пока еще «испуганная» или «немножко» птица: *Поистине, я сам испуганная птица, однажды увидевшая вас [современников] нагими и без красок; и я улетел, когда скелет стал подавать мне знаки любви. Вскормленный скудной, невинною пищей, готовый и страстно желающий летать и улетать – таков я: разве я немножко не птица!*

С полетом связан следующий символ – верные спутники Заратустры - орел и змея. Орел символизирует гордость, змея – ум. *И он увидел орла: описывая широкие круги, несся тот в воздух, а с ним – змея, но не в виде добычи, а как подруга: ибо она обвила своими кольцами шею его. «Это мои звери!» - сказал Заратустра и возрадовался в сердце своем... Но невозможного хочу я: попрошу же я свою гордость идти всегда с моим умом!*

Символы весьма растяжимы, и каждый из них в зависимости от контекста может вызывать совершенно разные ассоциации. Так, змея в главе «Об укусе змеи» символизирует уже не ум, как в прежних главах, но врага: *... приползла змея и укусила его в шею, так что Заратустра вскрикнул от боли, ... узнала она глаза Заратустры, неуклюже отвернулась и хотела уползти. «Погоди, - сказал Заратустра, - я еще не поблагодарил тебя! Ты разбудила меня кстати, мой путь еще долог». «Твой путь уже короток, - ответила печально змея, - мой яд убивает». Заратустра улыбнулся. «Когда же дракон умирал от яда змеи? – сказал он. – Но возьми обратно свой яд! Ты недостаточно богата, чтобы дарить мне его.*

В сцене с пастухом из фрагмента «О призраке и загадке» змея символизирует тяжелую, мучительную мысль, познание которой приносит исцеление и просветление: *Я увидел молодого пастуха, задыхающегося, корчившегося, с искаженным лицом; изо рта у него висела черная, тяжелая змея. ... Должно быть, он спал? В это время змея заползла ему в глотку и впилась в нее. Моя рука*

рванула змею, рванула напрасно! Она не вырвала змеи из глотки. Тогда из уст моих раздался крик: «Откуси! Откуси! Откуси ей голову!» - так кричал из меня мой ужас, моя ненависть, мое отвращение, моя жалость, мое доброе и все злое во мне слилось в один общий крик... И пастух откусил ... голову змеи! Далеко сплюнул он ее - и вскочил на ноги. - Ни пастуха, ни человека более - предо мной стоял преображенный, просветленный, который смеялся!

Есть случаи, когда символ остается прежним, но внешнее оформление его меняется. Это служит толчком к дополнительному мыслительному процессу - символ как бы «вспоминается» через двойные ассоциации. Так, к названной сцене с пастухом возвращает нас наше сознание во фрагменте «Выздоравливающий»: *Заратустра... улыбнулся. - Как хорошо знаете вы, что должно было исполниться в семь дней - и как то чудовище заползло мне в глотку и душило меня! Но я откусил ему голову и отплюнул ее далеко от себя.*

Чудовище - это та самая змея, - символ мучительной мысли, - «откусив», то есть познав истину, Заратустра исцелился.

В главе «О трех превращениях» вводятся слова-символы, феноменальный ряд которых содержит в себе изображения животных - верблюда, льва, дракона. Верблюд символизирует воздержанность, почтительность, терпение «голода души» ради истины; лев - силу, свободу для нового созидания; дракон - созданные ценности.

Следующий символ - символ мудрости в образе осла.

Ты сам - поистине! - даже ты мог бы от избытка мудрости сделаться ослом.

Этот символ дается и в названии одного из фрагментов - «Праздник осла», по поводу которого существуют подробные комментарии Г.Наумана и К.А.Свасьяна.

В конце книги появляется новый символ - символ зрелости и нового времени, который строится на групповом изображении льва и голубей, в отличие от остальных, где феноменальный план представлен отдельным изображением единичного объекта. Для Заратустры появление у пещеры этой группы - знамение, символ того, что он «созрел», и пришел его час покинуть пещеру и

спуститься подобно солнцу к людям: *И вот! Лев пришел, дети мои близко, Заратустра созрел, час мой пришел. – Это мое утро, брезжит мой день: вставай же, вставай, великий полдень!*

Таким образом, представленные иллюстрации вмещают в себя различные символы, которые растяжимы, вызывают различные ассоциации и в качестве которых вводятся слова различных понятийных категорий.

Считается, что Фридрих Ницше пока еще не «открыт» до конца. Может быть, именно обращение к музыке ницшевского слова и его символике смогут послужить маленьким шагом по пути к «открытию» большого Мастера художественного и поэтического слова, яркой и одинокой звезды в творческом мире исканий, надежд, символов и тайн.

დარეჯან ჩხიროძე, ნათია კამკამიძე /ქუთაისი/

ზნეობრივ-კულტურული ღირებულებანი გარემოზე ძალადობის წინააღმდეგ

კულტურა საკმაოდ ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. მის სფეროს მიეკუთვნება განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია, ტრადიციები, ბუნებისადმი დამოკიდებულება ა. შ. საინტერესოა, რა დამოკიდებულებაა ზნეობას, კულტურას და გარემოს შორის. ზნეობა კულტურის ყველაზე არსებითი ელემენტია. იგი კაცობრიობის სულიერი პროგრესის მთავარი კრიტერიუმია. თვითონ კულტურა კი არის ყველაფერი ის, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, იგი ადამიანური მოღვაწეობის, შრომის პროდუქტია. ზნეობის რაობა - ეს არის ადამიანის, სიცოცხლის, ბუნების სიყვარული. სწორედ ეს საკითხია ჩვენთვის საინტერესო. იგი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან მსოფლიო კულტურის ისტორიაში ხშირად იმის მაგალითები, რომ ხდება ღირებულებათა გადაფასებები, როცა წინა პლანზე


მოდის ეკონომიკის, ტექნიკის, ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება. სახეზეა გლობალური კრიზისები, მრავალი ტრადიციული ღირებულების დევალვაციის, ზნეობის როლის შესუსტებისა და ახალ ეპოქასთან შესატყვისი ღირებულებების ფორმირების პროცესი.

ამ პროცესში კიდევ უფრო იკვეთება ზნეობის როლი, სიკეთის ქმედებისაკენ სწრაფვა, ჰუმანიზმის პრინციპების ცხოვრებაში დანერგვა, ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების პატივისცემა. აქედან გამომდინარე, იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ კულტურის ყველაზე ღირებული ფორმა ზნეობრივი კულტურაა, რასაც ემსახურება კულტურის ყველა ფორმა.

XXI საუკუნეში კაცობრიობა აღმოჩნდა კიდევ ერთი ახალი პრობლემის წინაშე. საქმე ეხება კულტურის სფეროში მომხდარ ცვლილებებს და მის კავშირს გარემოსთან. კერძოდ, კულტურა მოიაზრება, როგორც ადამიანის მიერ ბუნებაზე ძალადობის წიმააღმდეგ ერთ-ერთი საშუალება.

კულტურა აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან. ამავე დროს ხელს უწყობს ადამიანის ბუნებასთან დაახლოების პროცესს. თუმცა მან შეიძლება ბუნებასთან გაუცხოების პროცესსაც შეუწყოს ხელი. თავდაპირველად განვსაზღვროთ ძალადობის არსი. ძალადობაში იგულისხმება ძალის გამოყენება და ძალმომრეობა ადამიანისა ადამიანის მიმართ, ასევე ადამიანისა გარემოს მიმართ. სწორედ ეს ქმნის ეკოლოგიური კრიზისების მიზეზს. გარემოზე ადამიანის ძალადობა საშიშროებას ქმნის კაცობრიობისათვის. როგორც ნაციონალური, ისე მსოფლიო კულტურის ფუნდამენტს წარმოადგენს ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის. თანამედროვე, განვითარებული საზოგადოების ცხოვრების წესი მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს, როგორც სოციალურ, ეკონომიკურ, ისე კულტურულ და ეკოლოგიურ სფეროებში, ანუ აუცილებელია ახალი ეკოლოგიური კულტურის პროპაგანდა, რაც დაფუძნებული იქნება ზნეობრივ ღირებუ-

ლებებზე და რაც მიმართული იქნება გარემოს მიმართ მა-
ლადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.



სანდრო ცხვედაძე /ქუთაისი/

ღვთისმშობლის პარადიგმები (მთა, კიბე) ქართულ, ბიზანტიურ და დასავლურ კულტურულ სივრცეში

ღვთისმშობლის პარადიგმული სახელები არის კონკრეტულ სახე-სიმბოლოები, რომლებითაც ძველი აღთქმის სამყაროსა და სხვა კულტურულ სივრცეებში რეალიზებულია ქვეყნის მხსნელის, მესიის, ამქვეყნიური მოვლინების წინასწარ-მეტყველებანი. კონკრეტულად კი, ერთი შინაარსობრივი სივრცით შემოსაზღვრული სახეები - მთა, კლდე და კიბე - საყოველთაოდ არის გავრცელებული და წარმოადგენს ღვთისმშობლის სიმბოლიკის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს. მათი აღქმა დროისა და მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური სივრცის მიხედვით იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალი იდეა ერთი და უცვლელია. გარდა ამის, მას აქვს ესთეტიკური კატეგორიის გაგებაც, იმდენად, რამდენადაც მხატვრული ზემოქმედების ძალა გააჩნიათ.

ეს სახეები საერთო ადამიანური ზემოქმედების ნაყოფია, რომელსაც საფუძველი აქვს ჩაყრილი იმ პერიოდიდან, როცა ადამიანმა მხატვრული აზროვნება დაიწყო. ღვთისმშობლის ამ სიმბოლოთა იდეური საფუძვლები გვხვდება სხვა კულტურულ სივრცეებშიც: ეგვიპტურ, შუმერულ და ქართულ მითოლოგიაში. ასევეა ქრისტიანულ კულტურაში არსებული იპოდიგმები, რომლებმაც ფილოსოფიური და ისტორიული პროცესების მიუხედავად, შეინარჩუნეს თავიანთი სემანტიკური დატვირთვა და წარმოგვიდგნენ საგნობრივისგან დაცლილ, ზებუნებრივისკენ მიმართულ აღმნიშვნელებად. ამ ფილო-

სოფიურ მიმდინარეობად კი განიხილება ნეოპლატონიზმი, რომელმაც მათ ახლებური ჭვრეტა შესძინა და გახადა ბევრად აქტიური და მრავალფუნქციური. ამ იდეათა შემომტანნი და გამავრცელებელნი კი ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი იყვნენ.

ღვთისმშობლის ეს სახეები გვხვდება ქართულ მწერლობაშიც, რაც მოიცავს როგორც ჰაგიოგრაფიას („ნინოს ცხოვრება“), ისე ჰიმნოგრაფიას. სხვა კანონიკურ საღვთისმეტყველო დარგებთან ერთად ეს დარგიც, რასაკვირველია, ბიბლიას არის დაყრდნობილი. აქ სახისმეტყველურად განსხვავებული შემთხვევა გვაქვს, რადგან ეს დარგი საზრდოობს იმ ქრისტიანობამდელი პრაქტიკით (სინაგოგური ღვთისმსახურებით), რაც გულისხმობს ღმერთისადმი მიძღვნილი ტექსტების სიმღერით წართქმას. შუა საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიურ საფუძვლებს დაეყრდნო მხატვრული გამომსახველობის პრინციპებიც, რომლებიც უკვე საეკლესიო კრებებისა თუ ეკლესიის კანონიკური დადგენილებების მეშვეობით გაკონტროლდა და მზა მოცემულობების სახით მიეცათ ჰიმნოგრაფებს. რასაკვირველია, ამ სახეებს ბიბლიური საფუძველი ჰქონდა და, შესაბამისად, არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა მათ ჭეშმარიტ მნიშვნელობებში. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ამ მხრივ მკაცრად იყვნენ შეზღუდულნი, მათი ნაწარმოებების უმთავრეს ღირსებად გადაიქცა ინოვაციური მიდგომა საკითხისა და საგნის მიმართ, რაც ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულ ურთიერთშეთანხმებაში გამოიხატა. სახეთა სიმბოლიკას რაც შეეხება, მისი განმეორებადობის ახსნა შეიძლება კიდევ იმითაც, რომ ნებისმიერი ღვთისკენ მიმართული ნაწარმოები თავად ღმრთისგანვე გამომდინარედ მიიჩნეოდა და, შესაბამისად, სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაში მყარი შესიტყვებების გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. მაგალითისთვის, ტბელ აბუსერიძე, რომელიც საკმაოდ განათლებული და გამორჩეული ფიგურაა XIII საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ მწერლობაში, იამბიკოების წერისას მხატვრულ სიმბოლოთა

გარკვეულ ნაწილს (რომლებიც იმდენად მყარ შესიტყვებებად იქცა, რომ გაქვავებულ ფორმებად გადაიქცა დროთა განმავლობაში) „იორდანეს ძლისპირთა“ კრებულიდან იღებს და ურთავს თავის ჰიმნებს, რაც სამი იოანეს ქების სახელითაა ცნობილი („გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანე მახარებელისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრებულნი ერთ მოსეხნეობისათვის და ერთ მადლობისათვის, დაღაცათუ წინამორბედი არს უმეტესი ყოველთა ნაშობთადედათაისა“).

ძირითადად, ამ სივრცეებში ვითარდება და იხვეწება მხატვრულად ღვთისმშობლის ეს პარადიგმები და მხოლოდ ამის მერე გადადის საერო მწერლობაში. ყველაზე მეტად სრულქმნილი ხდება ის გურამიშვილთან და სრულად ავლენს თავის გამომხატველობით მნიშვნელობას. ეს გადასვლა კი ერთობ დიდი მნიშვნელობის მქონეა ქართული ლიტერატურული აზრის განვითარების პროცესში. ღვთისმშობლის სიმბოლომთა-გურამიშვილთან შემოდის აბსოლუტური ამქვეყნიური გასაჭირისგან თავდახსნის კონტექსტით, რომელიც ადამიანის იმანენტური სულიერი და ფილოსოფიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. დავითი ტყვეობიდან აღწევს თავს და მისი შესაფარებელი უნდა იყოს წიაღი, რომელიც ბუნებრივად, სისხლხორციელად მიიღებს და ხელახლა შობს მას. ეს ადგილი არ არის შემთხვევითი, არამედ თავად ღმერთის მიერაა შერჩეული, მის მიერ წინასწარგამიზნული. გურამიშვილის მთასთან მისვლა არ არის გამოწვეული მხოლოდ ყოფითი საჭიროებით, არამედ მასში უნდა ვეძიოთ ღრმა ქრისტიანულ-ფილოსოფიური საფუძვლები. დავითი, თუ არა ღვთისმშობლის წიაღში შესვლით, სხვა ვერასგზით ვერ იხსნის საკუთარ თავს „მოქცევისაგან“. დავითი შესთხოვს ღვთისმშობელს დახსნას, ტყვეობიდან გამოხსნას, რაც პირადპირ უნდა გულისხმობდეს შეზღუდულობით შეზღუდულობის გადალახვას. სულიერ შეზღუდულობას - ცოდვით დამძიმებას, ენაცვლება ფიზიკური შემოსაზღვრულობა, ქვაბულში შესვლა. განწმენდა კი უნდა

მიიღწეოდეს „მსხვერპლის შეწირვით“. ეს არა მარტო მადლიერების გამოხატულება, არამედ პირადი, სულიერი ობლობისგან გათავისუფლებაცაა, ის აუცილებელი საფეხური, რომელიც უნდა გაიაროს მან. ამ იდეის მართებულობა შეიძლება გამართლდეს პრობლემის გადაჭრის არისტოტელესეული გზით, რომელსაც აღმოსავლურ-ფილოსოფიური საფუძვლები აქვს: გმირი პიროვნული, შინაგანი კოლიზიის გასანეიტრალებლად თვითონ პრობლემის საფუძველს უღრმავდება და ამგვარი ქმედებით და დაპირისპირებით, მის წიაღში შესვლით, გადალახავს შემოსაზღვრულობას.

დასავლურ ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად ვხვდებით ღვთისმშობლის ამ კონკრეტულ პარადიგმებს, რაც, ალბათ, იმითაცაა განპირობებული, რომ ბიზანტიური კულტურა ბევრად უსწრებდა წინ რომაულს თეოლოგიური განვითარების მხრივ, რადგან მასთან შედარებით მეტად კონტერპლაციური (მჭვრეტელობითი) იყო და, შესაბამისად, მრავალსახეობრივი აღქმის პრაქტიკაც მეტად განავითარა. მოგვიანო, ევროპული რენესანსის პერიოდიდან, ღვთისმშობლის ეს სახეები გვხვდება დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“.

ქრისტიანული მწერლობისთვის დამახასიათებელია სახეებით აზროვნება, რაც გულისხმობს კონკრეტული, ზებუნებრივი საგნების ამქვეყნიურით შეფარვას, მათთვის იმ სემანტიკური დატვირთვის მიცემას, რაც ფიზიკური სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. ეს იმიტომ, რომ ადამიანებს არ შესწევთ ძალა და უნარი, განჭვრიტონ მიღმიერი სამყარო და მასში მიმდინარე მოვლენები.



ქართული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაია /თბილისი/

ხელმძღვანელი: ასოც.პროფ. ეკა ნავროზაშვილი

გოლგოთის მისტერია

ბიბლია, როგორც წმინდა წერილი, საუკუნეების განმავლობაში იყო არა მხოლოდ ადამიანთა სულიერი სამყაროს, არამედ ამა თუ იმ ეპოქის კულტურის მასაზრდოებელიც. ბიბლიური სიუჟეტებით შთაგონებული ადამიანები ქმნიდნენ გენიალურ ფერწერულ ტილოებს, ქანდაკებებს, მუსიკას, ფრესკებს. ბევრი მათგანი ზედმიწევნით იცავდა ბიბლიურ გადმოცემას, ბევრიც თამამი ინტერპრეტაციით ახალ სიტყვას ქმნიდა.

სახარებისეული თხრობის ცენტრში განკაცებული ღმერთი დგას და მასთან დაკავშირებული არიან სხვა ადამიანები. იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება და მოღვაწეობა გადმოცემულია მოციქულთა: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ევანგელურ თხრობაში.

არაერთი ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველი გამხდარა ბიბლიური ამბები და ქრისტეს ცხოვრება. მის შესახებ საუკუნეების განმავლობაში იწერებოდა სხვადასხვა ნაწარმოები, იქმნებოდა არაერთი ლიტერატურული შედეგრი. არაერთ ნაწარმოებში წარმოჩენილა ბიბლიური წიგნების პოეტური თუ პროზაული ნაკადი.

ამ თემატიკას ეძღვნება ისეთი წიგნები, რომლებიც სხვა დანარჩენ უკვდავ ნაწარმოებებთან ერთად მსოფლიო ლიტერატურული კლასიკის საგანძურს ქმნიან. მათ შორისაა: ფიოდორ დოსტოევსკის „დიდი ინკვიზიტორი“, მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ჩინგიზ აითმათოვის „საქონდაქრე“, ემანუელ შმიდტის „პილატეს სახარება“, დე ბრაუნის „და ვინჩის კოდი“ და სხვა მრავალი.

სახარების თემისადმი მიძღვნილ ყველა დროის ქმნილებათაგან გამორჩეული ნაწარმოები, წიგნი, რომელსაც სალიტე-

რატურო კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა, არის თანამედროვე ლიბანელი მწერლის -ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“

ჯიბრანი ხალილ ჯიბრანი ორენოვანი მწერალია. ის დაიბადა და გაიზარდა ლიბანში, ქრისტიან არაბთა ოჯახში. უკიდურესი სიღარიბის გამო ოჯახს გადასახლება მოუწია ამერიკაში და 12 წლიდან ჯიბრანი უკვე იქ ცხოვრობდა. ორენოვან მწერლებთან - თაგორთან და ემინ რეინჰანთან ერთად ხალილ ჯიბრანს მიიჩნევენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შორის ხიდის გამდებად.

მსოფლიო საზოგადოებამ ხალილ ჯიბრანი დიდ მწერლად აღიარა 1923 წელს, როდესაც გამოქვეყნდა ინგლისურად დაწერილი მისი პატარა წიგნი „წინასწარმეტყველი“. სალიტერატურო კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა ამ წიგნს. მას მოჰყვა „წინასწარმეტყველის წალკოტი“ და „იესო, ძე კაცისა“. სამივე თხზულება მსოფლმხედველობრივ, ესთეტიკურ მთლიანობად აღიქმება.

„იესო, ძე კაცისა“ სახარების თემისადმი მიძღვნილ ყველა დროის ქმნილებათაგან გამორჩეული ნაწარმოებია. წიგნში იოანე ღვთისმეტყველის წინასწარმეტყველური ხილვებიდან მოყოლებული, იერუსალიმელი მეწადის ბუნდოვანი აზრების ჩათვლით, ნაჩვენებია ლამის ყველა შესაძლო ასპექტი, ქრისტეს მიმართ ადამიანთა დამოკიდებულებისა.

ღვთისმეტყველებაში უღრმეს განსწავლულობასთან ერთად ხალილ ჯიბრანის შემოქმედებითი ნიჭის მასშტაბურობა ნაწარმოების დიდ შემეცნებით ღირებულებას განაპირობებს და ძლიერი ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს მას. ის სიმბოლო-ალეგორიათა გარდა სხვა მხრივაც ძალიან ახლოსაა სახარების ენასთან. სულიერი შინაარსით დატვირთული თხრობის რიტმი, ინტერვალები, სახარებისეული ენობრივი ფორმულები პირდაპირ კავშირშია წმინდა წიგნთან. ნაწარმოები 79 მონათხრობისაგან შედგება, ორი ფასეულობა, წარმავალი და წარუვალი, წუთისოფელი და ზეცის სასუფეველი განსაზღვრავს ყოველი მთხრობელის ზნეობრივ ორიენტირს.

საკმაოდ აშკარაა ნიცშეს გავლენის კვალი ლიბანელ მწერალზე. ნატიფი სტილი, მომნუსხველი ესთეტიკურობა, გამდმოცემულია ამბის სხვადასხვაგვარი ხედვა. ყოველ მონათხრობს კი, უპირველეს ყოვლისა, მსჭვალავს იმის შეგნება, რომ იესო ნაზარეველი ღმერთი კი არა, კაცი იყო, ჩვენი მსგავსი, რომელმაც ძირისძირობამდე გამოსცადა ადამიანური სიხარული და ტანჯვათა შორის უმძიმესი ადამიანური ტკივილი.

გოლგოთის მისტერია კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ნიშანსვეტია, ერთადერთი მოვლენააა დედამიწის მთელს ევოლუციაში, რომელიც უდიდესი იმპულსი გახდა კაცობრიობისთვის. მოვლენა, რომლის მსგავსიც ადამიანის განვითარების მანძილზე მანამდე არც არასდროს არსებულა და რომელიც მსგავსი სახით არც მომავალში განმეორდება.

მას თანდათანობით ამზადებდა ძვ. ებრაული კულტურა, სახელდობრ, იეჰოვას კულტი. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მისტერიაში? რატომ იყო და არის ასეთი საინტერესო თემატიკა არაერთი ხელოვნების ნიმუშისა თუ ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. განკაცებული მესია, რომელმაც სიკვდილის კარიბჭე განვლო კვლავაც ამოუწურავ თემატიკად რჩება.

იესომ მხოლოდ სამ წინასწარმეტყველურ დროში იცხოვრა: გაზაფხული - მისი გალობისა; ზაფხული - მისი ნეტარებისა; შემოდგომა - მისი ვნებისა; ჩვენი თემაც სწორედ ამ უმძიმეს მომენტს კაცობრიობის არსებობის ისტორიაში, ვნებული მესიის ჯვარცმას შეეხება. ჯიბრანი ჯვარცმის მთელ პროცესს აღწერს ღვთისმშობლის განცდათა ფონზე. ამ მისტერიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იუდას.

ეკლესიური თვალსაზრისით იუდა არის ვერცხლის-მოყვარეობის მსხვერპლი. ადამიანი, რომელმაც თავი ვერ დააღწია ანგარებას და ჩაიდინა უმძიმესი ცოდვა. თუმცა სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ჯიბრანი, ამ ლალატის მეორენაირი ახსნა შორს არაა პირველისაგან, მაგრამ მაინც განსხვავებულია მისგან. ამ ვერსიით იუდა არის ანგარებიანი ეროვნულ-პოლიტიკურად და მისი ეროვნულ-პოლიტიკური

იდეალი ებრაელთა სამეფოს აღდგენაა. მან იესო ისრაელის დიდების განმაახლებლად მიიჩნია. აი, რას ამბობს „ლიბანელის“ იუდა:

„მიყვარდა იესო, ის ჩემი იმედი იყო, მაგრამ როცა მას ხელი არ გაუნძრევია რომაელთა კირთებიდან ჩვენს დასახსნელად და როცა ის აღუთქვამდა კეისარს კეისრისას, მაშინ სასო წარმეკვეთა, ჩაკვდა იმედი და მივხვდი, რომ ვინც კლავს ჩემს იმედს, სიკვდილის ღირსია, რადგან იმედი და მოლოდინი ჩემი, უფრო დიადი და ძვირფასია, ვიდრე სიცოცხლე რომელიმე კაცისა“. კაცი ნატრობდა სამეფოს, რომელშიც თავად იქნებოდა წარჩინებული, იესოს სურდა სასუფეველი, რომელშიც ყოველი კაცი იქნებოდა წარჩინებული. იუდამ გაყიდა მაცხოვარი... გოლგოთის გზა - ქრისტეს უკანასკნელი გზა იყო ამქვეყნად. პილატე პონტოელის სახლიდან გოლოგოთის მთამდე, სადაც იგი ჯვარს აცვეს. მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებები ერთ მნიშვნელოვან მომენტში განსხვავდება იოანე მახარებლის ვერსიისგან. თუმცა, ახალი აღთქმის კომენტატორები არ მიიჩნევენ ამ ორ ვარიანტს ერთმანეთთან შეუთავსებელ ისტორიად. იოანე უბრალოდ ამბობს: „თავად მოიკიდა ჯვარი და გავიდა თხემის ადგილზე, რომელსაც ებრაულად გოლგოთა ჰქვია“ (იოანე 19: 17). ამავე დროს, დანარჩენ სამ სახარებაში აღწერილია, რომ იპოვეს ვიღაც კაცი, სახელად სიმონ კვირინელი, და აიძულეს, ეტარებინა ქრისტეს ჯვარი, ხოლო ლუკა ამატებს: „მისდევდნენ მას დიდძალი ხალხი და დედაკაცები, რომლებიც ტიროდნენ და მოთქვამდნენ“ (ლუკა, 23: 27). მაცხოვართან ერთად სასიკვდილოდ მიჰყავდათ ორი ავაზაკი. ჯიბრანთანაც სვიმონ კვირინელია ქრისტეს სიკვდილის გზაზე. განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება მაცხოვრის უკანასკნელ სიტყვებს, რომლებიც ხალილ ჯიბრანს უცვლელად აქვს გადმოცემული ბარაბას მონათხრობით.

✓ „მამაო მიუტევე, რამეთუ არა იციან რას იქმან“ (ლუკა 23: 34);

- ✓ „ჭეშმარიტად გეუბნები შენ, დღესვე ჩემთან იქნები“ (ლოუკა 23: 43);
- ✓ „დედაო, აჰა ძე შენი“ (იოანე 19: 26-27);
- ✓ „ელი, ელი, ღამა საბაქთან“ (ღმერთო, ღმერთო, რაისთვის დამიტევებ მე); მარკოზი 15: 34;
- ✓ „მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს“ (ლოუკა 23: 46);
- ✓ „აღსრულდა“ (იოანე 19: 30).

გოლგოთის მისტერიას მოსდევს XIX საუკუნის შემდგომ მცხოვრები ლიბანელის სიტყვები, რაშიც თავად ავტორი მოიაზრება. ლიბანელი გონების თვალს ავლებს კაცობრიობის მიერ გოლგოთის მისტერიის შემდგომ განვლილ გზას. კაცთა მოდგმამ ცოტა რამ შეიგნო. კაცობრიობა ისევ დგას მარადიული პრობლემის წინაშე, იუდა საშოვარზეა გადაგებულ, მაცხოვრის სახელი ისევ სალოცავად ან საკიცხავად აქვთ ადამიანებს, სიმონ კვირინელი ისევ ეზიდება ჯვარს, ისევ მოისმის ლურსმნებზე ჩაქუჩის ხათქუნი, ჯვარცმა გრძელდება, ხელისბანაც არ შეწყვეტილა. ოლონდ, ანა, კაიაფა, პილატე, მწიგნობარნი თუ ფარისეველნი, იუდა თუ ლონგინოზ ასისტავი - ეს ჩვენ ვართ, ვინც არ მივყვებით იესოს გზას. ადამიანები დიდი მოწიწებით სცემენ თაყვანს იდეას ღვთისას, რომელიც მათი ყოველდღიური საქმიანობისგან გარიდებულად მიაჩნიათ. მაგრამ ლიბანელის ხმაში იმედიც მოისმის, რომ მარიამ მაგდალინელისა და მარჯვნივ მყოფი ავაზაკის გზას ბევრი ადამიანი გაივლის, ბევრს უკვე გაუვლია. მას სწამს, რომ ადამიანი არ არის მიტოვებული, ჯვარცმა და აღდგომა არა მხოლოდ წარსულში მოხდა, არამედ აწმყოშიც ხდება და მომავალშიც მრავალჯერ განმეორდება - ქრისტე მარად წაუძღვება კაცობრიობას. „შენი სიტყვები ჩურჩულია მომავლის მკვიდრთა“ - ამბობს ლიბანელი და გვაუწყებს, რომ მარადიულია მისი ღვაწლი, რომ მაცხოვრის სიტყვებით ისაზრდოვებს მომავლის მოდგმა...

ღვთიური თუ სატანური?

(სწორფრობა მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს მიხედვით“)

ხევსურულ სწორფრობაზე, რომელიც ვაჟას სიტყვებით – „თავის სიუცხოვით ძალაუნებურად ეჩეჩება კაცს თვალში“, ბევრია დაწერილი ქართულ ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორისტულ ლიტერატურაში, მაგრამ მისი გენეზისი ჯერაც ბუნდოვანი რჩება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შეცდომით დაიწყეს ხევსურთა „უკომპლექსობის“ გასაღების ძებნა დასავლურ სასიყვარულო ურთიერთობებში (ბოინფრედ-გელფრენდის ინსტიტუტში), რამაც ხელი შეუწყო დილექტანტთა მხრიდან ამ მოვლენის სუბიექტური ინტერპრეტაციის შემთხვევებს.

ლიტერატურაში სწორფრობის ტრადიციის არაადეკვატური ასახვის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად ასახელებენ მ. ჯავახიშვილის „თეთრ საყელოს“, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია ხევსურეთში. საქმე ისე გამწვავდა, რომ ხევსურები ემუქრებოდნენ და ბრალს სდებდნენ რომანის ავტორს მათი ცხოვრების სინამდვილისა და ზნე-ჩვეულებების გაყალბებაში. ამ უძველესი ადათის მკვლევარნიც ერთხმად აღიარებენ, რომ რომანის მთავარი გმირების (ელიზბარისა და ხათუთის) წოლადგომას საერთო არაფერი აქვს ხევსურეთში რეალურად მოქმედ სწორფრობის კოდექსთან, რომ მ. ჯავახიშვილი სწორფრობაში სამწუხაროდ, რომანტიულსა და ამალღებულს ვერაფერს ხედავდა. ასეც არის, მ. ჯავახიშვილი სწორფრობას, გრ. რობაქიძისაგან განსხვავებით (რომელიც სწორფერს განმარტავს, როგორც „სიყვარულში სადარ-მხვედრს“, რაც ყველა თვალსაზრისით შესაფერის წყვილს გულისხმობდა – ასაკით, ინტელექტით, ჯიშ-ჯილაგით და ა. შ.), „მეტად ინტიმურსა და უზნეოს“ უწოდებს, ვერ გაურკვევია, სასტიკი და მავნეა იგი, თუ საამური, „ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ სატანური“.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი არ იცნობდა, ან განგებ ამახინჯებდა ხევსურთა ამ უძველეს ტრადიციას. ფაქტები სხვას მეტყველებენ - მ. ჯავახიშვილი საკმაოდ კარგად იცნობდა ხევსურებს და მნიშვნელოვანი მასალებიც გამოუყენებია სწორფრობის ადათთან დაკავშირებით. მწერალი ერთ-ერთ წერილში განმარტავს, რომ მან არხოტელი, ან ხახმატელი ხევსურები კი არ დახატა, არამედ თიანეთ-თელავის საზღვარზე ჩამოსახლებული ხევსურები, რომელთაც უკვე ბევრი რამ დავიწყნიათ, ან გადაუკეთებიათ და ირწმუნება, რომ რომანის მესამე გამოცემაში შეასწორებს მათ.

სწორფრობასა და წაწლობას მ. ჯავახიშვილი იდენტურ ცნებებად მოიაზრებს, წაწლობას იგი სწორფრობის ლიტერატურულ ტერმინად მიიჩნევს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მართალია, ფშაური წაწლობა დამოუკიდებლად არ აღმოცენებულა, იგი ხევსურული სწორფრობის სახეშეცვლილი ვარიანტია, მაგრამ მათ შორის მაინც არის უმთავრესი სხვაობა. კერძოდ, ფშაველები, ხევსურებთან შედარებით, წესების დაცვის საკითხში გაცილებით ლოიალურები გახდნენ. წაწლობაში იბილწება ის, რაც ხელშეუხებელია სწორფრობაში, ხევსურთა რწმენით, სწორფრობის წესები ღმერთის დადგენილია და მისგან მცირეოდენი გადახვევაც კი ღვთის მცნების დარღვევის ტოლფასია. სწორფერთა შორის მოთავსებული ხანჯალი მატერიალური ხატია სიკვდილისა, წაწლობაში კი მან, სამწუხაროდ, უფრო „ლირიკული“ ფუნქცია შეიძინა. აქედან გამომდინარე, მ. ჯავახიშვილის „თეთრ საყელოში“ აღწერილია არა ხევსურული სწორფრობა, არამედ ფშაური წაწლობა.



„კაცია-ადამიანის“ ნეიმანისეული თარგმანის შესახებ

მოხსენებაში საუბარი გვექნება ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ ნეიმანისეული თარგმანის ერთ ასპექტზე. კერძოდ, იმაზე, თუ როგორ გადადის ამ მოთხრობაში გაფანტული ქართული იდიომები ხსენებულ თარგმანში. ამოკრეფილი მასალა სისტემატიზაციის მიზნით შეგვიძლია დავალაგოთ ოთხ ძირითად ჯგუფად (ვეყრდნობით დაყოფის ნეიმანისეულ ვერსიას). მოცემული დაყოფა პირობითია და შესაძლებელია როგორც შიდა კლასიფიკაცია, ისე განსხვავებული ნიშნით გამოყოფა იდიომებისა, რომელთაც, მართალია, სრულყოფილების პრეტენზია არ აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ფრაზეოლოგიზმების მაგალითზე კარგად უჩვენებს მიმართებას დედანსა და თარგმანს შორის.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ის ცალკეული სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც არ მოეპოვებათ რუსულ ენაზე შესატყვისი და შესაბამისად მთარგმნელს ეს საკუთრივ ქართული ენობრივი ერთეულები სიტყვა-სიტყვით გადაუტანია თარგმანში რუსული ტრანსკრიფციით, ან ცდილა ეკვივალენტი მოეძებნა, ან კიდევ საერთოდ გამოუტოვებია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი დიდი ხანია დამკვიდრებულია რუსულ ზეპირ-სიტყვიერებასა თუ ლიტერატურაში.

მეორე ჯგუფში შედის იდიომები, რომელთაც თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ასეა თუ ისე, შესატყვისები მოეპოვებათ რუსულში.

მესამე ჯგუფი წარმოადგენს ანდაზებს, რომლებიც ნეიმანს სიტყვა-სიტყვით უთარგმნია, რათა არ დაერღვია დედნის რითმისა და რიტმის ელემენტები, შეენარჩუნებინა ნაციონალური, საყოფაცხოვრებო თუ კულტურული ელფერი.

მეოთხე ჯგუფს შეადგენს მოთხრობიდან ამოკრეფილი იდიომები იმ თანმიმდევრობით, როგორც ტექსტში გვხვდება და მათი ნეიმანისეული თარგმანები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს

მორჩილების გამომხატველი იდიომი არ არის ზუსტად გადათარგმნილი, ვინაიდან საერთოდ უგულებელყოფილია დედანში შერჩენილი მითითება ყურის მოჭრის ადათზე.

1) იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ? – Где ей дотянуться до вас.

2) მე ხომ თქვენის ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა! – Я ведь и праха ваших ног не стою, но и то побрезговала бы поступать так, клянусь памятью своего отца.

აქ ორი იდიომია მოცემული: „ფეხის ნატერფალი“ და „მამა მიცხონდა“. თარგმანში ისინი გადასულია მნიშვნელობასა და ნიუანსს მოკლებულად. მართალია, ურთულესი საქმეა მათი შენარჩუნება, მითუმეტეს მაშინ, როცა იდიომი ფრაზაში ირონიულად არის ნახმარი, მაგრამ მთარგმნელმა როგორღაც უნდა გამონახოს ეკვივალენტი, რათა დედნის ფრთიანი ფრაზა მოუქნელად არ გადაიტანოს თარგმანში.

3) გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა! - Сурдце надрывается, глядя на несчастную, клянусь.

აქაც წინა მაგალითის ანალოგიურთან გვაქვს საქმე, რადგან ერთ ფრაზაში ორი იდიომია. ვფიქრობთ, პირველი საკმაოდ კარგადაა თარგმნილი, ხოლო მეორე-ფიცის გამომხატველი („თქვენმა მზემ“) ვერაა მთლად მოსაწონად გადატანილი, რადგან უბრალოდ клянусь მოკლებულია დედნის გამომხატველობითობას და მხატვრულობას.

4) თავს ლაფის დასხმა. - Стыд и срам.

შევნიშნავთ, რომ თარგმანში არ არის გადმოცემული მითითება იდიომში შემონახულ ადათზე (თავზე ლაფის დასხმა).

5) შენმა სიცოცხლემ! - клянусь твоей жизнью!

ამ კატეგორიის იდიომი ზევითაც შეგვხვდა („შენმა მზემ“, „მამა გიცხონდა“, „თქვენმა სიცოცხლემ“) და მათ მსგავსად, მის გადასათარგმნელად, როცა იგი მოცემულია გაჯავრების ან დაცინვის კილოთი, ძნელია სუბსტიტუტის გამონახვა და მოცემული თარგმანიც ვერ დაიკვეხნის ამით.



ქართული
ენების
აქადემია

- 6) გულის შემოყრა - Упасть в обморок.
- 7) ყურები დააცქვიტა - Навострил уши.
- 8) მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა - Чтоб громом поразило такого умника.

თარგმანი მოკლებულია სიზუსტეს, რადგან თუ შევაბრუნებთ მას (ისევ ქართულზე გადავიტანთ), მივიღებთ გამოთქმას „მეხი კი დაეცა“ და არა მე „დავაყარე მეხი“.

- 9) ბანზედ სიტყვა გადააგდო - Поспешила переменить тему разговора.

აქ სიტყვასიტყვითი თარგმანი - Закинула слово на кришу - რუსი მკითხველისთვის გაუგებარი დარჩებოდა, შესაბამისად ნეიმანის თარგმანი უნდა გავამართლოთ.

- 10) თვალი ეჭირა - Высматривал.

- 11) გაუჯდა გვერდში - Сильно пришлось это ему по душе.

ეს იდიომი სხვა ადგილზეც გვხვდება - „შენ თუ ფულებს მიიღებ, მე შენ გითხრა, გვერდებში გამიჯდება“, ე. ი. მე არაფერი სიკეთე დამემართება, ჩემთვის სარფიანი არ იქნება.

მამიჩემის სახელი დაღისტნამდინ გავარდნილი იყო. - Отца моего знали в Дагестане.

სამწუხაროდ, თარგმანი არ არის სწორი. ნეიმანს გამოუვიდა „მამაჩემს დაღესტანში იცნობდნენ“ და არა დედნის შინაარსი. იდიომს - „სახელის გავარდნა“, უფრო შეესაბამება რუსული ზმნები-слить, прослить.

- 12) ფული რაერთი აქვს? – Сколько дают за ней?

- 13) ჩემს კისერზედ იყოს ეგა. - Это я беру на себя.

- 14) საღერღელი მეტად აეშალა. - Разыгрался в нем аппетит.

- 15) ქალია თუ ვაჟი? - ჰკითხა მოსე გძელაძემ. - ვაი, რომ ქალია, - უპასუხა შეწუხებულსავით სუტ-კნეინამ — Как дела? Спросил Мосе Гдзеладзе. Неважно! - ответила лже-княгиня, принимая печальный вид.

ორიოდე სიტყვა ამ ადგილის შესახებ. იდიომით - „ქალია თუ ვაჟი“, გამოხატულია ის, რომ მოსე გძელაძე ჩქარობს გაიგოს, მიაღწია თუ არა შედეგებს სუტ-კნეინამ, რომელსაც დავალებული

ჰქონდა მაჰანკლობა. ამ იდიომის მიხედვით „ვაჟი“ დაკისრებული საქმის გამარჯვებით დამთავრების მომასწავებელი სინონიმია, ხოლო „ქალი“, პირიქით, დამარცხებისა. ამიტომაც ნეიმანისეული ვარიანტი Как дела? და პასუხი Неважно, წარმოადგენს გამარტივებულ და გამოფიტულ თარგმანს, სადაც არ არის შენარჩუნებული დედნის თავისებურება და სახოვნობა.

16) საქმეს დამში მოვიყვანთ - Сумеем наладить дело.

საფიქრებელია, რომ ამ იდიომის წარმოშობა უკავშირდებოდეს ფლავის მოხარშვის პროცესს. „ფლავი დამშია“ - ამბობენ, როდესაც ფლავი ხარშვას (დუღილს) ამთავრებს. ამის შემდეგ ქვას ცეცხლიდან გადმოსდგამენ რომ არ ჩაიხარშოს, ან წყალს საშუალება მიეცეს ფლავიდან ამოშრეს და დამის (ორთქლის) სახით სახურავის შიგნით მოიყაროს თავი. შდრ. „დამში გამოსული“ - დამზადებული, შესრულებული.

17) თვალი თვალში გაუყარა - Пристально глядя на нее.

18) კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს - Платье – это пустяки.

ცხადია, არც ეს თარგმანია დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან არ გადმოსცემს იდიომის თავისებურებას („შენი ჭირის სანაცვლო იყოს“).

19) ყური მათხოვე - „Выслушай меня внимательно.

20) შენი ლეჩაქი დამხურე თავზედ... – Надень мне на голову свой лечаки...

აღბათ აჯობებდა თარგმანს სქოლიოში შენიშვნა დართვოდა, რომ ლუარსაბს დამამცირებლად მიაჩნია მამაკაცის თავზე ლეჩაქის დახურვა, რადგან ამის აღუნიშვნელად შესაძლებელია რუსი მკითხველისთვის გაუგებარი დარჩეს კონტექსტი.

21) კაცს რაკი ერთხელ იხტიბარი წაუხდება... – Стоит человеку один раз потерять доверие...

22) ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა. - Господь отвернулся от них.

23) დავითის ლუკმად უნდა გამხადო? – Зачем ты хочешь дать меня в обиду Давиду?



24) აბა ეხლა დაუდგება თვალი დავითსა. - Вот когда лопнет с досады Давид.

25) არც ფლავი, არც ჩლავი... - ეს იდიომი ნეიმანს გამოუტოვებია და თარგმანში არ გადაუტანია.

26) შიშისაგან სული მძვრება - Я сама не своя от страха.

27) წყალს თვალი გაუშტერა - не сводил глаз от воды.

28) ვაი, შენ ჩემო თავო - горе мне!

29) ჯადოს ამისთვისაც თვალი აუბამს - Заворожка им заслепила глаза

30) შენ რა გენადვლება! - Тебе то что за печаль!

31) ჭიპი აქ მომიჭრია - Здесь я родился, здесь мне отрезали пупок.

32) კაცი ვერას დაგანახვებს - Тебе ничем не угадишь.

33) კაი თვალით არის ჩვენზედა - Наконец то обратил на нас свой милостивый взор.

ამით ვამთავრებთ იდიომების ამონაწერთა მოყვანას. ცხადია, ყველა ფრაზეოლოგიზმი აქ ვერ მოხვდა, რადგან შეგნებულად არ ჩავწერეთ. ზოგი კი - ალბათ გამოგვრჩა, ან შეცდომით იდიომად არ მივიჩნიეთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ალ. ნეიმანის ზემოთ განხილული თარგმანი, მიუხედავად დედანთან საკმაო შეუსაბამობებისა, მეტ-ნაკლებად სრულად ასახავს ილია ჭავჭავაძის ინდივიდუალურ მწერლურ სტილს და კერძოდ, „კაცია-ადამიანის“ სპეციფიკურ მანერას, რაც ამ ნაწარმოების სატირულიუმორისტულ პასაჟებს ახასიათებს. ვფიქრობთ, ამ კუთხით დაწვრილებითი კვლევის გაგრძელება სამომავლო საქმეა.

112/1705

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები გამოსაცემად
მოამზადეს

იგორ კეკელიამ, ალექსი ფონიავამ და ხათუნა ძარიაშვილმა.

კორექტორი: ჯენი წულაია

ქალაქის ზომა A5
ტირაჟი 70

ჯალისთვის ახალია ახალი უძლიერე ხაყისა. ახ
გულახდობს პიროვნების თვისებებს. სადაც ადამიანი
ყოველმხრივ შეზღუდულია. აქ ჯალისთვის ვერ ვახდებთ.



მე მგონია, რომ ვინ, როგორც ჩანოველი ვინა, რომელიც
ათასი ხელის მხედრებ ახალია თანა ახალია ახალია
ჯალისთვის შეზღუდვებისთვის, არ შეიძლება დაგვიხადოთ.
ქრონიკული გონიერება არა აქვს.



ჩვენი ქრონიკული ანგებობის მთავარი ინსტრუმენტი დღეს
სიყვლილი, გლეხობა... ჩანოველი ვინა ადგილი ჩამართულია
საქართველოს გლეხობაში.



ახალია ახალია ახალია უძლიერე დაინტერესება. ყველა
მონაა, თუ მას საყვარელი ახალი არა აქვს.

სენი დახელოა